„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№11 (239)
ნოემბერი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი „LITERATURULI MESKHETI“ „ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ“

მიხეილ თამარაშვილის ხსოვნისადმი

## დიდ მეცნიერს მიეძღვნა



რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, დრო ვერაფერს დააკლებს დიდ ადამიანებს, ისინი ხალხის მეხსიერების მიღმა არასოდეს არ დარჩებიან.





**მიხეილ თამარაშვილს,** დიდ ქართველ მეცნიერს, ახლახან დაბადებიდან 160 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ახალციხის მერიამ, უნივერსიტეტში, პავლე ზაზაძის სახელობის სააქტო დარბაზში, ერთობლივად, საზეიმოდ აღნიშნეს მისი საიუბილეო თარიღი და სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნეს, რომელიც გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ.** მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს – საქართველოს პარლამენტის წევრმა, ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარმა დეპუტატმა **გიორგი კოპაძემ,** მიხეილ თამარაშვილის შთამომავალმა, მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა **ზაზა თამარაშვილმა,** მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გურამ მელიქიძემ,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **გელა ნოზაძემ,** ქ. ვალის მკვიდრმა, საქართველოს დამსახურებულმა პედაგოგმა **ვახტანგ მელიქიძემ,** გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ;** სახალხო მთქმელმა **ვასილ კვინცხაძემ** წაიკითხა მ.თამარაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.



კონფერენციაზე ვრცელი და საინტერესო მოხსენებები გააკეთეს მესხეთში მოღვაწე ცნობილმა მეცნიერებმა – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** (*„თამარაშვილის გვარისათვის“);* ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** („თანამედროვეთა დამოკიდებულება მიხეილ თამარაშვილისადმი“) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ციური ლაფაჩმა** (*„ივანე გვარამაძის გოდება მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების გამო“*).

კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ დიდი მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ქალაქ ახალციხეში დაიდგას მისი ძეგლი, რომელსაც კონფერენციის მონაწილეებმაც და მერიის წარმომადგენლებმაც მხარი დაუჭირეს.

იმავე დღეს უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში გაიმართა რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრის სპექტაკლის – *„მოყვასისათვის შეწირულის“* – წარდგინება, რომელიც უიშვიათესი არტისტიზმით განასახიერა თავად ავტორმა **იზა ვეფხვაძემ** და მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ქვემოთ ჩვენს ერთგულ მკითხველებს ვთავაზობთ კონფერენციაზე წაკითხულ რამდენიმე მოხსენებას.

ავთანდილ ბერიძე

## დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი უნივერსიტეტში

2018 22 ოქტომბერს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ „პოეზიის სახალხო დღესასწაულ – შოთაობასთან“ დაკავშირებით გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ამავე უნივერსიტეტის გაერთიანებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **ნანა გაფრინდაშვილმა.** სტუმრებს მიესალმა და ლიტერატურული კონკურსების მნიშვნელობაზე ისაუბრა თსუ-ის რექტორმა **გიორგი შერვაშიძემ,** რომელმაც ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთთან“ პარტნიორული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, ტრადიციული გახდება და ფართო მასშტაბებს შეიძენს.



გაზეთის რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ** აღნიშნა, რომ „ლიტერატურული მესხეთი“ მეთერთმეტე წელია რაც რესპუბლიკის მასშტაბით აწყობს ლიტერატურულ კონკურსებს და „შოთაობის“ სახალხო დღესასწაულებზე წარადგენს გამარჯვებულებს. ამჟამად „შოთაობის“ პრემიის 80-მდე ლაურეატია და ყოველწლიურად იზრდება კონკურსის როლი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მანვე სტუმრებს წარუდგინა 2018 წლის ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულები:





– ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემიის ლაურეატი **ნათია ჭინჭარაული;**

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული მეორე პრემიის ლაურეატი **კობა არაბული;**

– თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და კერძო პირ ელდარ ალიევის მიერ დაწესებული მესამე პრემიების ლაურეატები – **ეთერ თათარაიძე** და **ფარნა რაინაული;**

– ანდრია პირველწოდებულის სახელობის თბილისის ქართული უნივერსიტეტის სპეციალური პრემიის ლაურეატი ნომინაციაში – რელიგიური თემატიკა – **ეკა კვანტალიანი.**

სიტყვებით გამოვიდნენ როგორც კონკურსში გამარჯვებულები, ასევე მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **მანანა კაკაბაძე,** ქართული უნივერსიტეტის პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე,** საქართველოს დამსახურებული არტისტი და პოეტი **ელდინო საღარაძე.**

ავთანდილ ბერიძემ ლიტერატურული კონკურსის ლაურეატებს გადასცა როგორც სერტიფიკატები, ასევე უსახსოვრა ახლახან მის მიერ გამოცემული კრებული – **„მესხეთი ქართულ პოეზიაში“.** პარალელურად მოეწყო ამ წიგნის წარდგინება, რომლის მნიშვნელობაზე საინტერესოდ ისაუბრეს სიტყვაში გამომსვლელმა.



განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **დიმიტრი კორძაიას** გამოსვლა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა პირველი პრემიის ლაურეატის შემოქმედებაზე და წაიკითხა მისი რამდენიმე ლექსი.

ღონისძიების დასასრულს გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ – რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებისათვის, პერსონალურად კი, – მორფოლოგიის ინსტიტუტის დეკანს **დიმიტრი კორძაიას,** რომლის უშუალო მხარდაჭერითა და დიდი დახმარებით უკვე მეორე წელია იმართება ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ეკა დავითაშვილი

## თანამედროვეთა დამოკიდებულება მიხეილ თამარაშვილისადმი

**ნატო ყრუაშვილი**

მიხეილ თამარაშვილის ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის წინაშე განუზომელია... ამიტომაც არის, რომ ქართველმა ერმა არ დაუკარგა ეს დამსახურება და მრავლაგზის მიაგო პატივი. სისტემატურად ხდება მისი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, მისი ნაშრომების გამოცემა და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება... ეს ერთგვარად არის მომავალი თაობების მიერ მისდამი მიგებული პატივი.

როდესაც მიხეილისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, შეიძლება, პირობითად, ის ადამიანები ორ ნაწილად დავყოთ: პირველ ნაწილში მოიაზრებიან ისინი, ვის გვერდითაც და მხარდამხარ უწევდა მიხეილს ცხოვრება და მოღვაწეობა. უპირველასად, მოიაზრება **ივანე გვარამაძე.** მათ ურთიერთობაზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი... მათი ურთიერთობა იყო: მასწავლებლის და მოსწავლის, ორი თანამემამულის, ორი თანამოაზრის მამაშვილური დამოკიდებულება. იმთავითვე სწორედ ივანე გვარამაძემ დაინახა მიხეილის ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის უნარი და სასწავლებლად მიავლინა სტამბოლში – **პეტრე ხარისჭირაშვილის** სავანეში. შემდეგ კი მას მიხეილის ყველა ნაშრომის დაწერაში დიდი წვლილი შეჰქონდა. სისტემატურად აწვდიდა სომხურენოვანი ჟურნალ-გაზეთებიდან თარგმნილ მასალას. მიხეილი კი თავის მასწავლებელს პირველს აცნობდა სხვადასხვა ქვეყნის არქივებში მოძიებულ მასალებს, უზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს და მისგან იღებდა რჩევებს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ივანე გვარამაძისადმი მიხეილის მიერ გამოგზავნილი სამოცდაორი წერილი ინახება. დაბოლოს, მისი გარდაცვალების ცნობამ სიცოცხლე მოუსწრაფა. ივანე გვარამაძის გოდება მიხეილის გარდაცვალების გამო არის უდიდესი ტკივილის გამოხატვა.

ძალზედ მნიშვნელოვანია მიხეილისადმი **ალფონს ხითარიშვილის** დამოკიდებულება. ის იყო პიროვნება, რომელიც დახვდა სავანეში ჩასულს. იყო მისი მასწავლებელი, უფროსი მეგობარი. ერთი პერიოდი, მათ ერთად მოუხდათ სამშობლოში დაბრუნება და მოღვაწეობა, ალფონს ხითარიშვილმა თავის სახლში მიიღო იგი საცხოვრებლად. მოგვიანებით, სავანეში დაბრუნებულმა ალფონსმა, სავანის წინამძღვარმა, მესხეთიდან სტამბოლში სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდების განათლებისათვის დახმარება სთხოვა რომში მყოფ მიხეილს... და, როდესაც ასაკი მოეძალა, გადაწყვიტა, რომ სწორედ მიხეილისათვის უნდა ჩაებარებინა სავანის წინამძღოლობა, თავის შემცვლელად მიაჩნდა. მიხეილმა ვერ შეძლო მასწავლებლის სურვილის შესრულება. ამას ზეგავლენა არ მოუხდენია მათ ურთიერთობაზე. ალფონს ხითარიშვილმა განუცხდა,

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

# თანამედროვეთა დამოკიდებულება მიხეილ თამარაშვილისადმი

◀ დასაწყისი გვ. 1

რომ სავანის კარი მისთვის მუდამ ღია იქნებოდა.

საინტერესოა მიხეილისა და **ალიოზ (შიო) ბათმანაშვილის** (სავანის ერთ-ერთი წინამძღვარი) ურთიერთობა. ისინი იყვნენ ბიძა-დისშვილი. ალიოზი მიხეილისაგან ილებდა რჩევა-დარიგებებს. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ასაკობრივი განსხვავება იყო, სწორედ ალიოზის დამსახურებაა, რომ მიხეილის შესახებ მდიდარი და საინტერესო ცნობები მოგვეპოვება, რომლებიც დაცულია მის დღიურებსა და მიმოწერებში.

პირველ ნაწილში კიდევ მრავლად არიან ადამიანები, რომლებთანაც მიხეილს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ სამშობლოშიც და უცხოეთშიც.




მღვდელი მიქელ თამარაშვილი

ისტორია
კათოლიკობისა
ქართველთა შორის

ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით

XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე.

ავტორის მიერ გამოცემული

ტფილისი.
ელქტრ. საბეჭდი სტამბა ქართ. წიგ. გამ. ამხ. | Электропечатня Грузин. Изд. Т-ва.
1902 წ.



რაც შეეხება, პირობითად, მეორე ნაწილს, მათში მოიაზრებიან ის ადამიანები, რომლებთანაც მიხეილ თამარაშვილი სიცოცხლის განმავლობაში თანამშრომლობდა. იგი 1878 წლიდან, წლების განმავლობაში, საზღვარგარეთ მოღვაწეობდა. მიუხედავად ამისა, მას მიმოწერა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა სამშობლოში მყოფ ქართველ მოღვაწეებთან. მათთან თანამშრომლობდა და ზრუნავდა ქვეყნის მომავალზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ მათგანს არც კი იცნობდა და, საერთოდ, არ ჰყავდა ნანახი. ამას ხელი არ შეუშლია მათი თანამოაზრეობისათვის, თანამშრომლობისათვის და ეროვნული საქმის ერთად კეთებისათვის. ქართველი მოღვაწენი თვალს ადევნებდნენ მიხეილის სამეცნიერო შრომას. მისი ტიტანური შრომა მათ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. ერთი უცნობი ავტორი, 1911 წელს, წერდა: **„მან, გარდა ვატიკანისა და რომის წიგნთსაცავებისა, შეისწავლა მრავალი წყაროები ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ტრაპიზონის და სხვა არქივებში. ყოველივე ეს მასალად გამოიყენა და კიდევ აპირებდა ეხლა დიდი საისტორიო წიგნის შედგენას. ბევრი ქართველი ყოფილა რომში, მაგრამ არც ერთ მათგანს ეს დიდ-ძალი მასალა არ უხელმძღვანელებია და იმ წყაროებისთვის არ მიუგნია..."** *(წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, შ. ფუტკარაძის რედაქციით, უავტორო, „ერთი პატივცემულთაგანი მღვდელი მიქელ თამარაშვილი", გვ. 997, 2017).* მიხეილისადმი კეთილად და სიყვარულით განმსჭვალული ადამიანების რიცხვი ძალზედ დიდი იყო. ასეთ ადამიანთა შორის იყვნენ როგორც უცხოელნი, ასევე მისი თანამემამულენი. მის არქივში ინახება XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ბევრად თუ ნაკლებად ცნობილ მოღვაწეთა წერილები. კერძოდ, მას მიმოწერა ჰქონდა: **ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, მოსე ჯანაშვილთან, ალექსანდრე ხახანაშვილთან, ზაქარია ჭიჭინაძესთან, დიმიტრი ბაქრაძესთან, ზუბალაშვილებთან, სიმონ ქვარიანთან, გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილთან** და ა.შ.

მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობას დიდად აფასებდა ქართველი ერის წინამძღვარი, სიცოცხლეშივე ქართველი ერის მიერ „საქართველოს უგვირგვინო მეფედ" აღიარებული **ილია ჭავჭავაძე.** მას კარგად ესმოდა, მიხეილის შრომა რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო ქართველი ერისათვის. ამიტომ, ყოველთვის თვალს ადევნებდა მის სამეცნიერო მოღვაწეობას. მისი დავალებით გაზეთი „ივერია" უფასოდ იგზავნებოდა რომში, რა თქმა უნდა, იქ მყოფი მიხეილისათვის და ქართველი სტუდენტებისათვის. მიხეილი „ივერიის" მხოლოდ რიგითი მკითხველი არ იყო, – თავისი პირველი სტატია სწორედ გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდა, ხშირად აქვეყნებდა თავის წერილებს. ისე როგორც ყველა ქართველისათვის, მიხეილისთვისაც ილია უაღრესად საპატივსაცემო და საყვარელი მამულიშვილი იყო. ეს კარგად ჩანს მისი მიმოწერიდან. იგი აღფრთოვანებული ყოფილა ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადით", იმდენად, რომ, როდესაც თავის მესამე ნაშრომს – „პასუხად სომხის მწერლებს" წერდა, – ილიას ეს პუბლიცისტური წერილი სახარებასავით ჰქონდა გადაშლილი, **„თვალს რომ ვავლებდი, ძალა მემატებოდაო"**.

მიხეილისათვის თავზარდამცემი აღმოჩნდა ილიას მკვლელობა. მან გაზეთ „ისრის" საშუალებით გამოუცხადა სამძიმარი თავის მშობელ ხალხს და თავისი გულისტკივილიც გამოხატა: **„ამ მეტად საუბედურო და მოულოდნელმა ამბავმა გული ნაღვლით ამივსო და თვალები ცხარის ცრემლით. საქართველოს დაობლებულ აღურაცხველ და მრავალნაირ უბედურებამ ბევრ გზის დიდად დამაღონეს, მაგრამ ამ წარმოუდგენელ მოვლენამ კი ღრმად დამაწყლულა, რადგან საქართველომ დაჰკარგა იმისთანა შვილი, რომელმაც აღურაცხელი მიაგო თავის სამშობლოს და რომელმაც თვით ევროპაშიც დაიმსახურა ღრმა პატივისცემა. ამისთვის ვერ ვჰპოვებ შესაფერის სიტყვას, რომ საკმაოდ დავგმო ეგოდენი ულვთობის მომქმედი ბარბაროსი, რომელმაც საქართველო ასე დააობლა და მას გამოჰგლიჯა თავისი დიდების ბრწყინვალე გვირგვინი"** *(ჟურნ. „საბა", 2011, გვ. 10).* მიხეილი აღშფოთებული იყო ილიას მკვლელობით. კარგად ესმოდა, რომ ეს იყო უდიდესი დანაკლისი ქართველი ერისათვის, რამდენადაც მისი სახით დაჰკარგა უპირველესი პატრონი და ქომაგი, რომელიც წინ უძღოდა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ბრძოლის გზაზე მდგარ ერს. მიხეილი ილიას პირადად არ იცნობდა...

მეგობრული ურთიერთობა, თანამოაზრეობა და თანამშრომლობა აკავშირებდა ორ ღირსეულ მამულიშვილს: **მიხეილ თამარაშვილსა და აკაკი წერეთელს.** მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს ასევე პირადად არ იცნობდნენ და ღმერთმაც ისე ინება, რომ ვერც შეძლეს ერთმანეთთან შეხვედრა, ისინი წლების მანძილზე ეწეოდნენ მიმოწერას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რომში მყოფმა მიხეილმა და ქართველმა სტუდენტებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს იუბილარ აკაკისადმი. მათ იტალიელ მხატვარს დაახატვინეს შოთა რუსთაველისა და აკაკის პორტრეტები და საჩუქრად გამოუგზავნეს საქართველოში წარწერით: **„აკაკი წერეთლის იუბილესათვის, ძღვენი პატრი თამარაშვილისა და რომის ქართველ სტუდენტთა გუნდისაგან"**. 1909 წელს კი, აკაკის ევროპაში გამგზავრების წინ, შეთანხმდნენ, რომ აკაკი რომშიც ჩავიდოდა და მოინახულებდა მიხეილს და იქ მყოფ ქართველ სტუდენტებს. ამისათვის მიხეილი საგანგებოდ ემზადებოდა. ამ ამბით გახარებული, იგი აკაკის სწერდა: **„მაუწყეს თქვენი აქ მოსვლის სურვილი. ამ მოულოდნელმა ამბავმა მეტად გამახარა, რადგან თქვენი ნახვა ჩემთვის დიდი სიხარული იქნება. უმორჩილესად გთხოვთ, წერილით წინასწარ მაცნობოთ თქვენი აქ მოსვლის დრო... აგრეთვე მაცნობეთ, როცა იტალიაში შემოხვალთ, თქვენი აქ მოსვლის საათი, რათა მე სტანციაზე დაგიხვდეთ"** (იქვე, გვ. 9). სამწუხაროდ, მათი შეხვედრა არ შედგა, – აკაკიმ ვერ მოახერხა რომში ჩასვლა, რაზეც ორივე მამულიშვილი გულნატკენი დარჩა. პარიზიდან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აკაკი წერდა: **„თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ ფასდადებით სასწრაფოდ გამომიგზავნეთ, დიდად საჭიროა"** (ხ.ი. მ. თ. ა. საქმე 467, N 407).

მიხეილმა პოეტს გაუგზავნა თავისი პირველი წიგნი ***„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის"***.

როგორც მიმოწერებიდან ჩანს, მათ შორის იყო ქვეყნის ბედზე მაფიქრალი, ორი ადამიანის მჭიდრო მეგობრობა. ეს იმაშიც გამოიხატებოდა, რომ სხვადასხვა საკითხზე ხშირად უზიარებდნენ აზრს ერთმანეთს და თუ საქმეს სჭირდებოდა, არ ერიდებოდნენ და სთხოვდნენ დახმარებას. მიხეილი ერთ-ერთ წერილში აკაკის ატყობინებდა, რომ არ ჰქონდა სახსრები თავისი მესამე წიგნის გამოსაცემად. ამიტომ, სთხოვდა, რამენაირად დაკავშირებოდა იაკობ ზუბალაშვილს, ან დაეინტერესებინა ქართველი თავადები, რათა დროულად გამოეცა ქართველთათვის ეგოდენ საჭირო წიგნი" (ხ.ი. მ. თ. ა. საქმე 404).

აკაკი წერეთელი, სხვა ქართველი მამულიშვილების მსგავსად, უმაღლეს შეფასებას აძლევდა მიხეილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ მიხეილის სიცოცხლეშივე მოითხოვდა დაწერილიყო ფუნდამენტური მონოგრაფია ქართველი ხალხის ამ უდიდეს მოღვაწეზე.

მიხეილ თამარაშვილი აქტიურად თანამშრომლობა ქართველ მეცნიერებთან. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა თვის კოლეგებთან – ისტორიკოსებთან. ამ მხრივ საინტერესოა მისი ურთიერთობა პროფესორ **ალექსანდრე ხახანაშვილთან.** იგი ერთი იმათთაგანი იყო, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა მის მოღვაწეობასა და შრომებს და მასზე აღფრთოვანებული წერდა: **„მიხეილ თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლებია ვრცელის თხზულებისა წერა. მე პირველად ვხედავ ასეთ შრომისმოყვარე ქართველ კაცს. ეს პირველი მაგალითია, რომ ასეთ შრომასა და ცდასთან ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდეს"** *(ჟურნ. „საბა", „მიხეილ თამარაშვილის მემკვიდრეობა", გვ.10, 1911).*

ალექსანდრე ხახანაშვილმა, ჯერ კიდევ **ზაქარია ჭიჭინაძის** მონოგრაფიის გამოსვლამდე (1904წ), თავისი საგაზეთო წერილით, 1900 წელს, ქართველ საზოგადოებას გააცნო ევროპაში მომუშავე ქართველი მეცნიერის მოღვაწეობა და ღვაწლი სამშობლოს წინაშე: **„მიხეილ თამარაშვილმა დაგვიმტკიცა, რა შეუძლია ერთს ხელმოკლე, ქონებრივად შევიწროებულ მოღვაწეს, როცა იგი მეცნიერულის აზრით არის გამსჭვალული. თამარაშვილის შრომას შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის... ქართველმა საზოგადოებამ უნდა იკისროს ქონებრივი საშუალება ამ ძვირფასი შრომის დასაბეჭდავად, რადგან თამარაშვილმა შესწირა სამშობლოს საქმეს არა თუ შრომა, არამედ ზნეობრივი და ქონებრივი ძალღონეც"**. ასეთი შეფასების საშუალება მას მისცა მიხეილთან პირადმა ნაცნობობამ. იგი 1900 წელს სპეციალურად ჩავიდა რომში, რომ გაეცნო მიხეილიც და მისი დახმარებით მოეძია საჭირო ისტორიული მასალები. ამ ფაქტთან დაკავშირებით ივანე გვარამაძეს სწერდა, – რომში ჩავიდა ალექსანდრე ხახანაშვილი იმისათვის, რომ შეკრიბოს დოკუმენტები, ვინაიდან სომხები ახლა რუსულ გაზეთებში გამოსულან ხახანაშვილის სტატიის წინააღმდეგო. ალექსანდრე ხახანაშვილს წერილი ქართველი კათოლიკეების შესახებ ჰქონდა დაწერილი. **„ვიდრე ჩემთან მოვიდოდა აქეთ იქეთ ეძებნა, მაგრამ ვერაფერი ეშოვა. რა ნახა ჩემი დოკუმენტები, დიდ აღტაცებაში მოვიდა. რაც უნდოდა ყველა წყაროები მივეცი... აქედან პარიზში წავიდა. იქიდან მობრუნდება რუსეთში თუ არა, დაბეჭდამს თავის პასუხს"**, – სწერდა მიხეილ თამარაშვილი ივანე გვარამაძეს *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N1996, „მ. თამარაშვილის წერილი ივანე გვრამაძისადმი", 1900, რომი).* ერთი წლის შემდეგ იგი ივანე გვარამაძეს კვლავ სწერდა, რომ ალექსანდრე ხახანაშვილმა, მისგან მიწოდებული მასალებით, დაამთავრა თავისი წერილის დაბეჭდვა გაზეთ „მწყემსში". მიუთითებდა, რომ უკეთესი ფაქტები კიდევ ჰქონდა: **„თუ სომხებს კიდევ აქვსთ რამე მის წინააღმდეგ, ახლა გამოსცემენ. ამისათვის გთხოვთ რომ მანდაურ გაზეთებს, მეტადრე სომხებისას, კარგად თვალყური ადევნოთ და თუ რამე დასწერეს, მე მალე მაცნობოთ"** *(ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. N 1998. მ. თამარაშვილის წერილი ივ. გვარამაძისადმი, 1901).*

მიხეილისათვის, როგორც ისტორიკოსისათვის, განსაკუთრებით საყურადღებო იყო კოლეგების და, მათ შორის, ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ მისი შრომების შეფასება. ალ. ხახანაშვილი აღფრთოვანებული იყო მისი შრომით ***„კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის"***, რომელსაც ***„მოულოდნელობით სავსე ისტორია უწოდა"***. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის მიხეილს მიიჩნევდა ყველაზე დიდ ავტორიტეტად სასულიერო საკითხთა კვლევის საქმეში. ამიტომაც იყო, რომ როდესაც მოინდომა სახარებისა და სრულყოფილი ბიბლიის ქართულ ენაზე გამოცემა, რედაქტორობა მიხეილს შესთავაზა. მან კარგად იცოდა, ამ საქმეს მასზე უკეთ ვერავინ შეასრულებდა. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ იმ დროისათვის მიხეილ თამარაშვილი უკვე მუშაობდა თავის მომდევნო – დიდტანიან ნაშრომზე – ***„ქართული ეკლესიის ისტორია"***.

როგორც ჩანს, მიხეილ თამარაშვილის მორიგი შრომის ფრანგულ ენაზე გამოსვლამ ქართველი საზოგადოება გააკვირვა და დააბნია. ამიტომაც იყო, რომ მას გარკვეული ახსნა-განმარტების გაკეთება დასჭირდა. მან, აზრი ნაშრომის ფრანგულ ენაზე გამოცემის აუცილებლობის შესახებ, გაუზიარა თავის თანამედროვე ისტორიკოსს **მოსე ჯანაშვილსაც: „მეტად საჭიროდ დავინახე ამნაირი ისტორიის ფრანგულად გამოცემა, რადგან ევროპაში თითქმის სრულებით არ იციან საქართველოს ისტორია, და თუ იციან რამე, ისიც არეულ-დარეულად და შეცილებით თუ სომხებს და თუ რუსების შეცდომილი წერილების წყალობით"**. მან სწორად მიიჩნია, რომ ეს ფუნდამენტური ნაშრომი საქართველოს შესახებ ჯერ ევროპას უნდა გაეცნო. ქართულ ენაზე გამოცემის შემთხვევაში კი დიდი დრო დაიკარგებოდა, სანამ მოხდებოდა მისი რომელიმე ევროპულ ენაზე თარგმნა. მიხეილის მხრიდან ეს სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი ქართველმა მკითხველმა მხოლოდ 1995 წელს მიიღო მშობლიურ ენაზე.

ქართველი ისტორიკოსებისთვის და, მათ შორის, მოსე ჯანაშვილისათვის მიხეილ თამარაშვილი იყო ერის ღირსეული შვილი და მაღალი დონის მეცნიერი. სწორედ მან მისცა მას, როგორც ისტორიკოსს და მის შრომებს, განსაკუთრებული შეფასება. მოსე ჯანაშვილმა, როდესაც გაიცნო მისი პირველი ნაშრომი „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის", აღფრთოვანებულმა ხმამაღალი განაცხადი გააკეთა: **„ეს მარტო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების** და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორიაა, და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ქართლის ცხოვრება" უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნი კი პოლიტიკურსაც და ეთნოგრაფიულსაც" *(ჯანაშვილი მ., ჟურნ. „საბა", 2011).*

სიმონ ქვარიანი ერთ-ერთი თანამემამულე იყო, რომელთანაც მიხეილ თამარაშვილს ახლო მეგობრობა აკავშირებდა. ისინი ხშირად სწერდნენ წერილებს და უზიარებდნენ თავიანთ აზრებსა და შთაბეჭდილებებს. სიმონ ქვარიანი იმ ქართველთაგანი გახლდათ, რომელიც აფასებდა მიხეილის შრომას და აღფრთოვანებული იყო მისით. იგი ასევე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც გაეცნო მიხეილის მესამე წიგნს ***„ქართული ეკლესიის ისტორიას"*** და დიდი შეფასებაც მისცა. მან წიგნის გამოცემისთანავე 1911 წლის 15 თებერვალს ასეთი წერილი გაუგზავნა მიხეილს: „ერთი თვეა, რაც ჩამივარდა ხელში თქვენი ფრიად შესანიშნავი თხზულება ფრანგულ ენაზე: **„Leglize Georgienne"**, წაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშრომით, საგულისხმო მასალა-ფაქტებით და კარგი ფრანგული ენით. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია. ჩვენსა და ევროპის ლიტერატურაში ამ საგანზე ჯერ მაგის მსგავსი არაფერი დაწერილა. ბატონო მიხეილ, ჭეშმარიტად ვაშა თქვენს მხნეობას, მეცადინეობას და სამშობლო ქვეყნის სიყვარულს. მე აღტაცებაში მოვყავარ თქვენს ასეთ არა თანამედროვე ქართველობას, არამედ ნამდვილ ევროპულ უნარსა და ენერგიას. გისურვებ გულით დღეგრძელობასა და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ბედშავი ქვეყნის საკეთილდღეოდ" *(თამარაშვილი მ., „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე", თბ. 1995, წინასიტყვაობა, გვ. 8).* თანამემამულეთაგან ასეთ ობიექტურ შეფასებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვითონ მიხეილისათვის. რამდენადაც მათის მხრიდან ეს იყო მისი შრომის დანახვაც და დაფასებაც.

მიხეილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ სიმონ ქვარიანმა გაზეთ „თემში" დაბეჭდა საგაზეთო სტატია ***„მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას"***, სადაც ქართველ საზოგადოებას გაუმჟღავნა მიხეილის სამშობლოსადმი უსაზღვრო მონატრება და სიყვარული. იქვე გააცნო მიხეილის დამოკიდებულება თავისი მესამე წიგნის – „ქართული ეკლესიის ისტორიის" შესახებ: **„ცხადია უკვე გაცნობილი გექნებათ ჩემი ახალი შრომა (1910 წელს გამოცემული ქართული ეკლესიის ისტორია) ფრანგულად. თავის ქებას დაჩვეული არა ვარ. მოგახსენებ მარტივ ფაქტს. აქეთ ვინც კი მიცნობდა და ვინც კი ნახა ჩემი შრომა, ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ და ბევრისგანაც მივიღე ქების და მადლობის წერილები. აგრეთვე ბევრმა ჟურნალ-გაზეთებმა შესანიშნავი სტატიები მიუძღვნეს ამ ჩემს შრომას"**. მიუთითებდა, რომ უცხო ქვეყანაში მისი ნაშრომის მიმართ დიდი დაინტერესება და მოწონება გამოხატეს. მაგრამ მისთვის უმთავრესი იყო ქართველი საზოგადოების აზრი. **„მე აქამდინ არ ვიცი თუ როგორ დააფასა ქართველმა საზოგადოებამ ეს ჩემი შრომა, რომელმაც დიდი ხარჯი გამიმიზეზა. ფულს რას ვამბობ, თვით ცარიელი წერილიც კი არ მომსვლია... უფრო საკვირველი ეს არის, რომ ქართულ გაზეთებს დღემდი ხმა არ ამოუღია ჩემი წიგნის შესახებ. თუმცა მათი ვალი იყო, სხვა გაზეთებზე წინ მათ გამოექვეყნებინათ, ქართველი საზოგადოების ესრეთი განურჩევლობა მეტათ სამწუხაროა"** *(ქვარიანი ს., „მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას," გაზეთი „თემი", N 40).* როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოებისაგან დაუმსახურებელი უყურადღებობითა და გულგრილობით მიხეილი გულგატეხილი იყო. მისთვის უცხოელებზე მეტად თანამემამულეთა აზრი იყო საინტერესოც და აუცილებელიც: **„ასეთი შეუსაბამო ფაქტის შემდეგ კაცს რაღა გული ექნება, რომ კიდევ საქართველოს სასარგებლოდ იმუშაოს"**. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ მიხეილის დროებითი გულისტკენა იყო. ცნობილია, რომ მას მდიდარი მასალა ჰქონდა მოძიებული და ახალი ნაშრომის დაწერას აპირებდა საქართველოს ისტორიის შესახებ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიხეილისა და **სტეფანე** და **იაკობ ზუბალაშვილების** ურთიერთობა. რომ არა ზუბალაშვილები, მიხეილი ვერ შეძლებდა რომსა და სხვა არქივებში მუშაობას და, რაც მთავარია, თავისი უნიკალური ნაშრომების წიგნებად გამოცემას. მისი სამივე წიგნი სწორედ მათი მეცენატობით გამოიცა.

მიხეილ თამარაშვილის მასალებში ინახება მრავალ ქართველ მამულიშვილთა თუ უცხოელთა მიერ მისადმი გაგზავნილი წერილები. რომლებიც დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლიტერატურის მუზეუმში, ახალციხის სახელმწიფო მუზეუმში, ასევე სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის ფონდ-არქივში. წერილები საშუალებას იძლევა იმ ადამიანთა ვინაობის დადგენისა, ვისთანაც მას წლების მანძილზე ჰქონდა მიმოწერა, უზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს, აზრებს, ზოგჯერ გულისტკივილსაც. მათი რაოდენობა ძალზედ დიდია. ყველა მათგანი დღეისათვის ერთგვარ წყარო-მასალას წარმოადგენს, რამდენადაც მათში დაცულია მდიდარი ინფორმაცია მიხეილის მოღვაწეობისა და სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ.

დიახ, მიხეილი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც თავისი ნაშრომებით ევროპას გააცნო საქართველოს ისტორია და კულტურა, ხიდი გადო საქართველოსა და ევროპას შორის.

## ციური ლაფაჩი

საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, მწერალ-პუბლიცისტი, პედაგოგი, კალიგრაფისტი, მხატვარი, ლექსიკოგრაფი და ქართული სიტყვიერების დაულალავი შემკრები, **ივანე გვარამაძე** XIX-XX საუკუნეთა მიჯნის დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნება იყო თავისი ხანგრძლივი და მრავალმხრივი დამსახურებით.

ივანე გვარამაძის პედაგოგიური და სასულიერო საქმიანობა 1869 წელს დაიწყო. იგი, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ახალციხის იოანე ნათლისმცემლისა და სოფლების: ხიზაბავრისა და ივლიტის ეკლესიებში. ბოლოს 1892 წლიდან კვლავ ახალციხეში ბრუნდება და სიცოცხლის ბოლომდე რაბათის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დაწყებითი სკოლის ზედამხედველად, საღვთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად ინიშნება.

სწორედ ამ სკოლაში, ივანე გვარამაძის ზედამხედველობით აღიზარდნენ შემდგომში გამოჩენილი მოღვაწენი სამცხე-ჯავახეთიდან, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული მოძღვარი, მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე **მიხეილ თამარაშვილი** იყო .

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ივანე გვარამაძისა და მიხეილ თამარაშვილის ურთიერთობები რაბათის დაწყებითი სკოლიდან დაიწყო. აღმზრდელს იმთავითვე შეუნიშნავს მიხეილის განსაკუთრებული ნიჭი და **„საგანგებო წრთვნა დაუწყია მისთვის, ვითარცა საქმისათვის მოვლენილი კაცისა“**, ხოლო რაც შეეხება მიხეილ თამარაშვილს, მან მოძღვარსა და მასწავლებელს – ივანე გვარამაძეს ამაგი დაუფასა და საბოლოოდ განათლებულმა და განსწავლულმა თავისი წილი ხნული გაავლო საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. თუ, დღევანდელი გადასახედიდან დავაკვირდებით, ნათლად ჩანს მათი სანიმუშო ურთიერთობები, რის უტყუარ მაგალითებს სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული წერილებიც წარმოადგენენ.

ეს ურთიერთობები კი მას შემდეგ უფრო გაცხოველდა, რაც რუსეთის ხელისუფლებამ 1886 წლის 27 თებერვალს გამოსცა უმაღლესი ბრძანება კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენების გამო, საჭირო გახდა ენერგიული შრომა, რათა თავიდან აეცილებინათ სომხური რიტის დამკვიდრება ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში. ამიტომ იყო, რომ მიხეილ თამარაშვილი მთელი არსებით გადაერთო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, რათა ღირსეული პასუხი გაეცა როგორც მეფის რუსეთის მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილებების, ისე გაზეთ **„შმაკის“** რედაქციისა და დაშნაკური პარტიის რეაქციონერებისათვის.

ამ მიზნით, მიხეილი ივანე გვარამაძეს თხოვნით მიმართავდა: **„გთხოვთ, რომ ეგრეთი წარწერები კარგათ შემოკრიბოთ, საჭირო საბუთებით გაანმარტოთ და შეინახოდ, რომ მომავალ თაობას არ დაეკარგოს“**-ო.

აქვე, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ივანე გვარამაძის თავდაუზოგავი შრომით აღფრთოვანებული **ივანე ანტონოვი** თითქოს თამარაშვილის აზრებს იმეორებს თავის წერილში, რომელიც 1886 წელს გაუგზავნა ივანე გვარამაძეს: **„შესახებ ძველი დოკუმენტებისა, რომელსაც პოულობთ, ეცადეთ, რომ ყველა ეს დოკუმენტები კარგად შეინახოდ. არსად არ დაიკარგოს. თავის დროზე ძალიან გამოსადეგარი იქნება, რომ დამტკიცდეს ჩვენი პირველი მდგომარეობა“**-ო.

ივანე გვარამაძის ძალისხმევითა და მტკიცე ნებით შეკრული ეს „სამეული“ გვაროვნობისა და ქართულენოვანი ტიპიკონისათვის გამართულ პაექრობაში ჩაება. რომელსაც ცოტა გვიან მხარში ამოუდგნენ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოდან გასახლებული და ტრაპიზონში დამკვიდრებული კაპუცინიანთა ორდენის წარმომადგენლები. ისინი ერთხმად ადასტურებდნენ, რომ საქართველოში ყოფნის დროს მათ შორის სამცხე-ჯავახეთშიც ქართულენოვანი ტიპიკონი იხმარებოდა.

ივანე გვარამაძის ასეთმა მხარდაჭერამ მიხეილ თამარაშვილს ერთგვარად გაუადვილა ის ტიტანური შრომა, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ეწეოდა. მან თავისი უკვდავი შრომებით – *„ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (1901წ.), „პასუხად სომეხ მწერლებს, რომლებიც უარყოფდნენ ქართველთა კათოლიკობას„(1904წ.), „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (1910წ.)* პასუხი გასცა ყველას, ვისაც ქართული მოსახლეობის ეროვნულ-რელიგიური გათიშვა და დაპირისპირებასთან ერთად ერის გათიშვა და უფრო შორს მიმავალი გეგმები ამოძრავებდათ…

მიუხედავათ არაერთი თხოვნისა, მეფის ხელისუფლება კვლავ მხარს უმაგრებს დაშნაკებს და 1890 წელს N228 ბრძანების ამონაწერს უგზავნის ივანე გვარამაძეს, რომლის საფუძველზეც მას აუკრძალეს ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს ქართული ენის ხმარება... მამა ივანე იძულებული გახდა ბრძანებას დამორჩილებოდა, მაგრამ ისე, რომ ეკლესიას არც ესეოდენ, „ნანატრი“ სომხური ენა არ გააკარა.

აღნიშნული ფაქტი სწრაფად გავრცელდა საზღვარგარეთაც კი... ამის პასუხად 1893 წელს სტამბოლის „ფერიქვეის“ აღფრთოვანებული შეგირდები შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნიან მამა იოანეს: **„მამაო, ძალიან კარგი გიქნიათ, რომ ღვთისმსახურებას სკოლაში ასრულებთ ისევ ქართულად და საყდარში კი თურქულად ვინემც თუ სომხურად“**-ო.

**ივანე ანტონოვი** კი სარატოვიდან წერდა – **„ბარაქალა შენს ასეთ მოგონებასო“.**

სამწუხაროდ, მამა იოანეს „ხერხიანობის“ შედეგი დიდხანს არ გაგრძელებულა... დაუსრულებელ ზეწოლას ბოლო არ უჩანდა და საშინელ საგონებელში აგდებდა სამშობლოს მომავალზე მაფიქრალ, დაღლილ და გაწამებულ მოძღვარს. სამწუხაროდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ წირვის ნებადართულ გრაფაში ორი ენა მიუთითეს – სომხური და რუსული... ე.წ. „სამეული“ ისე გადავიდნენ იმქვეყნიურ სასუფეველში, რომ თან გაიყოლეს ქართული ტიპიკონის შეცვლით გამოწვეული უდიდესი ტკივილი...

## ივანე გვარამაძის გოდება მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების გამო



*მიხეილ თამარაშვილი. 1911 წ. ნახატი 2016 წელს საჩუქრად გადაეცა რომის პაპს საქართველოში ვიზიტის დროს. მხატვარი ნუგზარ თამარაშვილი*

„ორი ქართველი მამულიშვილის ურთიერთობები, – აღნიშნავდა პროფ. შ. ლომსაძე – მათი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ივანე დიდად ამაყობდა თავისი გაზრდილით და ეიმედებოდა მისი შრომა - საქმიანობა. ამიტომ იყო, რომ მისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდა მიხეილის გარდაცვალების ცნობა. ოსტატმა განუმეორებელი ტკივილით დაიტირა შეგირდი. ეს, დატირება კი არა, ნამდვილი გოდება იყო: „ღმერთო, ჩვენი შესავედრებელ და ძალ შემწე ჭირთა, რომელთა მპოვნეს ჩვენ ფრიად. ამ თვისა დილაზე, წირვის შემდგომ, მამა პატრი პავლე კალაიჯიშვილი მოვიდა ჩემთან, გახსნა თამარაანთ პატრი მიხეილის წერილი, რომელიც მოსვლოდა... 14 ენკენის თვეს მოწერილი და იმ წერილში მე მოვეკითხე სიყვარულითა და მპირდებოდა თქვენი წერილის პასუხსაც მალე მოგართმევთო. როგორღაც დიდად გამეხარდა, ცას დავეწიე, ასე არასდროს არ შემთხვევია, გამიკვირდა, გავოცდი ჩემს ფიქრში. თურმე გულმა შეიტყო, რომ მისი სიყვარულით მოკითხვა საუკუნოდ გამოსალმება იყო ჩემთან და მისთვის ასე სიხარულისგან აღვიტაცე, ავფრინდი. იმ კურთხეულმან არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე ამოიღო მეორე შავარშიანი წერილი, გადმოშალა, დავინახე თუ არა უზომოდ მოხარულმან ვიგრძნე დიდი უბედურების შორშოფი, რომ წამიკითხა იტალიანურად: „პატივცემული მამა თამარათი გმირულად ემსხვერპლა ცხონებული, ვუწირეთ და კიდევაც დავასაფლავეთო.“ თუ არ მაშინვე კალამი ხელიდან გამივარდა, თავზარი მეცა, თავბრუ დამეხვა: გამიშრა სისხლი, პირში ნერწყვი გამიწყდა, გულღვიძლზე შხამგესლით აქაფებული კაეშანი გადამესხა და მეტად გამიმწარდა უიმისოდაც დანაღვლინებულ დაშხამული სიცოცხლე, მრავალ ნაირის დარდ-ნაღველითა, ამ სნეულს მოხუცებულებას და უსამართლო სასულიერო დევნილობას და მიწასთან გასწორების დროს.

კურთხეულ იყოს მაღალი ღმერთი ჩვენი. ეს რაღა უბედურება იყო ჩემს თავზედ, არ მეყოფოდა ჩემი სამშობლო-მამულის უშველებელი ჯავრი, ნაღველი. რის გამოც ჩემი თავი დავიწყებული მაქვს და დღე-ღამ უნუგეშოდ დავსტირი მცულვართ უმეცრებს. შავბნელის წყუადითა, ვართ ერთიან უმოქმედოთ ხელ-ფეხ დაბორკილნი, გზა-კვალ შეშლილნი და გამოთაყვანებული, მღვდელი აღარ მღვდლობს; მარტო ცარიელ მღვდლობის და ქრისტიანობის სახელით კმაყოფილდებიან. წარმართებისაგან აღარაფრით აღარ ვირჩევით ცხოვრებაში. ამით ჩვენის ცოდვისათვის მოუშვია ღმერთს ჩვენზედ უცხო ტომნი მაჭირვებლად. შემოგვსევიან ოთკუთხივ და ძალის-ძალად ჩვენის წინაპართ მამა-პაპის სისხლით შეძენილ მიწა-წყალს, მთა-ბარს, ტყე-ღრეს, ინაწილებენ თავიანთში და ჩვენს ერობას უმოწყალოდ სმენ გულ-ხელდაკრეფილს, ძველისძველს მარად სამახსოვრო ნაშთებს ციხე-კოშკით. ეკლესიებს გვირღვევენ და გვიქცევენ, მონასტრებს გვაცლიან ხელითგან, ხატებს გვიძარცვავენ, ძვირფას ნივთებს იფორიქებენ და სასარგებლო რამეებს აღარ გვარჩენენ რას! მერმე მათი ჩარჩ-ვაჭარნი წყობ-წყობისად ზამთარ-ზაფხულს ტრიალებენ ჩვენის მთა-ბარ, სოფელ-დაბებში და უსამართლო აღებ-მიმცემობით და მევახშეობით სძარცვავენ ჩვენს საწყალ ხალხსა, ჩვენის ქვეყნის ნაყოფით გამდიდრებულან, გაბატონებულან, თავს გასულან და ჩვენს მტრობაში და სისხლის სმაში სული ხდებათ მამა-პაპით და კიდევ ვეღარ გამძღარან.

განსვენებული 20 წლის შემოვიდა ახალციხის წ-ა ი-ე. ნათლისმცემლის ეკლესიის საერო სასწავლებელში 1876 წ. ჩემს მასწავლებლობის დროს ისწავლა ქართული წერა-კითხვა. ძლიერ მომეწონა მისი ბეჯითობა და მიმღეობა სწავლაში. სიმშვიდე და ღვთისმსახურება, ურჩიე კოსტანტინეპოლს ქართველ კათოლიკეთა ჩვენს მონასტერში გაგზავნა რიგიან სწავლის მისაღებად. მაშინვე დამეთანხმა, დამყვა. მითხრა, დიდ სიკეთეს მიზამ, თუ მიმაღებინებ მამა პეტრე ხარისჭირაშვილსაო. მე მაშინვე წარვადგინე ქებით მასთან თუ არა, მიიღო და შემდგომ კიდეც წავიდა... განსვენებულმან 8 წლამდის იქამდი შეისწავლა ლათინური და ფრანგილი ენა, რომ მღვდლად ეკურთხა. 1889 წელს ახალციხეს მოვიდა, მერმე თბილისშიც იყო. უნდოდა თბილისში დარჩენა, მაგრამ პრელატმან ვისთითარ მაქსიმე არლოვსკიმ არ მიიღო. წელიწადი და ორი თვე დარჩა ახალციხეს: მე არ მშორდებოდა, ვებრალებოდი, რომ რისთვისაც მტრობდნენ დიდად წინამძღვარნი და მიწასთან მასწორებდნენ; ნუგეშს მაძლევდა და მპირდებოდა შველასა და შემწეობასა. მით ჩაიდვა გულში რომში წასვლა. მოვუწყე ხელი ჩემი შესაძლებლობისამებრ და გამგზავრდა. ერთწლამდი კოსტანტინოპოლს ჩვენს მონასტერში დარჩა და 1891 წელს წავიდა რომში სამოღვაწეოდ, დაიწყო კიდევ შრომა. გაამართლა ჩემი მოსალოდნელი და სხვაცა დიდი იმედი. 1896 წელს მომწერა მთელი შინაარსი ქართველთა შორის ქართველთ კათოლიკეთ ისტორიისა სანუგეშებლად და დამიმშვიდა გაწვრილებული გული მწუხარებისაგან და იქმნა უფრო მეტიცა ჩემი მარჯვენა, ძალღონი, ძლიერება, სული, გული და თვალის სინათლე. ნამდვილად ეს „მატიანე საკათოლიკედ ისტორია ქართველთა შორის" გამოსცა 1902 წელს, მერმე წიგნი. 2. პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკეთ, 1904 წელს. ახლა 3. საქართველოს ეკლესია დასაბამითგან ჩვენს დრომდის ფრანგულად, და გააცნო მთელ ევროპას საქართველოს დიდება. საუკუნოდ იყოს სახსენებელი მისი. აწ მით ვგლოვობ, ვსტირი მწარედ, წელი მწყდება, მუხლებ ვიტყეპ და თავში ვიცემ, რომ არავინ მეგულება ჩვენში ჯერჯერობით მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილ განათლებული, შეგნებილი, მართალი, სუფთა, ნიჭიერი, კურთხეული ენა-პირის მქონე, მიმზიდველი კაცის სულის, გულის და მანუგეშებელი დიდად. შეუვალ ციხე-კოშკივით მცველი, მფარველი იყო ჩვენი ძვირფასი საუნჯე, ჭკუითაც ცნობის კოლოფი, ტახტი მეცნიერებისა, მოსარჩლე სარწმუნოებისა. სამშობლო მამულის დიდი მოყვარე. გვარის ბატონი, ქვეყნის სანატრელი და მტრის საშურველი, ძლიერი ფარხმალი, რომ ცოტა კიდევ ეცოცხლა, ვინ იცის, რომს და ევროპას საწიგნეებში ყოფილ რამდენს დიდ სასარგებლო ისტორიულ ცნობებით, როგორ გაგვამდიდრებდა და გაგვიმაგრებდა წელზურგს, მაგრამ არ იქნა ჩვენის ცოდვისაგან არ ინება ღმერთმან. წამოგვექცა ანაზდელად (ანაზდეულად) თავს ჩვენი ციხე-ქალაქი, შეგვემუსრა კარი, გაგვიტყდა ტახტი, გაგვებნა საუნჯე, დაგველეწა კოლოფი და ყოველი ხელსაწყობი საცხოვრებელი. სიკეთე მოსახლეობისა წაგვივიდა ხელითგან. დავრჩით ცარიელ ტარიელზედ გულ-ხელ დაკრებილნი მოწმენდილ ცივ ცის ქვეშ ღვთისამარას. გული გვიკვდება, სული გვეხუთება. პირი აღარ გაგველება და აღარა გვეთქმის რა ამის მეტი. უფალმან მომცა, უფალმან მიიღო. ვითარცა უნდა უფალსა ეგრეცა იქმნა. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ უკუნისამდე. საუკუნო განსვენება მიანიჭოს მას უფალმა და ნათლითა სამარისით გაანათლოს იგი. განისვენოს მშვიდობით. ამინ!“

ამ ტრაგიკული ტკივილისა და გოდების შემდეგ ივანე გვარამაძეს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი ჯერ ლოგინად ჩავარდა და რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა.

აღნიშნულის შესახებ 1912 წლის 26 მაისს გაზეთი „დრონი“ სრულიად საქართველოს ამცნობდა: „24 მაისს, დილის 3 საათზე ახალციხეში გარდაიცვალა ქართველთა საქმისათვის თავდადებული მოძღვარი ივანე გვარამაძე.

დაკრძალვას სხვადასხვა სოციალური ფენის, მდგომარეობის, რწმენის ქართველობა ესწრებოდა. „საერთო ქართველს“ ქედს უხრიდა სრულიად საქართველო.

დაბოლოს. შეიძლება ითქვას, რომ დიდი ივანე გვარამაძის გოდებაში მოცემული ტკივილები, რომელიც ერთი საუკუნის წინ აწუხებდა მოძღვარს, აწმყოშიც არანაკლებ პრობლემატურია და ცოცხალი, რომ იყოს, დღესაც იგივეს გაიმეორებდა, რადგან ზოგიერთი პრობლემა ისე გაიზარდა და ყოვლისმომცველი გახდა, რომ იგი საქართველოს მთავრობისა და ქართველი საზოგადოების გონივრულ ჩარევასა და დროულ გადაწყვეტას მოითხოვს.

# ბჭა, რომლიდანაც არ გადამიხვევია...

## დავით ახლოური

ყველას კარგად მოეხსენება, რა რთული პერიოდი გამოიარა საქართველომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში...

ჩაბნელებული ქუჩები, ცხოვრების წესად ქცეული ყოველდღიური ძარცვა - რბევა, უკანონო ბანდების თარეში, ავტომატების კაკანში გათენებული და დაღამებული დღეები…

სიცივე და უმწეობა სუფევდა ირგვლივ...

სულიერი სიღატაკე უფრო თვალშისაცემი იყო იმ დროს, — გროშების ფასად იყიდებოდა ყველაფერი...

ამ მძიმე პერიოდს დაემთხვა ჩემი სტუდენტობა.

პურსაც ვერ ვყიდულობდი ქალაქში...

ყველაზე „მისაღები" იმ დროს რეალობიდან თავის დაღწევის გზა იყო, რასაც ჩემი თაობის ბიჭები ხან ალკოჰოლით და, ხანაც, ნარკოტიკებით ახერხებდნენ...

ასე იკარგებოდა თაობა...

ახლაც მიკვირს, როგორ გადავურჩი იმ დროებას, უცხო ქალაქში,

მთის მიუვალი სოფლიდან ჩამოსული ჯერ კიდევ 16 წლის ბიჭი ვიყავი. მხოლოდ წიგნი იყო ჩემი ნავსაყუდელი, წიგნი და მიზანი, რომლისთვისაც არასოდეს მიღალატია.

სულ მგონია, რომ დედამ გადამარჩინა. როგორც კი დავაპირებდი „იოლი გზით" წასვლას, დედის თვალები დამიდგებოდა ხოლმე წინ, ლოდინით და მონატრებით დაღლილი თვალები და მზად ვიყავი, ღირსეულად მეტარებინა ჩემი წილი მძიმე ჯვარი.

ახლა დედა აღარაა, მაგრამ, როცა ვცოდავ ღვთისა თუ მოყვასის წინაშე, მაშინვე დედა მახსენდება და პატიებას ვთხოვ ჯერ უფალს, მერე დედის სულს, რომელიც ყველგანაა, სადაც მე ვარ...

### შინდისელი გმირები

დიდი მსხვერპლი გაიღო საქართველომ დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში...

ჯერ იყო 9 აპრილი,

შემდეგ სამაჩაბლო, გინდაც, ასე ვთქვათ — ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი...

ბოლოს კი 2008 წლის აგვისტო...

მოგვიგო ომი რუსეთმა...

დღეს საქართველოს ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია, მაგრამ ამ ბრძოლამ დაგვანახა, რომ ქართული სული უკვდავია და ასე ადვილად არ დანებდება დამარცხებას.

ჩვენი ვაჟკაცი ბიჭების გმირობამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა „ძლევაი საკვირველი" დიდგორთან და თავდადება კრწანისის ველზე, გამარჯვება შამქორთან და უშიშობა „ძაღლთაპირ" კეისართან...

მტერიც კი გაოცებულა აგვისტოს ომში ქართველთა სიჩაუქით...

ათასი ბრძოლის თუ სისასტიკის მნახველი რუსი გენერლებიც კი დავამუნჯეთ შინდისში...

ერთიც შევნიშნე ამ ბოლო დროს, — „შინდისელი გმირები" სინონიმად იქცა ყველა იმ გმირის,

ყველა იმ ერისკაცის, ვინც აგვისტოს ომში საქართველოსთვის თავი გაწირა...

ისინი ჩვიდმეტნი კი არა, ბევრნი არიან...

როცა ამდენი გმირი გყავს, აღარც დამარცხების უნდა გეშინოდეს და აღარც სიკვდილის.

როცა მათ იხსენებ, მხოლოდ ერთიან საქართველოზე, მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ფიქრობდე!

### მომავალი, რომელსაც ჩვენ ვქმნით

— როგორი ახალგაზრდა თაობა გვყავს? — ხშირად ეკითხებიან უფროს თაობას საგაზეთო თუ სატელევიზიო ინტერვიუებში.

პასუხი ყოველთვის ორაზროვანია.

ზოგჯერ ვფრთხილობთ, ვინიღბებით და მოკლედ ვპასუხობთ:

— ისინი ჩვენზე უკეთესები არიან.

არადა, ჩვეულებრივ, არაოფიციალურ საუბრებში ხშირად გამოგვიხატავს უკმაყოფილება:

— ეს რა თაობა მოდის,

არ გვისმენენ,

წიგნს არ კითხულობენ,

არ სწავლობენ...

ვასწავლით კი და არ სწავლობენ?

ვსაუბრობთ კი ისე, რომ მოგვისმინონ?

გვიფიქრია კი იმაზე, თუ სად უნდა გავჩერდეთ და რა გზას ვუტოვებთ მათ გასაგრძელებლად?

დავით აღმაშენებელი იმიტომაც იყო ქართული პოლიტიკური გამჭრიახობისა და ადამიანური ღირსების მწვერვალი, რომ დიდი მასწავლებლის მხრებზე იდგა.

იქნებ ჯობდა, სხვის გაკიცხვას, ასე თვითდაჯერებულებს, ჯერ საკუთარი თავი შეგვეცნო კარგად.

იქნებ არ გვაქვს იმ მომავლის განსჯის უფლება, რომელსაც ჩვენ თვითონ ვქმნით...

### რეალურ ცხოვრებაზე უფრო რეალური სამყარო

— ნახეთ, მეგობარმა რა კარგი სუვენირი მისახსოვრა?! — ვუთითებ ნაცნობებს ძვირფას საჩუქარზე.

შეძლებულია ჩემი ძმადნაფიცი, უკვირთ ამიტომაც:

— ეჰ, ეგ რა არის, მაგის ჩუქებას ფული ეჩუქებინაო...

— რად მინდა მაგის ფული? — ვწყრები, მაგრამ ვერც ამ განაწყენებას იგებენ...

ილია მართლის პრემია მომანიჭეს...

მიხარია, ამაყად ვაჩვენებ ყველას...

— ფული? ფული რამდენი მოჰყვა მაგ პრემიას?

— განა ფულით ფასდება წმინდანის ორდენი?

— კარგი რა, ასეთი ორდენი გინდა მოუციათ, გინდა არა...

სიამაყით ვუყურებ ჩემი და მეგობრების რჩეული ლექსების მრავალტომეულს...

ვუყურებ საათობით და ბედნიერი ვარ...

— რამდენი გრჩება თითო ტომიდან? — ისევ ჩამესმის ნაცნობის გამყინავი ხმა.

— მე, არაფერი... მთავარია ეს ტომები დარჩეს ისტორიას...

— დღევანდელზე იფიქრე, დღევანდელზე — მიწყრება ჩემი ნაცნობი...

არავის ვამტყუნებ... ან როგორ უნდა გავამტყუნო, თავის გადარჩენაზე ორიენტირებული საზოგადოება?

ფული ზოგს იმისთვის სჭირდება, შიმშილს დააღწიოს თავი, ზოგს კი იმაზე მეტი უნდა ჰქონდეს, რაც აქვს.

ვინც მე მიცნობდა,

ვინც ჩემს ირგვლივაა,

ყველამ იცის, რომ მატერიალურად არასდროს მქონია დალხინებული ცხოვრება.

არადა, მე ხომ ვიცი, რომ მდიდარი ვარ...

თუნდაც იმიტომ, რომ რეალურ სამყაროზე უფრო რეალურ საკუთარ სამყაროში ვცხოვრობ...



### თუ სამშობლო გადაგვირჩა...

ათეულობით ახალ სტატუსს ვეცნობი სოციალურ ქსელში ყოველდღიურად...

მათი უმრავლესობა პოეზიას ეხება...

ცხოვრობს საქართველო ლექსით...

ზოგი წერს, ზოგი იწონებს...

ზოგი აღშფოთებულია...

ზოგი აღფრთოვანებული.

ყველა ლექსის მწერალს კი თავი გამორჩეული ჰგონია...

დიდი თუ პატარა, სუსტი თუ ძლიერი იმას ბრაზობს — რატომ იწონებენ ყველაფერსო...

ნეტავი მართლა მეტი საფიქრალი არ მოგვცა, გარდა ლექსისა,

ნეტავი მართლა მეტი სადარდებელი არ გვქონდეს...

ნეტავი მართლა ქვეყანა ქვეყანას გავდეს და პოეზიას ეშველება რამე;

კარგი ლექსიც დაიწერება და ცუდიც.

ავს ნუ იქმს კაცი, თორე ლექსის წერით ვინ რას აშავებს...

წყალნი წავლენ და წამოვლენ... ნაღდი ლექსი კი, ჩვენი ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე, დარჩება ისტორიას...

ლექსიც გადარჩება, თუ ჩვენ გადავრჩით...

თუ სამშობლო გადაგვირჩა, — იქნებ ამაზე უფრო ღირდეს ფიქრიც და წერაც...

### სულის სიმშვიდის ძიებაში

ბევრი რამ შეიძლება დაისახო მიზნად, —

ზოგს კარიერა აინტერესებს,

ზოგს — ოქრო - ვერცხლი,

ზოგს — პოპულარობა და ასე, დაუსრულებლად ვისწრაფვით სიახლისაკენ...

რამდენადაც შემიმჩნევია, არც ერთ მათგანს არ მოაქვს სულის მარადიული სიმშვიდე...

ყველაზე მთავარი მაინც ჩვენი დღენიადაგ სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა... სულიერი და ხორციელი სრულყოფა ხომ თვითონ უფალმა დაგვისახა მიზნად...

არ გაგიკვირდეთ ხორციელი სრულყოფის ხსენება — ვიდრე ვიპოვით, სულ ძიებაში ვართ მეორე ნახევრის, რომელსაც ხან დაკარგულ ნეკნად მოვიხსენიებთ, ხან მზის ხატად და, ხანაც, მთელ სამყაროდ...

არც მისი პოვნაა ადვილი და არც ჩვენი ცხოვრება — მისი პოვნის გარეშე...

წარმოიდგინეთ, მილიონობით ულამაზეს ქალს შორის ერთადერთშია ის, რასაც შენი სიყვარული ჰქვია და რასაც სხვაში ვერასოდეს აღმოაჩენ. ერთადერთია ის, ვისაც გაღვიძებისთანავე იგრძნობ გულისცემასთან ერთად...

მხოლოდ სიყვარულშია სულის სიმშვიდე და ბედნიერება...

### ჩემი მაწუხარა გოგო

— გიყვარვარ? — მეკითხება ჩემი სიყვარული...

მეღიმება მის კითხვაზე, ვიხუტებ გულში და ვაგრძნობინებ, რომ ისევ მიყვარს, ისევ კი არა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე მყვარებია...

— გიყვარვარ? — არ ისვენებს და არც მე მასვენებს ,,მაწუხარა" გოგო...

იცის, რომ მიყვარს, იცის, რომ მის გარეშე სუნთქვა არ შემიძლია და მაინც — არ გიყვარვარო — მებუტება...

მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველწამს გავუმეორო, როგორ მიყვარს, როგორ ვაღმერთებ...

— მიყვარხარ,

მიყვარხარ,

მიყვარხარ! —

ვიმეორებ მეც ასჯერ,

ათასჯერ,

მილიონჯერ...

არც არასოდეს მომწყინდება ამ სიტყვების გამეორება...

### თუ გულში არ ხარ...

ხშირად გადაამოწმებენ ხოლმე საყვარელ ქალს თუ მამაკაცს — სადაა, ვისთანაა...

განსაკუთრებით ურთიერთობის დასაწყისში.

ეს, ალბათ, ერთგვარი ეჭვიანობაა. იქნებ ეს ეჭვიანობა სიყვარულისა და ზედმეტი სიფრთხილის ბრალიცაა ზოგჯერ...

არადა, მთავარია გულში იყოს,

თუ შენს გულში არაა და მის გულში არ ხარ, რა აზრი აქვს — სად იქნება!

### გვიყვარდეს ერთმანეთი

უკანასკნელ ხანს, ვირტუალურ თუ რეალურ ურთიერთობებში, ხშირად ვისმენთ ერთ ძალიან ლამაზ სიტყვას - ,,გაიხარე"... ეს მადლობის სამაგიეროცაა, დალოცვაც...

გულის სითბოს ვგრძნობ ამ მადლიანი სიტყვით და ვთბები...

როგორ მინდა ჩვენს ირგვლივ ხშირად ისმოდეს სიტყვები:

„მიყვარხარ,"

„მიხარიხარ," „მეთბილები,"

„ღმერთმა დაგლოცოს..."

უფალი ორჯერ გვაძლევს შანსს სამოთხეში ცხოვრებისა — სააქაოთაც და საიქიოთაც...

სამწუხაროდ, ვერ ვუფრთხილდებით ღვთისგან ბოძებულ ყველაზე ძვირფას საგანძურს — სიცოცხლეს. სიყვარულის მაგივრად, გულს სიძულვილს ვუთმობთ და სხვასაც ამას ვასწავლით მერე... ჩვენ თვითონ ვდევნით საკუთარ თავს ამქვეყნიური სამოთხიდან... თუ ცისქვეშეთში ვერ ვპოვეთ სულის სიმშვიდე, მარადიულ სამყოფელში როგორ ვიპოვით?..

გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ, გვიყვარდეს ერთმანეთი...

ისედაც წუთია ჩვენი წუთისოფელი...

### სიგიჟისა და სიჭკვიანის წუთები

ხანდახან მარტო რჩები, — ერთი ყველას წინააღმდეგ, თან, ამ დროს, თავი მართალი გგონია და ნაწყენი ხარ ყველაზე და ყველაფერზე...

სწორედ ასეთ რთულ სიტუაციაში ყოფნისას გებადება კითხვა: — ნეტა მე შევიშალე თუ მთელი სამყარო?..

ალბათ, ყველას გვაქვს სიგიჟის და სიჭკვიანის წუთები, ამ წუთებით ვამახსოვრდებით საზოგადოებას, სხვა დანარჩენი დროის ფლანგვაა...

### ქართული გენიის „აი-ია"

ერთი ბრძენკაცის ნათქვამი მახსენდება ახლა:

— ასე მგონია, ყველა ღირსეული ქართველი იაკობამდე და იაკობის მერეც „დედაენის" მადლს იყო ნაზარებიო...

ალბათ, ყოვლისშემოქმედმა შთააგონა ვარიანელ გენიოსს მარადიული წიგნის შექმნა მაშინ, როცა ყველაზე მეტად უჭირდა ქართულ ენას. ამიტომაც აუგო ძეგლი დიდი პედაგოგის ნაღვაწს ქართველობამ...

დღესაც უჭირს რუსთველის ენას, ხშირ შემთხვევაში ქართულზე მაღლა „მსოფლიო ენებს" აყენებს მოყვასი ჩემი.

იქნებ ზოგიერთისთვის „დედაენასაც" გაუვიდა ყავლი.

ზოგიერთისა რა გითხრათ, მაგრამ ქართველი ერისთვის იგი უფლის სიტყვაა, თვალშეუდგამი ქართული გენიის ,,აი - იაა!"

### ჩვენი „ვეფხისტყაოსანი"

არ ვიქნები ორიგინალური და ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ, თუ ვიტყვი, რომ გენიალურია ჩვენი ,,ვეფხისტყაოსანი", გენიალური და საოცრად ქართული, სულისმიერი...

არ ვიცი, სხვა რომელი დიდი ნაწარმოები იწყება ისე, როგორც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის ყოველი დილა (ან, თუნდაც, აკადემიასთან გაიგივებული ქართული სუფრა), — უფლის ხსენებით და განდიდებით — „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა"...

პირველივე სიტყვიდან ხედავ უფალს, გრძნობ მის ყოვლისშემძლეობას და, უნებურად, იმეორებ :

„დიდება უფალს"...

### უბრალოდ... პოეტი

ყველაფერმა დაკარგა ფასი, ყველაფერმა...

არც სიტყვა „პოეტის" გაუფასურება მიკვირს...

ლექსი კი არა, ლექსის იმიტაციაც რომ შემოგვთავაზოს ვინმემ, მაშინვე ვამკობთ ათასნაირი წინსართებით:

„გენიალური",

„უდიდესი",

„უნიჭიერესი"...

პოეზიის მეფეთ-მეფე,

დედოფალთ-დედოფალი და ასე, დაუსრულებლად...

არადა, რა დიდი პატივი იქნება ჩემთვის, ჩემს მერე, როცა „წყალნი წავლენ და წამოვლენ," მკითხველმა უბრალოდ და გულწრფელად მომიხსენიოს ერთ რიგით ქართველ პოეტად.

### ემიგრანტების ბედი

ძალიან მაწუხებს ემიგრანტების ბედი, ყველაზე მეტადაც დაკარგული ტერიტორიების შემდეგ...

ჩემთვის საქართველოზე ფიქრი, საუბარი და, თუნდაც, სადღეგრძელო, ემიგრანტებიდან იწყება...

გულით მინდა, ყველა ქართველი საკუთარ მიწას დაუბრუნდეს...

ერთი მეგობარი პოეტი ასე მიმართავს თანამემამულეებს: —

მოკვდი იმისთვის,

გაჩნდი რისთვისაცო...

სამშობლოს მიწის ნაწილად უნდა ვიქცეთ ყველა.

ესაა ჩვენი ბოლო და სამარადისო ბედნიერება.



# თეა ხასაია

***

ვ.ჭ. -ს

ყაზბეგში ცა ალბათ ლივლივებს,
სტამბულში – ღრუბლებით ნარუჯი,
გადაღლილ ტერფებით ვივლი ბევრს,
თუ ვერ მოგაგენი, რა უჭირს.

ოცნებაც ხომ გამინაპირებს,
მოკაზმავს ფიქრების კარეტას,
წასვლას კი ჯერ განა ვაპირებ,
მზედ გიცან, შინაც და გარეთაც.

როგორაც სულში არ მიწვიმდეს,
მოხვალ და ფიფქივით გადნები,
ყაზბეგში შენ ხარ და სიწმინდე,
სტამბულში – შავ-თეთრი კადრები.

* * *

შეაცივდება სახეს ღიმილი,
ზოგჯერ ცრემლებსაც ეჩვევი თურმე,
ვერ შევიბრუნე ყოფნა ძილივით,
უჩვენო დღეებს ვერ შევიბრუნებთ...

წუხელ დაღამდა და ცის ტილოზე
სევდის ბადეებს მთვარე ამოჰყვა,
ვერ დავიძინე, ველარც ვილოცე,
რა მეშველება, შენ თუ არ მოხვალ?

ჩამომივარდა იმედის მართვე
სულის ჭალებში დარგულ შინდიდან,
სევდის ობობა სიხარულს მართმევს
გუშინწინიდან და გუშინდლიდან.

დაასკდა ჩიტი გრძნობა ღორღიანს,
ვით სკდება ქვევრი – ბადაგუხდელი,
სულ მეშინოდა ხარკი გრძნობისთვის
არ დაგვრჩენოდა, გადაუხდელი...

ვერ შევიბრუნებ დღეებს ძილივით,
დილას მზის ნაცვლად მთვარე ამოჰყვა,
ჩურჩულით ვმარცვლავ კითხვებს სკვნილივით,
რა მეშველება, შენ თუ არ მოხვალ.

* * *

რა საჭიროა, ყველაფერზე გული გწყდებოდეს,
არახდენილის სინანულით იავადმყოფო,
სხვა იღიმოდეს, შენ თვალებზე ცრემლი გწყდებოდეს,
თვალაუხელელ არსებობის ჭიად გამყოფოს...

რა საჭიროა, რომ დაღალულ სულში გიწვიმდეს,
დამსხვრეულ ფრთებსაც ხომ გრიგალი
მილალავს მზესთან,
რამ დაგავიწყა, შენეული სულის სიწმინდე
პირდაპირაა რომ კავშირში სილამაზესთან...

ვერშეგუებით რომ სულის თასს ეკლებით ავსებ,
რომ მინორები მაჟორნოტთა გამას მოება,
რამ დაგავიწყა საყვარელო, ეკლესიასტე,
რამ დაგავიწყა მშვენიერო, ამაოება!!!

* * *

მე უამრავჯერ სხვათა ჯვარიც ზურგით მომქონდა,
ჩამომიხსნია მეც მოყვასი ხშირად კარჩხიდან,
დაუნახავ ხალხს რა გამოლევს, ღმერთო, ოღონდაც,
არ მათქმევინო – „ნეტავ, რა მრჯიდა?!“

ცეცხლშიც ვიწვოდი მოკეთისთვის, როგორც წიფელი,
ლაღად ფრთებს გაშლის, – როგორ ხარო?
– ხშირად არ მკითხავს.
შემაძლებინე, კვლავ მიყვარდეს მთელი სიწრფელით,
ნუ მათქმევინებ: – ღმერთო, „არ მიყვარს!!“

* * *

შვილიშვილ ნიკოლოზს

ჩემო გულყვითელა მგალობელო,
ჩემი არსებობის ტალავარო,
ნაზად ღუღუნებ და გვამცნობ ყველას:
იცით, მე პატარა არა ვარო...

ბებოს მოფრთხიალე ჩიტუნიავ,
მომსკდარ სიხარულის შეგუბებავ,
მხურვალ მონატრებით ვატან ნიავს
ჩურჩულს: შემოგევლოს შენი ბება....

ბებოს მოჩუხჩუხე ნაკადულო,
უფლის მოწკრიალე ეჟვანებით,
ჩემო ნებიერავ, დახატულო,
ბებოს ყოველ ღამე ეზმანები.

გედის ყელ-კისერის მოღერებავ,
ფიქრო-გამართლებავ ჩემი მოსვლის...
ავი არასოდეს მოერიოს,
ღმერთო, დამილოცე ნიკოლოზი!!!



* * *

სულის ნაპირთან მოყრილ სველ ძელებს,
როგორც ტკივილებს, არ ვკრავ ტივებად,
რატომ არ ვიცი, მე ვერ შევძელი
ჩემი გრძნობების გამარტივება...

ვუბრუნებ ტალღებს ტკივილის მორებს,
ვცადო, შარბათი შევსვა ნებაზე,
მე ისევ ვებრძვი სიცოცხლის მორევს
და არ გავდივარ შესვენებაზე.

* * *

ჩემს სულში წვიმს და ნიადაგ წვიმდა,
ტანზე მაყრი და ხაოა ზიზი,
ზოგჯერ ავხორციც, ხან ასე წმინდა,
უდაბნოც ვიყავ, ხან ოაზისი.

რადგან კარგიც და ცუდიც გაივლის,
ვისწავლე, რომ ვთქვა, – რა ამო დღეა,
და ეს სიცოცხლე ნამდვილ ქალივით,
ხან ჯოჯოხეთი, ხან სამოთხეა.

* * *

ქარიშხალი თუ სეტყვაა,
ფოლადი ხარ თუ რკინა ხარ,
რა უცნაური სიტყვაა,
რომ ვუფიქრდები – ,,კინაღამ".

უეცრად შემომეყარა,
გული გამისკდა კინაღამ,
კინაღამ შემომეყვარა,
გადავირიე კინაღამ.

კაცო, კინაღამ გამლახა,
ასეთი არსად მინახავს,
სარკეში ვნახე ახლაღა:
გავჭაღარავდი კინაღამ.

წუხელ დავთვერი კინაღამ,
იქვე მომინდა მივწვე მე,
ერთის მომინდა კი ნახვა,
მერე კინაღამ მივწერე...

ისე, მაკოცა კინაღამ,
სურვილი ყელში გადამცდა,
ამ სურათს სულში ვინახავ
და გავგიჟდები სადაცა...

გეყოს ,,კინაღამ "ამდენი,
მხოლოდ დარდია ნამდვილი,
კინაღამ კარგის ჩამდენი,
კინაღამ მუდამ ადვილი...

ასე დუელსაც მოგიგებ,
სიცოცხლევ, გესვრი ხელთათმანს,
სანამდის ბოლოს მომიღებ,
რამე ნამდვილი, – გეთაყვა!!

* * *

ღმერთო, შენ იცი, იმდენად მიჭირს,
გადავტენიდი პირთამდე მჭიდებს,
გმადლობ, მარგუნე ტკივილის ნიჭი,
თუმც ხშირად ვიცემ გულმკერდზე მჯიღებს.

როცა ხიფათი ყველგან გზას მიჭრის,
არამგონია, შენს შვილს შენ მსჯიდე,
რადგან მომეცი მოთმენის ნიჭი,
მინდა ტკივილი მუზებად მჭირდეს...

თუმც ვეზიდები, როგორც ფუფალა,
ჭინჭში გამოკრულ ნაღველის ბოხჩებს,
კვლავ მე მეტკინოს მსწრაფლ და უმალად,
ოღონდ, ვინც მიყვარს, ისინი მორჩეს...

დაე, გაგრძელდეს ნაცვლად საშველის,
სევდის ქურაში სულის წვა-წვართვა,
ოღონდ მიცოცხლე ვინც მიყვარს ყველა
და არასოდეს არვინ წამართვა!!

* * *

ასე დაღლილი ვერაფერთან ვამყარებ კავშირს,
ქვიშის მარცვლებად გაბნეულა უაზრო წლები,
პენუარივით შემოვიცვამ ოცნების ქაშმირს
და ყოველ ღამე მონატრების ცრემლებით ვწვები.

ფიქრის ბურუსში გავიხსენებ მირიად წვრილმანს,
მაგრამ არა და არ გაკრთება იმედის სხივიც,
ძილ-ღვიძილივით გადაიღებს ღამეც და წვიმაც
და ახალი დღე მამალივით სარკმელთან ყივის..

* * *

ნუ დაგავიწყდება, სიკვდილო,
ბევრი გყავს ჩემსავით მოდავე,
ხორცით ამოყორვას კი ცდილობ, –
სულიც გაგვაჩნია მოკვდავებს!

იმდენჯერ ცრემლებად მოწვიმე,
ყელს ბურთი გამჩარე მგუდავი,
შენ ვერ დაგვიჯაბნი, ხორციელთ
სული გაგვაჩნია უკვდავი.

* * *

მზად ხარ შეცვალო შენი სხეული,
თეთრ კანს შეაჩვევ, ალბათ, გარუჯვას,
მაგრამ დარჩები მაინც ეული,
ვერსად წაუხვალ მაინც ქალურ ჯვარს.

სულის სარკმელი ისევ მიკეტე,
წერტილის ნაცვლად არ დასვი მძიმე...
რად არის მჩატე მგზავრის სიკეთე,
ცოდვა რად არის ან ამ სიმძიმე.

დარჩი უცნობი ნოტი, ანბანი,
სულის და ხორცის თბილ გიტარაზე,
და მაინც თითქმის ცოდვით განბანილს,
მომდევნო ცოდვა კვლავ გიდარაჯებს...

აგერ, მიწაა, ჰა, აგერ ცა და
მაინც ყოველი გეუცხოვება,
ნაცვლად იმისა, რამე გეცადა,
უკვე ეჩვევი ეულ ცხოვრებას...

საღამოვდება...ყოფნის გრიგალში
და შენი სულიც, ვით ცა იელვებს,
უცნაურია, იყოს ერთ ქალში
სისავსე, ცა და სიცარიელეც...

*დათჩა, 2018 წელი*

მურმან თავდიშვილი

# სარგის თმოგველის სახელით

საქართველოს მესხეთმა კულტურის უამრავი მოღვაწე მისცა. მათ სრულად ჩამოსათვლელად მკვლევარს დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდებოდა. ყოველივე ამას კი ლიბო დაუდო ქვეყნის პირველმა ალმაშენებელმა დიდმა გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც ეგ მხარე ეკლესია-მონასტრებითა და განათლების შუქით მოჰფინა. ამის შემდეგ მესხობა მკვეთრად გამოირჩა სწავლითა და ცოდნა-განათლებით. აღნიშნულის ერთგვარ დასკვნა-დაგვირგვინებად მიმიჩნევია მეორე გრიგოლის, რომანტიკოს ორბელიანის, ცამდე მართალი სიტყვები:

,,მესხი სწავლითა ქებული...“

,,სადღეგრძელოს“ აღნიშნულ სტროფში რომანტიკოსი ძალიან ძუნწად, ორიოდე სიტყვით, ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს ქართველ ტომებს და მესხთა ეს დახასიათებაც დამასკოს ფხიანი ფოლადივითა ჭრის.

ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ სწორედ ამ მხარეში დაიბადა რუსთველის თითქმის თანასწორი სიტყვის ჯადოქარი სარგის თმოგველი. მის შესახებ გამოთქმულია ფუძემკვიდრი მოსაზრება, რომ იგი გახლდათ ,,მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, ვარამ მხარგრძელის ვაჟი (თმოგველობა მიიღო 1191 წელს); ისტორიულ-ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით, მას მიეკუთვნება რომანული ეპოსი ,,დილარგეთიანი“, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და, ქართული ,,ვისრამიანი“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფახრ-ედ-დინ გორგანის პოემის ,,ვის ო რამინის“ მაღალმხატვრულ პროზაულ თარგმანს“ (ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, I, თბილისი, 1984, გვ. 225).

ამრიგად, აქ დაფიქსირებული მწერლისეული ღვაწლი ორმხრივ საინტერესოა. ჯერ ,,დილარგეთიანის“ ამბავი განვიხილოთ.

ამ მიზნით ყურადღებით ჩავუკვირდეთ იმ ძუნწ მითითებას, რომელიც აგვირგვინებს ,,ვეფხისტყაოსანს“. აი, ეს ცნობილი პოეტური აბზაცი:

**ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,**
**აბდულ-მესია - შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,**
**დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,**
**ტარიელ - მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.**

(ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებიანად, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1956, გვ. 331).

აღნიშნული ცნობა არვითარ ეჭვს არ იწვევს. ეს სტროფი პოემის უძველესი დანართია. აქ ინტერპოლატორი ზედმიწევნით იცავს ორ რასმე: როგორც ქრონოლოგიას, ისე ჟანრობრივ პრინციპს. კერძოდ, სწორად არის მითითებული, რომ რუსთველის ეპოქაში - XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ ლიტერატურას შემატებია ოთხი მეტად მნიშვნელოვანი ეპიკური ძეგლი, ანუ რომანი. ჯერ ჩამოყალიბებულა მოსე ხონელის ,,ამირანდარეჯანიანი“, სადევგმირო=საფალავნო ამბავი; შემდეგ ამას მოჰყოლია იოანე შავთელის ,,აბდულ-მესია“, რომელიც აწ დაკარგული რომანია. იგი საძიებელია, ხოლო ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული ე.წ. ,,აბდულმესიანი“ გახლავთ 107 სტროფიანი ლირიკული ქმნილება, ხოტბა-შესხმითი გრძელი ლექსი, უკეთ – ლირიკული პოემა; მისი ავტორია მიტროპოლიტი იაკობ შემოქმედელი-დუმბაძე და სინამდვილეში ეწოდება ,,ქება მეფისა არჩილისა“; დაწერილია იგი 1661 წელს (იხ. ბ. დარჩია, ,,იაკობ შემოქმედელი“, თბილისი, 2009; მ. თავდიშვილი, ,,დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში“, თბილისი, 2010). ამის შემდეგ ქრონოლოგიურად მესამე ადგილზეა სარგის თმოგველის ,,დილარგეთიანი“. მაშასადამე, ,,დილარიანიც“ ეპიკური თხზულებაა! მეოთხეა ,,ვეფხისტყაოსანი“. ინტერპოლატორ-ისტორიკოსი, მიმოიხილავს რა XII-XIII საუკუნეთა ლიტერატურას, ეპიკური მიმართულების გვირგვინად ,,ტარიელიანსა“ სახავს.

აწ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სარგის თმოგველის ის ძუნწი დახასიათება, რაც აქ არის წარმოდგენილი: იგი ყოფილა ,,ენა-დაუშრომელი“, ანუ ენადაუღლელი. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება როგორც ეროვნული ენის ნიუანსთა წვდომა, ისე ლექსიკური მარაგის ამოუწურველობა და მისი დროულად მომარჯვება. ,,ენადაუაშრომელი“ ბევრ რასმე იტევს და გულისხმობს.

ეს ძალიან ძვირფასი შენიშვნაა. ის გულისყურს გვიხედნის და გვიფაქიზებს.

მეისტორიე-შემფასებელი აქ ძვირფას ცნობას იძლევა – სარგისი ყოფილა იმხანად აღიარებული სიტყვის ოსტატი, დაუღლელი მხატვრული ენის მქონე.

ახლა, ისიც გავიხსენოთ, რომ ამ ავტორს ,,მიეწერება“ ქართული ,,ვისრამიანი“.

,,სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი აზრი არის განმტკიცებული, რომ ,,ვისრამიანის“ მთარგმნელი არის სარგის თმოგველი, იგულისხმება პირველი, რომელსაც ,,დილარიანი“ მიეწერება. ეს აზრი ადრევე გამოთქვა ბატონიშვილმა თეიმურაზმა“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 2, თბილისი, 1981, გვ. 56).

ამავე აზრს, ოღონდ არაზუსტად, უფრო ადრე აყალიბებდა ზაქარია ჭიჭინაძე: ,,ვისრამიანი, მეფის თამარის დროს ქმნილნი დილარგეთის ბრძნის თავადის საათაბაგოელისგან შვენიერს ენაზედ“ (ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 10).

აქ საგულისხმოა შემდეგი: ,,ვისრამიანი“ ყოფილა ,,ქმნილი“ ,,დილარგეთიანის“ ბრძენი შემთხზველის მიერ მეთორმეტე საუკუნეში. ეგ სწორედ ის თმოგველია, რომელიც პირველად დაეუფლა თმოგვის საკარგავს და მისი შთამომავალნი ფლობდნენ მას თითქმის XIV საუკუნემდე *(ნიკოლოზ ნათენაძე, „მესხი მელექსე“, თბილისი, 2018, გვ. 301).*

ვფიქრობ, ჩვენ წინაშე გადაიშალა დიდებული ხიდი, რომელიც წარმატებით უნდა გადავიაროთ.

ამის შემდეგ კითხვა ასე დავაყენოთ: ,,ვეფხისტყაოსნის“ ბოლოს ჩამოთვლილი ქმნილებების ავტორთაგან ვის შეიძლება მივარგუნოთ



შესანიშნავი ეპითეტი-ჯილდო ,,ენადაუშრობელი„?

მე, მურმან თავდიშვილი, მთელი სერიოზულობითა და კატეგორიულობით ვაცხადებ: ამ ეპითეტს ყოველთა უადრეს იმსახურებს სარგის თმოგველი! ამავე დროს, დარწმუნებული ვარ: როდესაც მეისტორიე-შემჯამებელი აღნიშნულ ზეაღმტაც ტერმინს ანიჭებდა თმოგველს, ის არა ოდენ ,,დილარგეთიანს“, ,,ვისრამიანსაც“ გულისხმობდა.

რა მაძლევს ამის თქმის უფლებას?

აღნიშნულის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ ქართული ,,ვისრამიანი“, ენადაუღლელობისა და გამოსახვის ნიუანსების გამოხატვის მიხედვით, არათუ ჩამოუვარდება ან უსწორდება ,,ვეფხისტყაოსანს“, არამედ აჭარბებს კიდევაც. ეგ არის რომანი, რომელიც უფრო გატაცებით იკითხება, ვიდრე ნებისმიერი ლექსი. ასეა დღეს და, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა უწინ, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ეს სტროფი-განაჩენი შეითხზა.

ამრიგად, ჩემი ფიქრით, როცა ინტერპოლატორ-შემჯამებელი სტროფსა თხზავდა, მას სარგისის მთელი იმჟამინდელი ნამოღვაწარი ედგა თვალწინ. ამ ნამოღვაწარში, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, ყველაზე ენადაუღლელად, ენადაუშრომლად სარგისი წარმოჩინდა ,,ვისრამიანში“. ამიტომ სარგისი უფრო თამამად უნდა მივიჩნიოთ ,,ვისრამიანის“ ავტორად!

მაგრამ სარგის თმოგველის ლიტერატურული მემკვიდრეობა ამით როდი ამოიწურება. მისი სახელი მოუცილებლად თან ახლავს ,,ვეფხისტყაოსნის“ I გაგრძელებას.

შევიხსენოთ: პოემა მთავრდება ,,ჰეფი ენდით“ - წყვილმა ერთურთი იპოვა, მეგობრების დახმარებით ინდოეთიდან მტერი განდევნა, ქორწილი გამართა, ჯვარი იფსკვნა და ტახტი კანონიერად დაიბრუნა; ,,იქმნა მათი საწადელი“.

პოემის დიდად საინტერესო ამბის ,,ბოლომდე მიყვანის“ მსურველნი იმდენი აღმოჩენილა (ვგულისხმობთ: ქართველთა ოთხმოც პროცენტს დიდად მოსწონს ინდური კინო!), რომ უკვე იმთავითვე გამოუთქვამთ სურვილი, გმირების სიცოცხლის ბოლომდე აღწერისა და მიყვანისა. აქ სწორედ ის იგულისხმება, რასაც არჩილ მეფე ასე მოკლედ გვამცნევს: ,,ბოლოც სხვათ შეგითავესა!“

და, აი, როგორც ჩანს, პოემის ,,ბოლომდე გასრულება“ უთავია სარგისს. მას მოუწადინებია, დაეკმაყოფილებინა მკითხველთა ფართო მასის ბუნებრივი ცნობისწადილი.

რა შეადგენს ამ ცნობისმოყვარეობას?

რუსთველმა პოემით აღძრული თითქმის ყველა ცნობისწადილი დააკმაყოფილა: დაკარგული ქალწული იპოვეს; მას ქალწულობა შეუნარჩუნდა; ცენტრალურმა გმირებმა უკანონოდ წართმეული ტახტი დაიბრუნეს; შემოსეული ხატაელნი დათრგუნეს, ისევ დაიმონეს და პატრონყმური ურთიერთობა აღადგინეს.

და რაღა დარჩა?

დარჩა ერთადერთი რამ.

ეს ერთადერთი გულისხმობს იმ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც რუსთველმა არ გადაწყვიტა, რადგან ეს უკვე, ერთი მხრივ, პოემის სიუჟეტის გაწელვას, ხოლო, მეორე მხრივ, ,,ინდური ფილმის“ შექმნას გამოიწვევდა. ეს კი მის მაღალ გემოვნებას არ შეეფერებოდა. ამასთანავე, ეს გულისხმობდა პოემის პესიმისტური დასასრულით დამთავრებას, რაც ავტორის მსოფლმხედველობაში არ შედიოდა. და ეგ გახლავთ იმის ცნობისწადილი, თუ ვითარ გადაწყდა ხორეზმისა და ინდოეთის ურთიერთობა?

საქმე ისაა, რომ, პოემის მიხედვით, ეგ საკითხი ბოლომდე არაა მიყვანილი. თუ ინდო-ხატაელთა ამბავი ქმნილების ბოლო სამ თავშია გარკვეული, სრულიად ბუნდოვანი დარჩა ინდო-ხვარაზმელთა ამბავი: როგორ მოითმინა ხორეზმის ხელმწიფემ მისი შვილის, სრულიად უდანაშაულო უფლისწულის, მკვლელობა, როგორ არ აიღო სისხლი?

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სისხლის აღების ადათი ერთ-ერთი მძლავრი მოვლენა გახლდათ და სვანეთში იგი უკანასკნელ დრომდე იყო შემონახული!

ეს კითხვა გულში ყოველ ქართველს უღიტინებდა.

აი, ამ მწვავე საკითხის, ღიად დატოვებული პრობლემის, გადაწყვეტა იკისრა ,,ენადაუშრომელმა“ სარგისმა.

ეს მკაფიოდ ჩანს ,,ვეფხისტყაოსნის“ I გაგრძელებაში.

ჯერ ვნახოთ, თუ რამდენი თავისაგან შედგება ,,ინდო-ხვარაზმელთა ამბავი“ და მერე ვისაუბროთ ამ მონაკვეთის შესავლისა და დასკვნის შესახებ.

ხვარაზმთა მეფისაგან ტარიელის ავად-ყოფნის ცნობა და შიგა ჩამოდგომა;

ესმა ჰინდოთ მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა;

გამარჯვება ხვარაზმთ ხელმწიფისაგან ჰინდუსტნის ლაშქართა ზედა;

ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილსთანა და ფრიდონთანა;

მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის შველად;

ავთანდილისაგან და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთა ომი.

ეს ექვსი თავი შედგება დაახლოებით 158 სტროფისაგან (იხ. ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 286-309).

აქვე შევნიშნოთ: გაგრძელებათა ციკლის ეს სუსტი მონაკვეთი გამოირჩევა ერთი რამით – იგი განიცდის მთელი პოემისა და, განსაკუთრებით, ,,ინდო-ხატაელთა ამბის“ მძლავრ ზეგავლენას. ამას კი აქვს თავისი ახსნა: პოემის არც ერთი მონაკვეთი არ ჩანდა ისე საჭირო ინტერპოლატორისათვის, როგორც ,,ინდო=ხატაელთა ამბავი“, რამეთუ აქ იყო დაუნჯებული მისთვის სანუკველი დიდი სულიერ-იდეოლოგიური საზრდო. საქმე ისაა, რომ სწორედ ,,ინდო-ხატაელთა ამბავშია“ გადმოცემული ერთგვარი შურისძიების მოტივი და მისი ახსნა. ამიტომაც I გაგრძელების ანონიმი ავტორი სწორედ ამ თავს დასწაფებია. კიდევაც ხამდა!

ახლა კი იმის თაობაზე, თუ რა ცნობებს იძლევა ამ ,,ამბის“ პროლოგ=ეპილოგი და ვითარ უკავშირდება იგი დიდი მწერლის, ენადაუშრომელი სარგის თმოგველის, სახელს; რა ეკუთვნის აქ თმოგველს და რა – არა.

,,ინდო-ხვარაზმელთა ამბავს“ აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი პროლოგ=ეპილოგი. ამით მისი შემთხზველი ჰბაძავს რუსთველს. პროლოგს განეკუთვნება ორი, ხოლო ეპილოგს – ერთი სტროფი. ს. ყუბანეიშვილის გამოცემის მიხედვით, შესაბამისად ეს სტროფებია: 1869, 1870 და 2024.

პროლოგის პირველ საძიებელ პოეტურ აბზაცში გადმოცემულია ასეთი ცნობა: ეს ამბავი, რომელსაც მე ახლა გავლექსავ, მორჭმით მჯდომელ ლომთა ,,ნარჩომი“ ტექსტია. აქ იგულისხმება პროზაული ვერსია; ხვარაზმელთა ამ ამბავს აკლდა გალექსვა; მეორე სტროფში გამოჩნდა, თუ ვინ არის ეგ მორჭმით მყოფი თავადი – ესაა სარგის თმოგველი. აქაც აქცენტირებულია, რომ ეგ პროზაული მასალა არის ,,ძველი ნარჩომნი ამბავნი“. თურმე, ეგ ,,ძველად ნარჩომნი ამბავნი“ სარგისს უნდოდა ლექსად გარდაეთქვა, რაკიღა მისი მოგონილია, შეთხზულია. ახლა ამას ეპილოგის ცნობაც დავურთოთ ზედ: ეს ამბავი სარგისს გაულექსავად დარჩენოდა. ,,დარჩენოდა“ გულისხმობს, რომ ადრე პროზად შეუთხზავს; მიზეზიც დასახელებულია, თუ რატომ ვერ გარდაქმნა ,,წყობილ მარგალიტად„: თმოგვი თმოგველთან დაიცალაო; ,,დარჩა ობლად“ თმოგვი – სწორედ ამას ნიშნავს. მაშ, სარგისმა იმიტომ ველარ გალექსა პროზაული ვერსია, რომ ,,თმოგვი დაობლდა თმოგველთაგან“, ანუ, ან გარდაიცვალა სარგისი, ანდა საკარგავიდან განდევნეს, ექსორია უყვეს.

ახლა შევათვალიეროთ პროლოგის ორივე სტროფი:

**ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორჭმით მგონეთა,**
**გალექსვა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა;**
**ძნელია პოვნა, გული ჰკრთა, დავვარდი, დაველონეთა,**
**კვლავე ვთქვი, ლექსი გავმართე, მოსმენით გაიგონეთა!**
**აწ, გონიერნო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით:**
**ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით!**
**სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,**
**ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით!**

მეორე სტროფში, ასევე, ყურადსაღებია კიდევ ერთი მითითება: ,,კვლავე ვთქვი“. ეგ ნიშნავს: ჯერ სარგისმა თქვა (პროზით) და მე მერე გავიმეორე ლექსადო.

ეპილოგში ავტორი სარგისს ხელმეორედ ახსენებს:

**ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,**
**აგრევ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად.**

აქ კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, თუ ვის ,,დარჩომოდა ეს ამბავი“ პროზად, ანუ გაულექსავად, და ვინ აპირებდა ამ საქმის აღსრულებას.

ერთსტროფიანი ეპილოგის მომდევნო ნახევარი იმითაა საინტერესო, რომ ავტორი ბაძავს რუსთველსა და სხვა მგოსნებს, რომელთაც წესად ჰქონდათ დადებული: რაიმე ლიტერატურული საქმე პატრონთა მითითებით შეესრულებინათ. აქეთ, უფრო მოგვიანებითაც, არჩილ მეფე აცხადებდა: ამა და ამ მწერალს მე ვუბრძანე ეთქვა ესა თუ ის ამბავი, ესე იგი, დაკვეთა მივეციო.

ეპილოგში ჩვენი ანონიმი ავტორი იმასაც გვიცხადებს, თუ ვისი ბრძანებით გალექსა სარგისის პროზაული შენათხზი:

ესე სიტყვა მოახსენეს, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,

მიბრძანა, თუ: ,,ლექსად თქვიო, მჭევრ ქართულად, დაუშრობლად!“

აქ უკვე ირკვევა ორი რამ:

პირველი, რომელიღაც მძლავრ ერისთავს, ანუ ლოკალურ მეფეს, მოახსენეს, შეატყობინეს, რომ სარგისს პროზაული ტექსტი დარჩენია ,,მარგალიტწყობილად“ გარდაუქმნელი. ამიტომ მე მიბრძანა, გალექსეო! მეორეც, ბოლო სიტყვებში ჩანს სარგის თმოგველის პოეტური ენის ,,ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფისეული შეფასების ანარეკლი. პოემის შეჯამებაშია: ,,დილარგეთ - სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა“. აქ კი ,,ენა-დაუშრომელი“ ბოლომდეა გარჩეული და გაშიფრული: ,,მჭევრ ქართულად, დაუშრობლად“. აქ სწორედ ის ეპითეტებია, რომელთაც ,,ვისრამიანის“ მთარგმნელი სავსებით იმსახურებს.

მითითებული ლექსები გამოწვლილვით მიმოიხილა აკად. ალექსანდრე ბარამიძემ. იგი აღიარებს: ,,ჩვენ ვლებულობთ ოთხ ძირითად დებულებას: 1. ხვარაზმელთა ამბავი ,,ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებაა, 2. ხვარაზმელთა ამბავი და ,,ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა დროს არის შეთხზული, 3. ხვარაზმელთა ამბისა და ,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სხვადასხვა პირია, 4. ხვარაზმელთა ამბავი ლექსად შეუწყვიათ ,,ვეფხისტყაოსნის“ დასრულების შემდეგ“ (ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1952, გვ. 115).

მკვლევარი იმასაც მკაფიოდ აღიარებს, რომ I გაგრძელება მკვეთრად გამოიყოფა პოემის ძირითადი ტექსტისაგან, რადგან ,,ხვარაზმელთა ამბავს აქვს საკუთარი პროლოგ-ეპილოგი“ (იქვე, 114).

ეს დასკვნა კიდევ ერთხელ ასხამს წყალს ჩემს წისქვილზე. მე რკინის არგუმენტებით არაერთხელ დამისაბუთებია, რომ ,,ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთველის ნაკალმარია. ახლა კიდევ ერთი მძლავრი არგუმენტიც იკვეთება საამრიგო დასკვნისათვის: რაკი ,,ინდო-ხატაელთა ამბავს“ არ ახლავს არავითარი ცალკე პროლოგ=ეპილოგი, ეს იმას მოასწავებს, რომ ის პოემის ორგანული ნაწილია!

ახლა ისევ პროზაულ ტექსტს დავუბრუნდეთ.

აკად. ალ. ბარამიძე ბრძანებს: ,,ხვარაზმელთა ამბის პროზაული ტექსტი კი დაბეჯითებით მიეწერება სარგის თმოგველს“ (იქვე, 121).

სხვათა შორის, უფრო ადრე ამასვე აცხადებდა პავლე ინგოროყვა: ,,ხვარაზმელთა ამბავი ესკიზების სახით დაუწერია სარგის თმოგველს“ (პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძის წერილის გამო, ჟურნალი ,,მნათობი“, 1927, N4, 202).

როგორც ჩანს, პროზაულ ვერსიასა და გალექსილ ამბავს შორის დროის საკმაო უფსკრულია გაწოლილი: ,,ხვარაზმელთა ამბის გალექსვა უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც აღორძინების პერიოდში ქართულად ჩამოყალიბდა ,,შაჰ-ნამეს“ ვერსიები“, რადგან გალექსილი ტექსტი განიცდის ქართული ,,შაჰ=ნამეს“ ზეგავლენასო (ალ. ბარამიძე).

ასე რომ, საკითხი გარკვეულია.

სარგის თმოგველის პოეტურ-შემოქმედებით მემკვიდრეობას უნდა შეემატოს ,,ინდო-ხვარაზმელთა ამბის“ პროზაული ვერსიაც, რომლის მარგალიტის ტატილად ასხმაც მხატვრული სიტყვის ჯადოქარს რაღაც მიზეზით აღარ დასცალდა.

# ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში

**მიხეილ ბახტაძე**

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. NN 9-10)

**ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში**

945 წელს, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, სუმბატმაც, სავარაუდოდ, ასევე ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვის ანგარიშის გაწევის გამო, უარი თქვა „ქართველთა მეფის" ტიტულზე.

სუმბატის ვაჟმა, ბაგრატ II-მ კი „გაბედა" და 958 წელს „ქართველთა მეფე" გახდა.

ბაგრატ II 994 წელს აღესრულა. „გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე, ძე კურთხეულისა სუმბატ კურაპალატისა, ქრონიკონსა ს" ი" დ, და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ, რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე. და ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დის-წული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა" (ქართლის ცხოვრება გვ. 369 სუმბატ დავითის ძე არ წერს ვის გადაეცა ქართველთა მეფის ტიტული.

მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ 994 წელს „ქართველთა მეფის" ტიტული დავით III კურაპალატს გადაეცა (მ.ლორთქიფანიძე ქართველთა სამეფო (ტაო-კლარჯეთი), საქართველოს ისტორია ტ. II 1973 წ. თბ. გვ.488 222; ქ.ნადირაძე, „ქართველთა" მეფეები, საქართველოს მეფეები 2007 წ. თბ. გვ. 105). არსებობს განსხვავებული თვალსაზრისიც, რომ 994 წელს „ქართველთა მეფე" ბაგრატ II-ის ძე გურგენი გახდა (ბ.ლომინაძე, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის, საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III 1979 წ. თბ. გვ. 153); ზ.პაპასქირის აზრით, 994 წელს „ქართველთა მეფობა" ბაგრატ III-მ მიიღო *(ზ.პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი 1990 წ. გვ. 81-82).*

სუმბატ დავითის ძე დავით III კურაპალატს არსად მოიხსენიებს ქართველთა მეფის ტიტულით. მემატიანეს მიხედვით ის ჯერ ერისთავთერისთავია – „გარდაიცვალა [ადარნასე კურაპალატი], ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ქორონიკონსა რ" პ" ა, რომელი-ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩჳთა, და დაუტევნა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთერისთავი" (ქართლის ცხოვრება გვ. 369). შემდეგ კი უკვე კურაპალატი – „გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა ს" კ" ა, და არა ესუა ძე" *(იქვე. გვ. 369).*

„მატიანე ქართლისაჲში" დავითი მხოლოდ კურაპალატობით მოიხსენიება *(ქართლის ცხოვრება გვ. 267-270).*

ერთადერთი წყარო, რომელშიც დავით კურაპალატი მოიხსენიება, „ქართველთა მეფედ" არის ათონის მთაზე გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერი. „ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ექვსჯერაა ნახსენები დავითი, ოთხჯერ, როგორც „ქართველთა მეფე", ხოლო ორჯერ – როგორც „მეფე". ქართველთა მეფე, რომელიც ექვთიმე ათონელის დროს ცხოვრობდა ... დავით კურაპალატია" (ც.ქურციკიძე, ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ. „მწიგნობარი" 1980 წ. გვ. 119). ზ.პაპასქირის აზრით, „ანდერძ-მინაწერთა ავტორი, ამ შემთხვევაში, „ქართველთა" მეფეს ხმარობს უბრალოდ ქართველების (ან, შეიძლება, საერთოდ, საქართველოს, რადგან ის მას ქართული სამყაროს მესვეურად მიაჩნია) მეფის გაგებით და მასში არ აქვს ჩადებული ის პოლიტიკური შინაარსი, რომელიც გააჩნდა „ქართველთა მეფის" ტიტულს X ს. II ნახევარში" ( გვ. 79).

ვინ გახდა „ქართველთა მეფე" 994 წელს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში, ჩვენი აზრით, დაგვეხმარება იმის გარკვევა, თუ ვისგან მიიღო ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტული.

თუ ბაგრატი ქართველთა მეფე 1008 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ გახდა, მაშინ სავარაუდოა, რომ თავად გურგენმა ეს ტიტული თავისი მამისგან, ბაგრატ II-სგან მიიღო 994 წელს. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, დავით კურაპალატს ქართველთა მეფედ ვერ მივიჩნევთ.

თუ ბაგრატმა ქართველთა მეფის ტიტული 1001 წელს მიიღო, მაშინ მამამისის გურგენის „ქართველთა მეფობაა" გამორიცხული და, სავარაუდოდ, ბაგრატმა ტიტული მამობილისგან, – დავით კურაპალატისგან მიიღო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ორივე მოსაზრება არსებობს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტული დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, 1001 წელს მიიღო *(მ.ლორთქიფანიძე, ქართული მონარქიის შექმნა შუა საუკუნეებში, საქართველოს ისტორია ტ. II 2012 წ. თბ. გვ. 258; ვ.სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ.2;* დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ.1 1980 წ. გვ. 53), სხვანი კი დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ „ქართველთა მეფის" ტიტულის მფლობელად გურგენს მიიჩნევენ და ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა მეფის" ტიტულის მიღებას 1008 წლით ათარიღებენ.

თავის დროზე ივ.ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის" ტიტული მხოლოდ 1008 წელს, მამის – გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო *(ივ.ჯავახიშვილი გვ. 131).*

პ.ინგოროყვა გურგენს ქართველთა მეფეთა მეფეს უწოდებდა *(პ.ინგოროყვა გვ. 106).*

ნ.ასათიანის აზრით, 1008 წლამდე ქართველთა მეფე გურგენი იყო. „1008 წელს ბაგრატის მამა გურგენ მეფე გარდაიცვალა ... ამის შემდეგ ბაგრატი იწოდებოდა „აფხაზთა და ქართველთა" მეფედ" *(ნ.ასათიანი, საქართველოს ისტორია 1999 წ. თბ. გვ. 150).*

შ.ბადრიძეს მიაჩნდა, რომ „ქართველთა მეფე 958-994 წწ. იყო ბაგრატ რეგუენი, ხოლო მას შემდეგ სახელმწიფოს სიუზერენად 994-1008 წწ. მმართველობდა მისი ძე გურგენი" *(შ.ბადრიძე გვ. 226).*

ქ.ნადირაძე ეთანხმება მოსაზრებას გურგენის მიერ 994-1008 წლებში „ქართველთა მეფის" ტიტულის ფლობის შესახებ *(ქ.ნადირაძე, „ქართველთა" მეფეები, საქართველოს მეფეები 2007 წ. თბ. გვ. 111).*

ლ.თავაძე იზიარებს თვალსაზრისს, რომ ქართველთა მეფის ტიტული ბაგრატ III-მ 1008 წელს, მამის – გურგენის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. „გურგენის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატი ოფიციალურად იწოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ და კურაპალატად", ხოლო გურგენის სიკვდილამდე ის თავს „აფხაზთა მეფედ და ქართველთა კურაპალატად" თვლიდა. ამით ხაზი ესმეოდა იმას, რომ „ქართველთა მეფე" სწორედ გურგენი იყო" (ლ.თავაძე. გვ. 103).

ჩვენ იმ მოსაზრებას ვეთანხმებით, რომ გურგენ მეფეთ მეფე არასდროს „ქართველთა მეფის" ტიტულს არ ფლობდა. ამას ადასტურებს რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი.

1006 წელს გურგენ მეფეთ მეფემ იშხანში, კათედრალური ტაძრის სამხრეთით, პატარა სამლოცველო ააგო. წარწერა იუწყება: „სახელითა ღმრთისაითა მე გურგენ მეფეთ მეფემან აღვაშენე ესე წმიდაი ეკლესიაი სახელსა ზედა წმიდისა ღმრთისმშობელისასა სალოცველად სულისა ჩემისა. წმიდაო ღმრთისმშობელო, ტალავარ მექმენ დღესა მას სასჯელისასა ... ქრონიკონ იყო სკვ" *(ვ.სილოგავა, კ.შენგელია გვ. 29).* გურგენი მოიხსენიება მხოლოდ მეფეთ მეფედ. ჩვენ თავად ვაღიარებთ, რომ არაა აუცილებელი პიროვნება წარწერაში ყველა ტიტულით იყოს წარმოდგენილი. ამ წარწერასთან დაკავშირებითაც შესაძლებელი იქნებოდა იგივეს გამეორება, რომ არა სხვა წარწერათა მონაცემებიც.



ბაგრატის ტაძრის 1001-1008 წლების წარწერა – „მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფჱ თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამინ" (ვ.სილოგავა, 1980 წ. გვ. 54). წარწერის შინაარსიდან ნათლად ჩანს, – წარწერის შექმნის დროს ბაგრატის მამა, – გურგენი, ცოცხალია. მიუხედავად ამისა „ქართველთა მეფის" ტიტულით ბაგრატია მოხსენიებული. გამოდის, რომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში ბაგრატი უკვე იყო ქართველთა მეფე. ცხადია, ბაგრატ III-ს „ქართველთა მეფის" ტიტული გურგენის გარდაცვალების შემდეგ არ მიუღია.

ყველაზე მნიშვნელოვანია ხცისის წარწერა - „სახელითა ღმრთისაითა მე გლახაკმან ანანია ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა საყოფელსა წმიდაჲსა ნათლისმცემლისასა სალოცველად, ადიდენ ღმერთმან ძლიერისა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და ძისა მათისა გიორგი უფლისწულისას და მეფისა ჩუენისა და სახსრად ცოდვილისა სულისა ჩემისათუის და მოსახსენებლად სულისა მშობელთა და მამათა ჩემთათვის ქორონიკონ იყო სკბ" *(საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა ტ. 5 1990 წ. თბ. გვ. 461).* წარწერა შესრულებულია 1002 წელს და მასში ბაგრატი მოიხსენიება აფხაზთა და ქართველთა მეფედ.

აშკარაა, ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის" ტიტული ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო. ამიტომ გურგენ მეფეთ მეფის მიერ „ქართველთა მეფის" ტიტულის ფლობა გამორიცხულად მიგვაჩნია.

ვინ გახდა ქართველთა მეფე 994 წელს გარდაცვლილი ბაგრატ II-ის შემდეგ? ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, არსებობს ორი შესაძლებლობა: პირველი – ქართველთა მეფე გახდა დავით კურაპალატი. მეორემ ეს ტიტული მიიღო ბაგრატ III-მ (თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფის" ტიტულს არავინ ფლობდა, მაგრამ, პრაქტიკულად, ასეთი რამ გამორიცხულად მიგვაჩნია).

შეეძლო თუ არა დავით კურაპალატს 994 წელს მიეღო „ქართველთა მეფის" ტიტული? ამ კითხვაზე საპასუხოდ ჯერ უნდა გავარკვიოთ თუ რა დამოკიდებულებაა ამ დროს დავითსა და იმპერატორ ბასილი II-ს შორის. დიდი დრო არ იყო გასული ბარდა ფოკას აჯანყებიდან (987-989 წლები), როდესაც დავითმა ფოკას მხარე დაიჭირა და იმპერატორს დაუპირისპირდა. ფოკა დამარცხდა. დავითმა თავი იმით გადაირჩინა, რომ იმპერატორს დამორჩილდა და ანდერძი დაწერა, რომლის თანახმადაც, სიკვდილის შემდეგ, მთელ თავის სამფლობელოს იმპერატორს უტოვებდა. სწორედ ამის შემდეგ იმპერატორმა მას კურაპალატობა უბოძა *(ლ.თავაძე გვ. 99)*. ამის შემდეგ დავითი აგრძელებს აქტიურ პოლიტიკას, აძლიერებს თავის გავლენას, ზრდის სამფლობელოს ტერიტორიას, მაგრამ აღარ უპირისპირდება იმპერიას (ეს სრულიად უაზრო ნაბიჯი იქნებოდა). შესაძლოა, ასეთ ვითარებაში დავითის მიერ „ქართველთა მეფის" ტიტულის მიღება კონსტანტინოპოლში აღქმული ყოფილიყო ანტიბიზანტიურ ნაბიჯად. ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც დავითი იყო, ამაზე შესაძლოა არ წასულიყო. ამიტომ გამორიცხული არაა, რომ X საუკუნის ბოლო ათწლეულში შექმნილი საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ბიზანტიასთან ურთიერთობის გაფუჭებისა თუ არა, დაძაბვის საფრთხის გამო, მაინც, დავით კურაპალატს 994 წელს „ქართველთა მეფის" ტიტული არ მიეღო.

994 წელს ბაგრატ III-ს იმპერიასთან დაპირისპირება არ აქვს (მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ 989 წელს ბაგრატსა და დავითს შორის მომხდარი კონფლიქტის ინსპირატორი ბიზანტია უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ბასილი II, რომელმაც ბაგრატი მამობილის წინააღმდეგ წააქეზა *(მ.ლორთქიფანიძე, ზ.პაპასქირი გვ. 218).* ბიზანტია ბაგრატის სამფლობელოებს არ ესაზღვრება. ბაგრატისთვის „ქართველთა მეფის" ტიტულის მიღება მას არანაირ პრობლემას არ უქმნიდა.

ყოველივე ზემოთქმული თითქოს მხარს უჭერს ზ.პაპასქირის მოსაზრებას, მაგრამ რჩება ათონის ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები. ჩვენ ვფიქრობთ, ცოტა ძნელია იმის მტკიცება, რომ დავითი არ იყო „ქართველთა მეფე", მაშინ როდესაც ის ოთხჯერ არის ამ ტიტულით მოხსენიებული. ზ.პაპასქირისეული ახსნა კი ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია. არა გვგონია, რომ იმ დროს, როდესაც „ქართველთა მეფე" რეალური ტიტული იყო, ვინმეს ის გამოეყენებინა ზოგად ფრაზად და მასში რაღაც სხვა, განსაკუთრებული შინაარსი ჩაედო. რაც შეეხება ზ.პაპასქირის შენიშვნას, იაჰია ანტიოქიელის მიერ 988-990 წლების ამბების თხრობისას, დავითის „ქართველთა მეფედ" მოხსენიების შესახებ *(ზ.პაპასქირი გვ. 80),* ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დავითის მიერ აღნიშნული ტიტულის ფლობას. იაჰიამ იცის, რომ დავითი იწოდებოდა „ქართველთა მეფედ" და ასეც მოიხსენიებს მას. ზუსტად როდის მიიღო დავით კურაპალატმა „ქართველთა მეფის" ტიტული იაჰია ანტიოქიელს შეიძლება არც სცოდნოდა, და თუ იცოდა, შესაძლოა, თხრობისას ამისთვის ყურადღება არც კი მიექცია. მისთვის ხომ მთავრი ის იყო, რომ დავითი იწოდებოდა „ქართველთა მეფედ" (ანალოგიური ვითარებაა, როდესაც 975 წლის ამბების თხრობისას ქართველი მემატიანე დავითს კურაპალატობით მოიხსენიებს მაშინ, როდესაც მას ეს ტიტული ჯერ არ აქვს).

ვიზიარებთ ნ.შოშიაშვილის მოსაზრებას, დავით კურაპალატის მიერ 994-1001 წლებში „ქართველთა მეფის" ტიტულის ფლობის შესახებ *(ც.ქურციკიძე გვ. 120 (მკვლევარი ეყრდნობა 1997 წელს თსუ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე ნ.შოშიაშვილის მიერ წაკითხულ მოხსენებას - „IX-X სს. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ზოგიერთი ქრონოლოგიური საკითხი", რომელსაც ჩვენ ვერ მივაკვლიეთ).*

1001 წელს კი „ქართველთა მეფე" უკვე ბაგრატ III გახდა.

ჩნდება კითხვა, რატომ მიიღო „ქართველთა მეფობა" ბაგრატმა და არა მისმა მამამ – გურგენმა? ჩვენი აზრით, პასუხი მარტივია. ბაგრატი უკვე არის „მეფე აფხაზთა". სწორედ მან უნდა გააერთიანოს საქართველო. სწორედ მან უნდა გააერთიანოს ყველა ტიტული. გურგენის მიერ „ქართველთა მეფის" ტიტულის მიღება კი ამ პროცესს ეწინააღმდეგება, აფერხებს. ეს ყველაფერი კარგად ესმის გურგენს, რომელიც ყოველთვის გვედში უდგას შვილს და მისი ერთგული თანამებრძოლია. ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა, რომ „ქართველთა მეფე" ბაგრატი გამხდარიყო და გურგენი, ალბათ, პირველი იყო, ვინც ამას მხარი დაუჭირა.

ჩვენი აზრით, ქართველთა მეფის ტიტულ ფლობდნენ: ადარნასე დავითის ძე (888-923), დავითი ადარნასეს ძე (923-937), ბაგრატ ადარნასეს ძე (937-945), ბაგრატ II რეგუენი (958-994), დავით კურაპალატი (994-1001), ბაგრატ III (1001-1014).

როგორც უკვე აღვნიშნეთ X საუკუნის ბოლოს, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში, მეფეთ მეფის ტიტული ჩნდება.

ექ.თაყაიშვილის აზრით, მეფეთ მეფედ პირველად გურგენი იწოდა *(Е.Такаишвили გვ. 42).*

მ.ლორთქიფანიძე თვლის, რომ „ქართველთა მეფეებში" პირველად ბაგრატ III-ის მამის, გურგენის ტიტულატურაში ჩნდება „მეფეთ მეფე", რაც, სუმბატის თქმით, მისი შვილის, ბაგრატის მეფობითაა განპირობებული" *(მ.ლორთქიფანიძე, სამეფო (ტაო-კლარჯეთი), საქართველოს ისტორია ტ. II 1973 წ. თბ. გვ. 452).*

ლ.თავაძე პირველ მეფეთ მეფედ დავით კურაპალატს მიიჩნევს. „პირველი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ამ ტიტულით სწორედ დავითი იწოდება. მეფეთ მეფის ტიტული ჯერ სომხეთში გაჩნდა, როდესაც აშოტ I-მა არაბეთის ხალიფას მხარდაჭერით შაჰან შაჰად გამოაცხადა თავი. სომხეთი ისწრაფოდა რეგიონში პირველობა მოეპოვებინა ... სწორედ სომხეთის წამყვანი პოზიციების ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ ახალი ტიტულის მიღება" ( ლ.თავაძე გვ. 99-100).

საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია 973 წლის პარხლის სახარების ერთი მინაწერი – „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღუთივ გჳრგჳნოსანისა მეფეთა მეფისა, ადიდენ ღმერთმან, ღუთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა" (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისაშეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი. წიგნი I 1892 წ.ტფ. გვ. 95). თითქოს ყველაფერი ნათელია. საინტერესოა, რომ დავითი მოიხსენიება მაგისტროსად. ჯერ არ ფლობს არც კურაპალატობას და არც ქართველთა მეფობას (ქართველთა მეფე ამ დროს ბაგრატ II არის). ანუ ეს ხდება მისი მოღვაწეობის დასაწყისში. ჩნდება კითხვა, რამ განაპირობა მის მიერ მეფეთ მეფის ტიტულის მიღება? ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დავითის მოხსენიება მეფეთ მეფედ მხოლოდ მინაწერის ავტორის პირადი ინიციატივაა.

მსგავსი მაგალითები არსებობს: მაგალითად, გერგეტის სულთა მატიანეში ყვარყვარე IV ჯაყელი (1451-1498 წ.წ.) ათაბაგთა ათაბაგად იწოდება – „სული ათაბაგთა ათაბაგისა ყუარყუარესი" *(ქ.შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). კრებულში მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკ. 30 1954 წ. თბ. გვ. 234).* ოფიციალურად ათაბაგთა ათაბაგის არც თანამდებობა არსებობდა და არც ტიტული. ყვარყვარე ჯაყელის მოხსენიება ათაბაგთა ათაბაგად მხოლოდ მისი განდიდების მიზნით უნდა მომხდარიყო; ანტიოქიის პატრიარქის მიერ მზეჭაბუკ ათაბაგისადმი (1505-1515 წწ.) გამოგზავნილი მიმართვის ქართულ თარგმანში წერია: „დიდისა მეფისა ჩუენისა ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისა". მზეჭაბუკის მოხსენიება მეფედ და ხელმწიფედ მთარგმნელის ინიციატივაა, რადგან წერილის არაბულ დედანში ათაბაგი მსგავსი ტიტულებით არ მოიხსენიება *(ქ. შარაშიძე, „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები" 1961 წ. თბ. გვ. 96).* აქაც მიზეზი მზეჭაბუკის განდიდებაა.

ჩვენი აზრით, მსგავსი ვითარებაა საგულვებელი დავითის მეფეთ-მეფობასთან დაკავშირებითაც. ეს იყო ერთი კონკრეტული პირის პირადი ინიციატივა და მიზნად ისახავდა დავითის განდიდებასა და წარმოჩენას. ყოველ შემთხვევაში დავითის მოხსენიება მეფეთ მეფედ გამონაკლისია, ეს არ გამხდარა ტრადიცია და ტიტული „მეფეთ მეფე" იმ დროს ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ბაგრატიონთა საგვარეულოში. თუ დავითი მეფეთ მეფე იყო, მაშინ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ტიტულიც ბაგრატ III-ს უნდა გადასცემოდა. ასეთი რამ კი არ ფიქსირდება.

ჩვენ იმ თვალსაზრისს ვიზიარებთ, რომ მეფეთ მეფე, როგორც ტიტული, რომელიც მემკვიდრეობით დამკვიდრდა ბაგრატიონთა საგვარეულოში და შემდეგ ყველა მეფის ტიტულატურის განუყოფელი ნაწილი გახდა, პირველად გურგენმა მიიღო. მით უმეტეს, რომ მიზეზიც ნათლად აქვს ახსნილი სუმბატ დავითის ძეს – „ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა" (ქართლის ცხოვრება გვ. 369). ამ შემთხვევაში სრულიად გასაგებია თუ რამ გამოიწვია ახალი ტიტულის გაჩენა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში ოთხი პიროვნება იწოდებოდა მამფლად. გუარამ აშოტის ძე (+ 882 წელს), სუმბატ ადარნასეს ძე (+889) და მისი ძეები ბაგრატი (+906) და დავითი (+946).

შ.ბადრიძის აზრით, – „გამორიცხული არაა, რომ მამფლობა ქართველთა სახელმწიფოს „აბსოლუტისგან" დამოუკიდებლობისა და ავტონომიური „მთავრობისკენ" მისწრაფების გამომხატველი იყო წინააღმდეგ „ერისთავობისა" და „ერისთავთერისთავობისა", რომელნიც „აბსოლუტისადმი" დაქვემდებარებულ სამოხელეო თანამდებობებს წარმოადგენდნენ" *(შ.ბადრიძე გვ. 238).* ტიტულ „მამფალის" პირველი მფლობელი აშოტ კურაპალატის უმცროსი ძე გუარამი იყო. ამიტომ ცხადია, რომ „მამფალი" არსებობდა მანამ სანამ „ქართველთა მეფის", „ერისთავთერისთავისა" და „ერისთავის" ტიტულები გაჩნდებოდა ბაგრატიონთა საგვარეულოში. „მამფლის" და უფრო გვიან შექმნილი ტიტულების ერთ სიბრტყეში დაყენება მცდარი გვგონია.

*დასასრული იქნება*

**დურმიშხან ბერიძე**

# სამცხე-ჯავახეთი 1917-1921 წლებში

ქართული კულტურის აკვანი – მესხეთი, ჩვენი სამშობლოს ის მხარეა, რომელმაც წარსულში დიდი როლი ითამაშა საქართვერლოს როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ დაწინაურებაში. იგი ოდითგანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთიან საქართველოსთან, მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ XVI-XVII საუკუნეებში, როცა ოსმალეთმა ამიერკავკასია თავისი აგრესიის ობიექტად აქცია, შეძლო მესხეთი ჩამოეცილებინა ერთიანი საქართველოსათვის და იგი შემდგომ საუკუნეებში სხვა ქართული სამეფოსათვის დაეპირისპირებინა.

ოსმალეთმა გეზი იქითკენ აიღო, რომ მესხეთის მოსახლეობის ნაწილი გაამაჰმადიანა, მოახერხა მათი გათურქება, ძმა ძმას აუმხედრა და საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი ისედაც დაქსაქსული ძალები უფრო მეტად დაასუსტა, სისხლისაგან დასცალა და სამცხე-საათაბაგო თურქეთის პროვინციად აქცია.

თურქთა მიერ მესხეთის დაპყრობის პირველი დღეებიდანვე ქართველ მეფეთა საქმიანობის დღის წესრიგიდან არ ამოვარდნილა სამცხე-ჯავახეთის შეერთება დედასაქართველოსთან, მაგრამ ასპინძის ველზე ერეკლე მეორის მამაცურმა ბრძოლამაც ვერ შეძლო ქართველთა ამ სანუკვარი ოცნების ასრულება. მხოლოდ 1828 წლის 15 აგვისტოს შეესხა ფრთები ამ დიდი ხნის ნატვრას, როცა რუს-ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა იერიშით აიღო ახალციხის ციხესიმაგრე და თურქეთისაგან გაათავისუფლა სამცხე-ჯავახეთი.

ახალციხის თურქთა უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წყალობით, სამცხე-ჯავახეთის მუსულმანური მოსახლეობის დიდი ნაწილი აიყარა და თურქეთის იმპერიის შიდა რაიონებს შეეხიზნა, მათ მიერ დაცლილ სოფლებში კი დასახლდნენ თურქეთიდან და სპარსეთიდან გამოქცეული და გადმოსახლებული სომხები, ბერძნები, ქურთები და თარაქმები. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1917 წლისთვის სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველი მოსახლეობა.

თურქეთი ვერ ურიგდებოდა მესხეთის დაკარგვას. 1918 წლამდე რამდენჯერმეც სცადა მისი დაბრუნება, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა. ამიტომ სასოებით ელოდა იმ დღეს, როცა საქართველო უმოკავშირეოდ დარჩებოდა.

1917 წლის შემოდგომაზე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, მუსულმანთა რეაქციულმა ძალებმა გაავრცელეს ხმა, თითქოს, ქართველები, 20 წლიდან 29 წლამდე, ყველა მუსულმანს გზავნიდნენ საქართველოში (თბილისში), სადაც ტყვეებს კლავენ, ქალებს აუპატიურებენ, სოფლებს წვავენ და მამაკაცებს ხოცავენო. აი რას წერდა ერთ-ერთი მუსულმანი: **„ხალხი ყრუა, სიმართლე არ იცის, ახლა ჩვენმა სოფელმა არ იცის, ეწინააღმდეგოს ქართველებს, გაიქცნენ თუ არა“.**

ცარიზმის დამხობის შემდეგ, რუსულმა ჯარებმა მიატოვეს საქართველოს სამხრეთი საზღვრები, რითაც ისარგებლა თურქეთმა და საქართველოს მთელი სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიის (ყარსი, არტაანი, ბათუმი, ახალქალაქი და ახალციხე) რბევა-აწიოკება დაიწყო. ახალციხეში შიმშილის გამო ისე იყო გახშირებული ქურდობა და უწესრიგობა, რომ **„საბუდრიდან კვერცხებსაც კი იპარავდნენო“** – ჩიოდნენ ადგილობრივები.

1918 წლის 22 აპრილს, როგორც კი ამიერკავკასია გამოცხადდა საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მისმა სეიმმა გადაწყვიტა ზავი დაედო თურქეთთან, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამიერკავკასიაში, რაკი რუსეთს ჩამოშორდა, თურქეთმა არ დააყოვნა და იერიშზე გადმოვიდა.

მენშევიკურ საქართველოში ანარქია გამეფდა. ასეთ ვითარებას ვერ ასცდა სამცხე-ჯავახეთიც. რეაქციულ ძალთა ერთი ნაწილი საქართველოსთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა. თურქ დამპყრობლებს ამ მხარის კვლავ დასაკუთრება სურდათ. მათგან განსხვავებით, ადგილობრივ ბეგებს თავიანთი საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ. მათ არც თურქეთის მფარველობაში ყოფნა სურდათ და არც საქართველოს მენშევიკური მთავრობას ცნობდნენ. მათი მიზანი იყო დაეთრგუნათ ადგილობრივ გლეხთა მღელვარებები.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში გლეხთა სისხლისმღვრელი შეტაკებები პოლიციასა და თავადაზნაურთა შორის არ წყდებოდა, – ანადგურებდნენ მემამულეთა სახლკარს, ჩეხავდნენ ტყეებს, იტაცებდნენ მიწებს. ახალციხის მაზრის სოფელ ზედა თმოგვის გლეხებმა დაიკავეს თავად მაჩაბლის კუთვნილი ოთხასი დესეტინა მიწა, უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე და ხოცავდნენ მემამულეებს.

ასეთ ვითარებაში, ოსმალეთის წაქეზებითა და მხარდაჭერით, ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ, დაიწყეს თარეში მაჰმადიანთა ბანდებმა (ხუჟნებმა) **სერვერ-ბეგ ქობლიანსკის, ომარ-ეფენდი ყიფიანის, ასლან-ბეგ მაჩაბლის, აღა სულთანოვისა** და სხვათა ხელმძღვანელობით. ისინი მოსახლეობის ძარცვას არ დაკმაყოფილდნენ და 1918 წლის 17 მაისს ცეცხლი წაუკიდეს ტოლოშს, ერკოტას, დადეშს, ძველსა და სხვა სოფლებს, გადაწვეს და გაძარცვეს ეკლესიები, რის გამოც აღნიშნული სოფლებიდან გაიხიზნა მთელი მოსახლეობა.

იმავე წლის 4 ივნისს ახალციხის მაზრას დაეპატრონა თურქეთის არმია, 16 ივნისს ახალციხის გუმბათიანი ეკლესიიდან ჩამოიღეს რუსულ-ქართული ემბლემა და მის ნაცვლად აღმართეს თურქული ნახევარმთვარე. ამასთან, ქალაქში წარწერები ყველგან თურქულ ენაზე გააკეთეს. თურქები ყოველნაირად ცდილობდნენ ამ მხარის დაპატრონებას, მაგრამ ანტანტის ქვეყნების მოთხოვნით მაინც დატოვეს ახალციხე.

თურქეთის ჯარის გასვლის შემდეგ, მესხეთში ისევ სერვერ-ბეგის ბანდები გაბატონდნენ. მან ადგილობრივი დროებითი მთავრობაც კი შეადგინა – **„ახალციხე-ახალქალაქის მაზრების კომისარიატი“**, რომელსაც შემდეგ უნდა გაეერთიანებინა ყარსის, არტაანის, ბათუმის ოლქები, შეექმნა დამოუკიდებელი **„კავკასიის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების რესპუბლიკა“.**

ადგილობრივმა მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა მას, რისთვისაც აღნიშნულმა დროებითმა მთავრობამ ერთ თვემდე ძლივს იარსება და 7 მარტს, იგი, ქართველ მენშევიკთა ჯარებმა, ერთი დარტყმით გაანადგურეს, მაგრამ ქვეყანაში წესრიგი მაინც ვერ დამყარდა.

ბარბაროსული ძარცვით მადაგახსნილი მაჰმადიანთა ბანდები იტაცებდნენ ყველაფერს – მარცვლეულს, პირუტყვს, ავეჯს; ზოგიერთი სოფლიდან გაიტაცეს არა მარტო ავეჯი, არამედ ადგილობრივი ქრიატიანული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლებიდან გამოიღეს და წაიღეს სახლის ფანჯრები, კარებები, იატაკი და სახურავებიც კი. ამასთან, ვერაგულად დახოცეს მრავალი უდანაშაულო ადამიანი.

აი რას წერდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრს სოფელ დადეშის მცხოვრებლები: **„გასული 1918 წლის მაისში ჩვენს 66 კომლიან სოფელს თავს დაესხნენ თურქი ასკერები და ადგილობრივი თათრები. გაგვძარცვეს – ყველაფერი, რისი წაღებაც კი მოახერხეს, წაიღეს, გაიტაცეს ხორბალი, ყველი, კარაქი, ძროხები, ხარები, კამეჩები, ცხენები, ცხვრები და ასე შემდეგ. ზარალი ნახევარ მილიონ მანეთს აღემატება... დაანგრიეს სოფლის ეკლესია და დაიტაცეს იქ არსებული 300 ათას მანეთად შეფასებული ოქროს ნივთები. დარჩენილი ვართ ულუკმაპუროდ, უიმედოდ. გთხოვთ პარიზის კონფერენციის წინ გაითვალისწინოთ ჩვენი მდგომარეობა და დაგვეხმაროთ, რათა არ დავიღუპოთ შიმშილით“.**

დადეშის მაგალითი ერთეულს როდი წარმოადგენდა. ასეთ მდგომარეობაში იყო მესხეთ-ჯავახეთის ყველა სოფელი; **„სოფელ ქუნცის დარბეული ხალხი უკანასკნელ ჟამისაგან ვართ აოხრებულნი, გაძარცვულნი და დატიტვლებულნი თათრისა და ოსმალოს ხელიდანა, ვართ დარჩენილი ცის ქვეშ, მშიერნი, ტიტველნი, არ გვყავს ხარი, არცა ძროხა, ცხვარი, არ გვაქვს პური, არცა ჭურჭელი, ერთი სიტყვით, ვართ სულის ამოსვლისათვის გამზადებული. ახალ მთავრობას მოგმართავთ, მოგვიწყოთ ხელი – გვაქვს დახნული ყანები, თითო დესეტინა მიწა, რომელიც დასათესი დაგვრჩა.**

**გარდა ამისა, არც გვაქვს საჭმელი, არცა თესლი ყანებისათვის, ვართ თქვენს იმედზე. ერთი სიტყვით, შიმშილის გამო და სიტიტვლისაგან ვიხოცებით. აქნობამდის ზაფხული იყო და ღარიბი, საწყალნი ბალახებითა და სხვა საჭმლებით იოლად მივდიოდით. ახლა თოვლში რა გავაწყოთ. ჭილობებში შეხვეულნი, 150 სული ხიზანი, ვართ თქვენს იმედზე დარჩენილი“.**

1918 წლის 21 მაისს ახალქალაქის მაზრის კომისარს დაევალა უზრუნველეყო სამხედრო დაწესებულებების ევაკუაცია ბაკურიანში, ამასთან, ევალებოდა ეზრუნა მოსახლეობის ნაწილობრივ გადაყვანაზეც. 22 მაისს სამცხე-ჯავახეთში ევაკუაცია გამოცხადდა. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, ყველას ეგონა, რომ რამდენიმე საათის შემდეგ თურქთა რეგულარული ჯარები გადმოლახავდნენ საზღვარს.

1 ივნისს თურქებმა ახალქალაქი დაიკავეს. დაიწყო გაქცევები. გარბოდნენ ყველანი – მამაკაცები, ქალები, მოხუცები, ბავშვები. მიდიოდნენ ურმებით, მიერეკებოდნენ ცხვარ-ძროხას, ურმებზე, ცხენებზე, ვირებზე, ბარგთან ერთად დაკრული იყვნენ მოხუცები, დავრდომილები, ბავშვები. ვისაც კი შეეძლო, ზურგზეც მოეკიდა ვეება ტვირთი.

გაქცეულთა ტალღამ, როდესაც ცხრაწყაროს (ბაკურიანის) გადასასვლელს მიაღწია, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მეტრზეა, მოვიდა საშინელი სეტყვა. ბუნების სტიქიამ უდიდესი ზიანი მიაყენა ლტოლვილებს, დაიღუპა ბევრი მათგანი, დაზიანდა პირუტყვიც. ლტოლვილებმა, მთლიანად, ბაკურიანის ახლოს, ტყეში დაიდეს ბინა. მათი რაოდენობა 80 ათას სჭარბობდა. გადახვეწილებს არ გააჩნდათ არავითარი თავშესაფარი, სამედიცინო დახმარებაზე საუბარი ხომ წარმოუდგენელი იყო. – **„თუ მთავრობა დახმარებას არ აღმოუჩენს მათ, ბაკურიანი გადაიქცევა გადამდებ სნეულებათა და შიმშილით სიკვდილის ბანაკად“** – სწერდნენ მენშევიკურ მთავრობას. მიუხედავად ამისა, დახმარება არსაიდან არ იყო.

1918 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ აიძულა ლტოლვილები მშობლიურ კერას დაბრუნებოდნენ, მაგრამ მათი უმრავლესობა – 50 ათასი კაცი, ველარ დაბრუნდა უკან. ხალხის დიდი ნაწილი იმსხვერპლა შიმშილმა, მტრის ტყვიამ და სიცივემ. ბევრი გაწყდა აგრეთვე გადამდები დაავადებებისაგან, მხოლოდ მცირე ნაწილი გაიბნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

1919 წელს გაზეთი **„განახლებული მესხეთი“** თავის პირველ ნომერში წერდა: **„მესხეთ-ჯავახეთის ტრაგედია ჯერაც არ დასრულებულა. დაწყებული ბორჯომიდან, ვიდრე ახალციხე-ახალქალაქამდე, მოდიან ყოველდღე ურმებითა და, უმთავრესად, ფეხით. ექვსი თვის განმავლობაში შიმშილისაგან დასუსტებულნი, ღონემიხდილნი და მოჩვენების მსგავსი აჩრდილები. ათი წლის ბავშვს გაჭირვებისაგან უკვე დანაოჭებია პირისახე, რომელმაც დედა და მამა საფლავში დატოვა, თვითონ კი მოჰყვება მეზობლებს და არ იცის, ვინ იქნება მისი პატრონი“.**

როგორც ფაქტები ცხადყოფენ, საქართველოს მენშევიკურ მთავრობას არ შეეძლო რაიმე რეალური დახმარება აღმოეჩინა მათთვის, ზოგჯერ იგი უბრალო მაყურებლის როლში გამოდიოდა და ამით ხელს უწყობდა თურქთა ბანდების გაუთავებელ თარეშს.

ენით აუწერელია ის უბედურება, რაც იმ პერიოდში სოფელ ძველის, ჭობარეთის, საროს, ხიზაბავრისა და სხვა სოფლების მოსახლეობამ განიცადა.

თურქ დამპყრობთა და ადგილობრივი რეაქციული ბანდების (ხუჟნების) წინააღმდეგ 1918-1920 წლებში წარმოებული ბრძოლების ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია სოფელ ხიზაბავრის მოსახლეობის მიერ მოწყობილ ორგანიზებულ წინააღმდეგობას, ხალხმა **„განწირული ათასეული“** შეარქვა ხიზაბავრელი **ეფრემ ველიჯანაშვილის** ინიციატივით ჩამოყალიბებულ ათასეულს, რომელმაც ცხარე ბრძოლებით ჩაშალა თურქთა გეგმები. სამწუხაროდ „განწირული ათასეულის“ მიერ ჩატარებული ბრძოლები ჯეროვნად არ არის ასახული ოფიციალურ ლიტერატურაში.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატარებულმა არასწორმა და გაუაზრებელმა პოლიტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ ერთხელ კიდევ განიცადა საშინელი აოხრება, – დაინგრა და განადგურდა ისტორიული ძეგლები, მოიშალა მისი ეკონომიკა, მოსახლეობისაგან დაიცალა სოფლები. არაოფიციალური მონაცემებით, სამცხე-ჯავახეთის ლტოლვილი მოსახლეობიდან მშობლიურ კერას, როგორც აღინიშნა, აღარ დაუბრუნდა მათი ერთი ნაწილი. ხოლო 30 ათასი ადამიანი, უკან, მშობლიურ ადგილებს დაბრუნებული მოსახლეობა, ცხოვრობდა უკარო, ღია ფანჯრებიან, სახურავ ახდილ, უიატაკო სახლებში. სურსათის მხრივ კი ენით აუწერელი მდგომარეობა ჰქონდათ.

– **„თითქმის ყველა სახლში შეხვდებით შიმშილისაგან ლოგინზე დავარდნილს, უმეტესად, დედაკაცებსა და ბავშვებს,** – წერდა თბილისის სასოფლო კომისიის ჯავახეთის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი – **ბალახის ჭამით ყველას ტუჩები დახეთქილი და ღრძილები დაშავებული აქვთ. ხალხის დიდი ნაწილის დანახვა შეგზარავთ, ისეთი კონკებით არიან შემოსილები, ულამაზესი დედაკაცები, რაღაც მაიმუნის მსგავს სახეებს მოგაგონებთ, ვისაც შიმშილისაგან შორს წასასვლელი ძალა აღარ აქვს, იქვე, თავისი სახლის ახლოს, სძოვს ბალახს, ამის მნახველი, კრიჭაშეკრული, სოფლიდან სოფლად ისე დავდიოდით, რომ ჭადის მოკითხვა ვერ გამებედა, თუმცა შიმშილით თვალები მიბნელდებოდა“...**

აი ასეთი თავზარდამცემი შიმშილი მძვინვარებდა იმ მხარეში, სადაც ოდესღაც ბეღელში პური არ ეტეოდა, ხალხს აშინებდა ის, რომ მალე დადგებოდა ზამთარი და ყოველ მათგანს ელოდა შიმშილითა და სიცივით სიკვდილი.

1919 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში მენშევიკური მთავრობის ჯარებმა ერთხელ კიდევ მიატოვეს სამცხე-ჯავახეთი და თურქთა ბანდების სათარეშოდ დატოვეს იგი, რაც 1921 წლის მარტამდე გრძელდებოდა, ვიდრე თურქეთმა, რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების საფუძველზე, თავისი ჯარები არ გაიყვანა ბათუმ-ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიდან.



# კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის ისტორია

***ნაამბობი ახალციხის ქართველთ კათოლიკეთ მოძღვრის ივანე გვარამაძისაგან***

ზუბალაანთ გვარის წევრნი ჯავახეთში პირველად აწყვერში აღმოჩენილან. მაშინ აწყვერი ქალაქად ითვლებოდა, იქ მცხოვრებთა რიცხვიც დიდი იყო. აწყვერში ზუბალაშვილები უკვე კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებდნენ, დრო ამათის კათოლიკობასთან დაკავშირებასა უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკ., ასე 1653 წელს. ამ დროებში გაძალუანებული ყოფილა აწყვერში ვინმე ქალიმაჯ ეფენდი, მტერი ქრიასტიანებისა, მდევნელი მათი და სასტიკი ბოროტი. იგი აწყვერშია დასაფლავებული. ესევე ეფენდი სასტიკი მდევნელი ყოფილა კერძოდ, ზუბალაშვილებისა, რომლებსაც აწყვერში იმ დროის კვალად, კარგი ვაჭრობა ჰქონდათ გამართული და შესამჩნევი ვაჭრებიც ყოფილან, მაგრამ მალე აწყვერს ოსმალნი დასცემიან და ქრისტიანები დაურბევიათ. ესენი აყრილან და სოფელ დვირს წასულან; ამათშივე ყოფილან ზუბალაშვილები; ჯერ ვერც-კი მოასწრეს ახალ მოსულებმა დვირს დასახლება, რომ 1655 წელს, ახლა ამ სოფელს დაეცნენ ლეკები. დვირელნი და ზუბალაშვილები სოფელ ხიზაბავრას შეეხიზნენ, რომელიც მაშინ განთქმული იყო შესანიშნავის ქართველ მეომრებით და ფალავნებით. მოგეხსენებათ, რომ ძველად განთქმული მოჭიდავენი სულ ხიზაბავრელები იყვნენ, რომელთაც შემდეგ ქართლში ხიზანბარელი უწოდეს.

თუმცა ხიზაბავრა მძლავრი სოფელი იყო და მის მცხოვრებნიც მძლავრ ვაჟკაცებად ითვლებოდნენ, მაგრამ ლეკები მაინც არც ამ სოფელს ასვენებდნენ და მათ უფრო სდევნიდნენ, რადგანაც მათი შიში უფრო ჰქონდათ. უკანასკნელ სოფლის მცხოვრებთ მობეზრდათ ულმრთოდ ბრძოლა და მათ აქეთ-იქით იწყეს (1670 წ.) გასვლა და თავის შეფარება. ზუბალაშვილებიც ხიზაბავრიდამ ზოგი თბილისში გადმოსახლდნენ, ზოგნი გორს, ზოგნი მოზდოკს და მით გადურჩენიათ თავი.

ზუბალაშვილებს ახალციხეშიაც კარგა ხანს უცხოვრიათ; იგინი ერთგულ წევრებად ითვლებოდნენ აქაურის ღარიბ ეკლესიების და ქართველ კათოლიკებისათვის შეწირულებაც უძლევიათ. სამწუხაროდ ჟამთა ვითარებამ შთანთქა სამცხის ეკკლესიების ძველი კონდაკის წიგნები; ოსმალთა დევნის მეოხებით მრავალი ძვირფასი ხელთ-ნაწერი დამწვარა, თორემ ზუბალაანთ გვარის შესახებ ბევრი რამ საინტერესო ცნობები აღმოჩნდებოდა, რადგანაც ამბად არის დაშთენილი, რომ XVII საუკ. ზუბალაშვილები კათოლიკის ყველა ეკკლესიებს დიდს დახმარებას უწევდნენო. ზუბალაშვილებს დაახლოებული კავშირი ჰქონიათ აგრეთვე აწყვერში მყოფ იმ დროის გამოჩენილ ქართველთ მთავარ გვარამთან.

ზუბალაშვილებს მესხეთსა და ჯავახეთში ცხოვრების ასპარეზზედ ფეხი მაშინ გაუმაგრებიათ, როცა ოსმალებს კათოლიკებზედ დევნა შეუჩერებიათ და ვაჭრობის გულისთვის სხვა-და-სხვა შეღავათები მიუციათ.

ახალციხის ზუბალაშვილების გვარის შესახებ დაშთენილა კიდევ შემდეგი ცნობა: XVII საუკუნის ზუბალაშვილების ერთი წევრთაგანი, XVIII საუკუნეში, ახალციხეში დაშთენილა, აქ დასახლებულა, შემდეგ ესენი გამრავლებულან, იგინი ახალციხეში აღებ-მიცემას მისცემიან, მათ XIX საუკუნემდის კაი შეძლებაც შეუძენიათ, მაგრამ მათდა საუბედუროთ, 1830 წლის დიდის ხოლერობის მეოხებით მთლად მოსპობილან, გადარჩენილა მხოლოდ ერთი – ლიკა ზუბალოვი, რომელიც შემდეგ ოქრომჭედლობის ასპარეზზედ ხელოვან ოსტატად აღმოჩენილა, მით სარჩოც კარგად შეუძენია და საზოგადოთ ყველა საქმეში სახელოვანი მრეწველი ყოფილა, მაგრამ უშვილოდ გარდაცვლილა 1890 წლებში და მით მოსპობილა ახალციხეში ზუბალაშვილების გვარის ის შტო, რომელიც დღევანდელს ცნობილს ზუბალაშვილებს ენათესავებოდა.

ასპინძაში მცხოვრებთ გამაჰმადიანებულთ ზუბალაშვილებმა დღესაც კარგად იციან, რომ ისინი მონათესავეები არიან კათოლიკე ზუბალოვებისა. იგინი ამბობენ, რომ ჩვენი მონათესავენი ქართლშიც სცხოვრობენო. დღეს მაჰმადიანთ ზუბალოვებიც ისეთივე ფანატიკები არიან და მოძულე ქართველთა, როგორც სხვა ქართველთ მაჰმადიანები. ახალციხეში ყოფნის და ცხოვრების დროს, ზუბალაშვილები ყოველთვის ივანე ნათლისმცემლის ეკკლესიის მრევლათ ითვლებოდნენ და ამ ეკკლესიას გაჭირვების დროს ყურადღებასაც აპყრობდნენ. ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: XVIII საუკუნეში ცნობილის ანდრია ზუბალოვის მეუღლეს ანნას, ხსენებულის ეკკლესიისათვის შესაწირავი გაუგზავნია, რაც მოხსენებულია ამ ეკკლესიის „კონდაკში“. ზუბალაშვილებს დიდი მეგობრობა ჰქონიათ პავლე შაჰყულიანთან და იმ დროის ახალციხის ყველა მღვდლებთანაც. თბილისშიც ყოფნის დროს შაჰყულიანი ხშირდ ესტუმრებოდა მათ. ამის დახმარებაც ცოდნიათ; პატრის ფილიპეს უპირველეს მეგობრებად 1830 წლებში თბილისში მარტოდ ზუბალაშვილები იყვნენო. ახალციხეში ზუბალაანთ გვარის შესახებ ადრე ძველმა მღვდლებმა ბევრი რამ იცოდნენო.



**იაკობ ზუბალაშვილი**
**(1792-1864)**

დღეს ამ მოძღვართ რიცხვი აღარ არის, განვლეს სოფელი, ერთათ ერთია მამა ივანე გვარამაძე, რომელსაც ბევრი რამ ახსოვს ამ გვარის წინაპართა შესახებ.

***ახალციხეშივე ნაამბობი:***

გიორგი, ანდრია და ივანე ზუბალაშვილები ქართველ მეფეების დროს სცხოვრობდნენო. მათ დიდათ უყვარდათ ახალციხის ქართველ კათოლიკეთ სავარდისის ეკკლესია და ამიტომ მას იგინი ისევე სცემდნენ პატივს, როგორც ივანე ნათლის-მცემლისას. 1789 წ. ამ ეკკლესიის ძმობაში ჩაწერილა წევრად და წლიური ფულიც შეუტანია გიორგი ზუბალოვის მეუღლეს, რაც აღნიშნულია ხსენებული ეკკლესიის კონდაკშიაც. მოხსენებულია, რომ ამ ქალის ფულით წელიწადში სამი ხმიანი წირვა უნდა გადაეხადათ. ესეც ერთი მაგალითი მის, რომ ძველადგანვე ზუბალაშვილები ლათინის ეკკლესიის წეს რიგზედ მდგარან და არა სომეხ-კათოლიკოსზედ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. საზოგადოთ ახალციხის ეკკლესიის დავთრებში ზუბალაანთ გვარის წევრნი ბევრს ალაგას არიან მოხსენებულნი ვითარცა მათი მფარველი და პატივის მცემელნი.

ზუბალაშვილები ვაჭრობას ძველიდგანვე შესჩვევიან, ვიდრე კათოლიკობას მიიღებდნენ, ძველადვე დაწინაურებულან იგინი, მაგრამ კათოლიკის სარწმუნოების მიღების შემდეგ უფრო მხნე პირებად აღმოჩენილან. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოსგან სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და ევროპას, იქიდამ სხვა-და-სხვა საქონელი შემოჰქონდათ და მით ქართველებში ვაჭრობას და აღებ-მიცემას ავრცელებდნენ. ქართველთ მეფის და ბატონიშვილებისთვის ამათ ხშირად სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთებიც მოურთმევიათ ხოლმე; ისე ზუბალაშვილი არ დაბრუნდებოდა უცხოეთიდამ საქართველოში, რომ იგი მეფეს არ ხლებოდა და პატივი არ ეცა. მეფენიც დიდათ აფასებდნენ ზუბალაშვილების შნოსა და აღებ-მიცემის საქმეს.

ერთი ასეთი ზუბალაშვილთაგანი იყო სტ. ზუბალაშვილი, მომსწრე ერეკლესი და თავის დროის კვალად ხელოვანი ვაჭარიც. მან მეფეების დროიდგანვე დაიწყო ინდოეთში მგზავრობა და იქიდამ სხვა-და-სხვა საქონლის შემოტანა. მისდა საუბედუროდ, რამდენიც ეს საქართველოში მოვიდოდა და საქონელს შემოიტანდა, იმდენი საქონლის ფასი დაეცემოდა ხოლმე, რაც მას დიდს ზარალს აძლევდა. ამან დიდათ იზარალა და ქართველთ მეფობის შემდეგ რუსებსაც მოესწრო. რუსების დროს კიდევ მოჰკიდა ვაჭრობას ხელი, კიდეც სცადა საქმე, მაგრამ ვერ წაუვიდა კარგად, უკანასკნელ, ვგონებ, 1820-იან წლებში, საქართველოდამ სხვა-და-სხვა ვაჭრებს ინდოეთში გაჰყვა სავაჭროდ. იქიდამ ის აღარ დაბრუნდა, არ ვიცით რა იქმნა, გარდაიცვალა სადმე უძეოდ და მით მოისპო ინდოეთში ზუბალაშვილების გვარის შტო თუ იქ დასახლდა და დღესაც იქმნება მრავლობენ სადმე. ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით მასზედ.

ცხინვალის ზემოთ, ჯავის ხეობაზედ, არის ერთი სოფელი, ხეთი; ამ სოფელში ზუბალაშვილების რამდენიმე კომლი სცხოვრობს, იგინი შეძლებულნი მცხოვრებნი არიან, საკუთარი ტყე და მამულები აქვსთ და იქამდე გაძალუანებულ არიან, რომ ამ სოფელში ერთს უბანს სახელად „ზუბაანთ უბანი“ ეწოდება. დიახ, ჰაზრი გახლავთ, რომ დღევანდელი ზუბალაშვილები მათი შთამომავალნი არიან. ძველად კათოლიკეებში, პატრებს ჩვეულება ჰქონდათ, რომ ვინც-კი კათოლიკობას მიიღებდა, იმას პირველს ყოფილს გვარისაგან მცირედ გვარსაც შეუცვლიდნენ. ზოგს გვარს მცირედ შეეცვლებოდა სახე და ზოგს კი სრულიად ისე, რომ ქართულის მას აღარა დაშთენოდა რა, ან სომხურს მიითვისებდნენ და ან თათრულს. ასეთი მაგალითების დამამტკიცებელია შემდეგ გვართა ისტორიები: ძველი ვარდიძე დღეს ჩილინგარიანად იწოდება, მანანიძე – პარმაქსიზოვად, შოშიაშვილი – ნალბანდოვად, ხარისჭირაშვილი – ხარისჭირიანცად, მაისურაძე – მაისურიანცად, ხუციშვილი – ხუციანად და ათასნი სხვა ამ გვარნი, რომელნიც ქართველ კათოლიკებს მიეთვისათ ძველათვე.

***ქ.გორში ნაამბობი ანტონ ზუბალაშვილის მიერ***

მამის ჩემის დავითისაგან შემდეგი ამბავი შემიტყვიაო:

მეფის თეიმურაზის (1744-62 წ.) განკარგულებით, თბილისიდან და გორიდამ ლათინის წეს-რიგის პატრები განდევნეს, პატრები ახალციხეს გადავიდნენ და იქ მიეცნენ ცხოვრებას. გორში ეკკლესია დაკეტეს, თბილისშიაც ასევე ქნეს. გორის და თბილისის კათოლიკენი ამ უბედურების გამო დიდათ გლოვობდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, პატრებს ნება მიეცათ გორსა და თბილისში შემოსვლის და მღვდელმოქმედების შესრულებისა. გორში მათ ეკკლესია წართმეული ჰქონდათ, ქართველთ ეპყრათ, ამიტომ ზუბალაშვილებმა იმეცადინეს და თავიანთ სახლში ერთი დიდი დარბაზი მისცეს პატრებს სალოცავად. აქ, ამ დარბაზში შეიკრიბებოდნენ გორის კათოლიკენი და ლოცულობდნენ. ეს დარბაზი დღევანდლამდეა დაშთენილი, იგი გადაკეთებულ იქნა გორის საოსტატო სემინარიის თათართ მოწაფეთა განყოფილების სადგომად. ამ დარბაზის მოწყობა ეკკლესიად და მფარველობა მთლად ზუბალაშვილებს ეკუთვნისთ, ყველა საეკკლესიო ხარჯი მათ ჰქონდათ ნაკისრი, ასე რომ პატრებსაც ისინი აძლევდნენ წასვლა-წამოსვლის ფულს, ულუფას, სხვა-და-სხვა შესაწირავებს და სხვ, პატრებს და საზოგადოდ კათოლიკე მოგზაურებს ყოველთვის ზუბალაშვილების ოჯახში ეძლეოდათ ბინა. ასეთი სამსახურის და პატივისცემის სამახსოვროდ პატრები დიდად კმაყოფილნი იყვნენ და ზუბალაშვილების სამსახურის და მფარველობის ცნობებს ყოველთვის რომის პაპს ატყობინებდნენ. პაპმა ზუბალაშვილების ასეთს სამსახურს დიდი პატივი სცა და 1770 წლებში, გორის ზუბალაშვილებს ლოცვა-კურთხევა და შენდობის წერილი (ინდულგენცია) გამოუგზავნა. ეს ძველი „შენდობის წერილი“ ზუბალაშვილებში კარგა ხანს ინახებოდა, უკანასკნელ იგი მეტად დაძველდა, ამიტომ იოსებ ზუბალოვი რომში წავიდა, თან წაიღო და პაპს პოი მეცხრეს სთხოვა განახლება. პაპმა სიამოვნებით განუახლა, ძველის მაგიერ ახალი მისცეს. შემდგომ ჩვენში ის ძველი სრულიად მიეფარა, დაიკარგა და აღარც ახალი ვიცით რა იქმნა, იოსებისავე ხელში დაიკარგა. როგორც ვიცით, ასეთი შენდობის წერილი და ლოცვა-კურთხევა პაპისგან საქართველოში მარტოდ ზუბალაშვილებს ჰქონდათ მიღებული, სხვა არავის, თვით ქართველ კათოლიკე თავად-აზნაურებსაც-კი არ მიუღიათ პაპისაგან ასეთი პატივისცემაო. მართლაც და რა უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი ინდულგენცია და ლოცვა-კურთხევა საქართველოში არც ერთს გვარის წევრთ არ ჰქონიათ.

მეფის თეიმურაზის და ირაკლის დროს გამოჩენილი იყო მერაბ ზუბალაშვილი და ანდრია: მერაბი კუტი იყო, მაგრამ როცა მეფე თეიმურაზი ან შვილი მისი ერეკლე მეორე და ან სხვა ვინმე ბატონიშვილები მობრძანდებოდნენ გორში, მაშინათვე მათთან წაიყვანდნენ კუტს მერაბას. მერაბი მოხუცი იყო, იგინი სიამოვნებით მიიღებდნენ ხოლმე და ისიც ასე ავედრებდა მათ:

– ბატონო მეფევ! წყალობა გვიყავი და გორის ეკკლესია დაგვიბრუნეთ, რათა ვილოცოთ ჩვენის სულისთვის და თქვენის მეფობის გაძლიერებისათვის.

მერაბმა თავის დროის კვალად მეფისა და სხვა დიდებულთა საკადრისი სიტყვა იცოდა, პატივისცემა, კარგი მუსაიფი და მიტომ დადიოდა მეფის სახლში თავისუფლად. მერაბი, გორის ეკლესიის გარდა, თბილისის ეკკლესიის მფარველობასაც ავედრებდა მეფეებს. მერაბს თხოვნა აუსრულდა და მეფემ კათოლიკეებს ყოველივე დაუბრუნა, ეკკლესიები, ნივთები, პატრებიც განამრავლა და პატივი მიაგო, ჯამაგირი დაუნიშნა და საჩუქრებითაც დააჯილდოვა.



**ძმები ზუბალაშვილები.**
**1859 წ.**

თავის დროის კვალად გორში გამოჩენილ მოქალაქედ ითვლებოდა ანდრია ზუბალოვიც. ანდრია ზუბალოვს კარგათ იცნობდნენ მეფე ერეკლე, ანტონ კათალიკოზი და სხვა იმ დროის წარჩინებული პირნი – მეფე, კათალიკოზი, მღვდელმთავრები და ბატონიშვილები გორში რომ მობრძანდებოდნენ, ყოველთვის ანდრია ზუბალოვსაც ნახავდნენ. ხშირად თვით ანდრია მოიწვევდა ხოლმე მეფეს, შესაფერს ნადიმს უმართავდა და მეფე თუ კათალიკოზი და სხვანი ყოველთვის სიამოვნებით მიბრძანდებოდნენ ზუბალაშვილების სახლითგანა. ერთხელ ანდრია ზუბალაშვილს თავის სახლის კაცებმა და სხვათაც შემდეგი რჩევა უთხრეს:

– ანდრიავ! მეფე და მეფის ძენი დიდი პატივის მცემელნი არიან შენი, ისარგებლე მით და სთხოვე, რომ თავადიშვილობა გიწყალობოს, უეჭველია მოწყალე მეფე ერეკლე შენთვის არ დაიშურებს ამას.

ანდრია ეტყოდა ხოლმე პასუხად:

– არა, ბატონებო, მე სადილზედ მოსამსახურეობის თავი არა მაქვს, მის უმაღლესობას სადილზედ ყოველთვის თავად-აზნაურები ემსახურებიან და მე კი ასეთს ტვირთს ვერ ავიტან. მეფე და მეფის ძენი იქამდის მწყალობელნი არიან ჩვენი, რომ ამ პატივისცემის გარდა მე სხვა ამაღლება არ მჭირია.

ძველთაგან დარჩენილია ამბად, რომ მეფე ერეკლე ზუბალაშვილებს და ნამეტურ ანდრიას ისეთს დიდს პატივსა სცემდა, რომ ანდრია რასაც-კი დაავალებდა და სთხოვდა, მეფეც ყოველთვის სიამოვნებით უსრულებდა დავალებას. ანდრიას სიტყვით მეფემ გორში ბევრს კაცს და ოჯახს მისცა მოწყალება და მფარველობა გაუწია. ანდრიას რომ მეფისთვის თავადობა ეთხოვნა, ამას უეჭველია მეფე დაუჭერდაო მხარს, მაგრამ ანდრიამ არ ინდომაო.

ზოგიერთი მოხუცებულნი ადრე იტყოდნენ ხოლმე, რომ ზუბალაშვილები პირველად ცხინვალში სცხოვრობდნენ, იგინი ენათესავებოდნენ ქართველ ისრაელებს და შემდგომ კათოლიკობას დაუკავშირეს ლათინის პატრებმა ისინი თვით ქ.ცხინვალშიო. ახალციხისაკენ კი სულ სხვა გარდმოცემას ამბობენ ამ გვარის შესახებ და ამათ პირდაპირ მესხებად სახავენ. ზუბალაშვილები მესხნი არიანო, ძველთაგანვე მესხეთიდან ქართლში გადმოსახლებულნი, შემდეგ კი ისევ უკან დაბრუნებულან და აწყვერს დასახლებულან. ეს გვარი თვით ცხინვალშიაც აღმოჩნდება, რომ მოიძებნოსო. არის ისეთი გარდმოცემაც, რომ ძველად ზუბალაშვილების ზოგიერთი წევრნი კონსტანტინეპოლშიაც წასულან სავაჭროდ და აწყურიდამ, ახალციხიდგამ მათ ბევრი რამ საქონელიც გამოუტანიათ გასაყი-

დასასრული მე-11 გვ.

**რეზო ადამია**

**(სერიიდან: „მე ვხატავ სალოცავებს“)**

# ვარსკვლავეთური ხედვის სინაგოგა



ბრძენთათვის წარმოუდგენლად დაუჯერებელია, როდესაც ზეუფალი, კოსმოსური ზომიერებით დედამიწელებს აკეთილშობილებდა, გადამრჩენელი სიახლე რელიგიებით, შეგონებით, მოძღვრებათა წმიდა სწავლებებით და პლანეტის მაღალ აღმსარებლობებთან ერთად, ნათება ღვთიურ მოწოდებათა გვერდით, სულის დამკნინებელი და ჭეშმარიტების უარმყოფელი, კაცთა ზნეობის დამცემი და მტრობის გამღვივებელი კანონები რომ დაემკვიდრებინა. ამდაგვარი მანკიერებანი, უფრო უკეთურთა და ნაკლული გონების, ფანატიკოს მორწმუნეთა ეშმაკეული მხოლოდ ადამიანური კანონჩამატებებია, რითაც მახინჯდება თითქმის ყველა მიმდინარეობა (ჩვენ, დედამიწელები, ნებისმიერ რელიგიათა ტაძრებს საკუთარი სალოცავებივით უნდა ვუვლიდეთ). ამდაგვარი გულსუფთა ზეციური შემართება სრულებითაც არ გახლავთ საკუთარი სარწმუნოებიდან გადახვევა: თუმცა გარდაუვალ გამამთლიანებელ საკითხებზეც მომავალ საუკუნეებში ყოველთამხსნელი ჭეშმარიტებით უთუოდ იმსჯელებენ, რათა ვარსკვლავეთური მოქმედება ხომ უფლისმიერობაა — მართალი...

ათენის, ფაზისის და ქაიროს აკადემიებდამთავრებულს, ერთ-ერთ უგანათლებულეს ფილოსოფოს-ასტრონომს, კოლხეთში ქრისტიანობის შემოსვლის შემდგომ, თეოლოგიის უსაზღვროდ ღრმად მცოდნეს უმოგზაურია მთელს მსოფლიოში და მრავალ აღმსარებლობათა სალოცავში მოულოცნია თანაბრად. რელიგიურ საოცარ შუამავლობას იმეორებდაო ყოველ წელს, სანამ ფიზიკურად შეეძლოო. მრავალი ენის მცოდნე გამორჩეული კოლხი ყველგან ქადაგებდაო ერთუფლიანობას და დედამიწაზე სხვადასხვა გზავნილების თანაბარ თაყვანისცემასო. თავისი დროის ისტორიკოსებს, მეცნიერებს და ფსიქოლოგებს ვერ დაედგინათ შემადარი სახელი, საკვირველი და დიდი თეოლოგ-მეცნიერისთვის, რათა ბრძენკაცი მოგვებზე ბევრად განსხვავებული და პატივდებული ყოფილა თავისი ღრმა უფლისმიერი ზეკოსმიურობით.

კეთილმა და ყველგან მყოფმა ღმერთმა რატომ მოგვანდო ულირს და გამოუსწორებელ ადამიანებს, რათა თავადვე გამოეშუქებინა კოსმოსური მთლიანობის ფასდაუდებელი მცნება განურჩევლობისა, რომელიც კეთილ გონიერთათვის თითქმის მიხურული კარია. ოდითგანვე დედამიწაზე ურთიერთსიძულვილის და ჩაგვრის დაბადებითი ხასიათები რომ გამჟღავნდა, ყოველ რელიგიურ სივრცეშიცაა შეღწეულ-გადანერგილი და შეცდომილთაგან დროთა ჟამში მიწიერი მახინჯი მიმართებებია გამჟღავნებული; რითაც პლანეტაზე დაუსრულებელი შეუთანხმებლობა და ურთიერთკონფლიქტების მომაკვდინებელი ცეცხლია დანთებული. ამიტომ მაღალზნეობრივი აზროვნებითი მოქმედება მუდმივად კეთილი ურთიერთობის აუცილებელი სახეა. კაცობრიობის სულიერი და გონებრივ-ზნეობრივ-კულტურული მთლიანობის მცნება კი ყველაზე მეტად ამდაგვარი მოქმედებით უნდა სუფევდეს. ჩამაფიქრებლად დასაშვებია უკეთილშობილეს ასეთ პროცესს, დიდი დრო დასჭირდეს, როგორც ჩვენამდე მხსნელ-მიუწვდომელის მოსვლას ათასობით წლები მოენდომა.

2017 წელი, ულრუბლო ნოემბრის წყნარი და უმნიშვნელოვანესი დღე; ქალაქი სამტრედია, გამჭვირვალე იდუმალებათა სავანე კულაში, მზის მაცოცხლებელ თბილ სხივებშია გახვეული, მაგრამ ირგვლივ ძალიან სევდიანი მარტოობა ბინადრობს. ებრაელთა უფლისმიერი ძველი და ახალი სალოცავი ფიქრებში ჩაძირული კაცთათვის უცნაური მიუწვდომლობაა. ერთ-ერთი შედარებით ძველი სინაგოგა ამაყად ეზოს სიღრმეში მდგარი, ჩემეული, გრძნობების გაცემით ავირჩიე და გატაცებით დავხატე. მოწმენდილ მინდორზე, სიყვითლეშესული, მეჩხერი თანაბარი მდელო საამოდ განფენილა და ოდნავ წინ, ბროწეულის იდუმალი ხეების ბუჩქი მდუმარედ რომ ამშვენებს იქაურობას, ულამაზესია ებრაული ეზოს საერთო ხედი და თითქოს უახლოესი ვარსკვლავები ზანტად დაცურავენ აქ...

დღევანდელ ახალ ფერწერულ ტილოზე ვიმუშავე მძაფრი, დაუზოგავი, ემოციური დატვირთვით და სულიერად სრულიად სხვა სივრცეში გადართულს, სურათი, მგონი, თავისებური კოლორიტ-განწყობილებით გამომივიდა, ნახატზე იგრძნობა გულწრფელი სიყვარული, უბრალოება, სითბო და უცხო პლანეტისეულ მოტივთან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება, პატივი და მოკრძალება... დილიდან საღამომდე შეუსვენებლივ ადგილზე ვდგავარ, ვეცნობი, ვხატავ და ვგრძნობ, ირგვლივ მაინც საკვირველი იდუმალება იმალება. მე დღეს სუფთა ტილოზე კეთილსინდისიერად ფერებით გადამაქვს კაცობრიობის წინაპართა მნიშვნელოვანი სალოცავი კოსმოსური სხივთ ძალა, აქ, განსხვავებულსა და უცნაურ ასტრონომიულ ადგილს, ყოველი მიწის გოჯმტკაველს და თავად სალოცავ სინაგოგას, ჩვენი პლანეტის სიძველის სულიერი შეგრძნების გაურკვეველი სუნი ასდის და ფანტასტიურ გარემო სივრცეშივე ვრცელდება.

ყოველი შემოქმედებითი სიახლე, ღრმად გააზრებული მიმდინარეობა, მიწიერი მიღწევები და განძეულობა, რელიგია, ხელოვნება, ფილოსოფია თუ მეცნიერებაში, რომელიც ზეციდან საოცრება წარმოსახვებით მისხალ-მისხალ მოგვეწოდება, შედეგად დედამიწაზე გამჭვირვალედ შემობურული, უხილავი ცის უფრო ღიად გახსნა-გასვლაა და კოსმოსში ჩამოქნილი მთლიან ქმნილებათა დამკვიდრების უკუგადინებაა უსასრულობის მარადიულ მეხსიერებაშივე, სადაც აურაცხელი უძირო და უნაპირო სულიერ-გონებრივი სიმდიდრეებითაა გადავსებული.

ქართულ-ებრაული ეროვნული ტრაგიზმის და ორიათას ექვსასწლიანი ურღვევი მეგობრობის ისტორიის უკვდავ მოლეკულათა მოძრაობაცაა ირგვლივ უხილაობის მიუწვდომლობაში. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ცხოვრების საერთო ულევი გზა წინაა და მომავალში ყველაფერი მისაბაძი ურთიერთმეგობრობითი ქმედება წმიდა სიყვარულით შეიმეცნება. შესაძლოა, მაღალმა სიახლე კულტურა-ცივილიზაციამ ადრეულად მიიყვანოს ადამიანი მაგ შეგნებამდე და რელიგიური ურთიერთგაუცხოება და სიძულვილი საერთოდ წაიშალოს, რითაც კაცთა მოდგმამ სამყაროში მუდმივად მშვიდობიანად და კეთილი კავშირით უნდა იარსებოს თავის დამყოლ დედა პლანეტასთან ერთად...

პირადულ მკვიდრს, მარტოსულ-სიმართლეს, მრავალმხრივი ძალა და საშუალება რომ ჰქონდეს, ბევრ ულამაზეს ებრაულ სინაგოგას დავხატავდი ისეთივე შეგნებით და კეთილგანწყობილებით, როგორც ჩემს ეკლესია-მონასტრებს. ასევე ფერწერულ ტილოზე გადავიტანდი საოცრება ბუდისტურ ტაძრებს, მუსულმანური კი მრავალი მაქვს დახატული ტრაპიზონში და მის გარშემო (რომელიც, როგორც თურქეთში, ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გაფანტული). ყველას დიდი მონდომებით და გატაცებით ღირსეულ სურათებად ვაქცევდი, აგრეთვე უძველეს პირამიდებს, მითოსურ სფინქსს, სარკოფაგებს, სამარხებს, აკლდამებს და წარჩინებულთა საფლავებსაც, ისინი ხომ მძინარე პლანეტებია მიწიერ მარადიულობაში ჩაფლულ-ჩანთქმული.

განმარტოებულ, მდუმარედ დაბინდულ სინაგოგას ვხატავდი და უხილავი მეორე მხარე კი ცისფერ ლეგენდად ილანდებოდა ჩემს წინ, რომლის სიტყვიერი აღწერა შეუძლებელია, მხოლოდ ის, განმარტოებით ჩემთან ერთად დადის, ერთობლივად დროებით და ისევ გაუცხოებაში შთაინთქმება. ამიტომაა საფლავები მრავალთა კოსმოსურ იდუმალებათა სამარხი. რაშიც მხოლოდ ვარსკვლავები თავისუფლად აღწევენ და ღამღამობით მათ ტალღოვანი რხევით გამოაციურებენ: ისინი კი მიუკარება თვითნებანი არიან და თავის გალერეებს ჯიუტად ისევ უბრუნდებიან. ასე გრძელდება თურმე მარადიულად...

ერთი პერიოდი, საკმაოდ დაღლილი, აქვე, ახლოს მცხოვრები კეთილი მეზობლის მიერ მორთმეულ თეთრ სკამზე ჩამოვჯექი. ჩემი დამხმარე და თანამდგომი, პატარა გოგონა მაია, სინაგოგის ეზოს მომვლელ ყურადღებიან და კეთილშობილ ქალბატონთან — ქეთევანთან საუბრობდა. მე კი ზეციურობამ კვლავ უხილაობაში გადამრთო და ათასწლოვანი თუ საუკუნეებიდან თანდაყოლილი ებრაული კეთილი თვისება, მშვიდი ურთიერთმოფერებით მიმნდობი და ყურადღების მიმქცევი ჩურჩული მომესმა, თითქოსდა, წარსულის ბუნდოვანი სიღრმეებიდან ლანდებად ამოყოლილი.

ამასთანვე მეჩვენება, ჩემს წინ მოაბიჯებენ დარბაისელი, სხვადასხვა ასაკის დინჯი ებრაელები, ზოგი გათეთრებული თმით, თავზე ტრადიციული ქუდდამშვენებული, ყველას მომღიმარე, კეთილი სახე ჰქონდა, თვალის უპეები ოდნავ ცრემლიანი და მიუწვდომელი ხედვა-მზერით. თითქოსდა, არამიწიერნი, მილიონობით წლების გაღმელნი. უმეტესობას ხელთ ჩვეულებრივი ჯიბის საათები ეკავათ და დაკვირვებით შეციმციმებდნენ. მე ვგრძნობდი, სრულიად სხვა დროის უმზერდნენ ისინი და ზეადამიანური დუმილი ჭარბობდა ირგვლივ.

ამ შემთხვევაში მშობლიური პლანეტისთვის უცხო ზეციურ ელემენტებს ვგრძნობდი, მაგრამ გამოხატულად ვერ ვაცნობიერებდი. მზე, მთვარე, დედამიწა, ცა, ვარსკვლავეთური გარემო და წარსული აწმყოთი აქ იყო, მაგრამ უძირო სინაგოგა, თითქოსდა, მაინც განმარტოებული, ჩაუწვდენლობის ნისლად უსასრულობაში ჩაძირულიყო. სიღრმისეულად ჩაფიქრებულ მოტივს შეღამებამდე ჩაუმუხლავი ვხატავდი, ღამე შორეული სევდიანი ფიქრებით მოდიოდა, სინაგოგას კი არაფერი არ ეკარებოდა. რატომ, რა ხდებოდა აქაც, ვერ გავერკვიე. ზოგჯერ არავითარი უცხო, უფრო რეალური ხმები — მოჩვენებები კი არა, მხოლოდ კეთილი ქართველების კანტიკუნტი ძახილები, საუბრები და მოსიყვარულე სახეები გაიელვებდნენ ჩემს წინ. მერმე, შესვენებისას, სალოცავის ჩრდილოეთით გავიარე და ებრაელთა სასაფლაოს საგანგებოდ რომ გადავხედე, მდუმარე, უძრავ, მუქმწვანე ოკეანედ მომეჩვენა და ჯერ გამოუცდელი, მიუწვდომელი, არაადამიანური შიში ვიგრძენი. მერმე, საღამოს, განშორებისას, უფრო ახლოს, მანქანით როდესაც გავიარეთ, თითქოსდა ჩემს წინ უხილავობაში ჩაძირული, სევდით სავსე ვარსკვლავეთს ვხედავდი. რა იყო ეს, ახლაც ვერ ვხვდები. როგორ ანალიზს არ ვაკეთებდი, უკაცრიელობამ და ღვიძლ პატრონთა სინაგოგის მიტოვებამ ხომ არ წარმოშვა ამდაგვარი ფიქრები და ხილვები? მაშინ ადამიანური შინაგანი ხმით წამოვიძახე: მე ხომ შენთანა ვარ, დიდებულო მეგობარო, მაგრამ უმალ ვიგრძენი, ძალიან სუსტი ბგერა იყო მისთვის და ჩემთვისაც. რა ხდება, უფალო! რამხელა მარადიული საიდუმლო სირთულეები გაგვიჩინე, ჩვენთან ხარ ყოველმხრივ და შენით ვართ, მაგრამ ძალიან შორეულში და თითქმის მიუწვდომელში ტახტროვნებ! აქაა დიდი უსასრულობა ყველაფრისა... ახლა, ამ გამორჩეულ ფერწერულ ტილოს რომ ვუმზერ, იმ დღეს განსხვავებულმა ზეძალამ ხომ არ დაამჩნია თავისი გაურკვეველი კვალი-მეთქი?! ნუ გაუკვირდება ნურავის და შეშფოთებული ვფიქრობდი, თითქოსდა, საიდანღაც, უდიერი ქარისგან გულის წამრთმევი ღია კარის ჭრიალი ისმის, დროგამოშვებითი, ყრუ ბრაგუნიც გავარდება მონოტონური. ასევეა, ფსიქოლოგიურად ტვირთმძიმე, მიტოვებული, ამჟამად ისტორიული ძეგლის შიშისმომგვრელი უკაცრიელობა, აქაური უებრაელობა და დამთრგუნველი, სევდისმომგვრელი, უიმედო დუმილი; ძალიან შორეული და საოცრად ვარსკვლავეთური მძიმე ხმა. უძველესი პლანეტის გაურკვეველი სულიერ-მოჩვენებითი ფორმები ტრიალებს ირგვლივ და ლაჟვარდისფერი, სრულიად გაუცხოებული, წრიული მოძრაობითი განწყობილებაა, თითქოსდა მიმზიდველი და სულის დამატყვევებლად ოცნებამიმჯაჭველი. ფიქრობ, იხსენებ, მძაფრად განიცდი და ამაღლებული სათნო გრძნობებით გებრალება აქაურობა, აღმგზნები, უძველესი რელიგიური კულტურის კოსმოსური სასწაულებრივი ძაფის ურღვევი დაბინდვაა, უთუოდ რომ გონებრივად ზეციურობის წყვეტას არ გრძნობ, რათა იცი, ეს ხალხი აქედან, ამ სალოცავი ეზოდან, შორეულში საამაყოდ აღორძინებულია და უძველეს ეროვნულ ფესვებს, ორგანულად მოსულიერებულ-გაცოცხლებული და სასწაულებრივად, დედამიწის თანამედროვე კულტურა-ცივილიზაციის პროგრესს განიცდის. მაგრამ მაინც მიტოვებული რელიგიური აქაურობა გებრალება და განიცდი უახლოესი ნათელი ფერგრძნობებით.

საერთო სურათის მხატვრულად სრული ამდაგვარი სახეა ჩემს წინ რასაც ვხედავ და აღვიქვამ კოსმოსურ ხალიჩად გადაშლილს. ამ საოცრება განწყობილების უკიდეგანობის საცავში სიტყვა, ფერი, ხაზი, ბგერა და ფორმა მაინც უძლურია, ამიტომაცაა ის თავისთავადი, დიადური, მიუკარება და შეუვალი; როგორც ჩვენი გალაქტიკის იქითა უმდიდრესი სივრცე.

მიუტევებლად უხამსი ზოგიერთნი და, სამწუხაროდ, ბევრნიც იტყვიან ხოლმე (უფრო სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხიდან), რომ ებრაელები თავისებური და უცნაური ხალხიაო; აქ უეჭველად ქვეადამიანური შურია მათ მიმართ. ღიზიანდებიან მაღალი ნიჭის — გენიით, გამორჩეული სევდის და მიმზიდველი სიმშვიდით. განსხვავებული ტრაგედიის, უტეხი და ულალატო, ძლიერი რელიგიურობით, ასევე თვითმყოფადი შინაგანი ფსიქოლოგიური გამორჩეულობით, უცხოთაგან მიუდგომელ-შეუვალი რჯულის დაუშლელობის და საკვირველი ეროვნული მთლიანობის მიმართ...

ებრაელობა თავად ღმერთია, გაინდივიდუალურებული საერთო მიუწვდომლობით: რადგანაც უფლის მიმართ შური და განზე დგომა უაზრობაა, ამიტომ მათთან ღვთისმიერი, ახლო მიდგომაა საჭირო... აქედან გამომდინარე, შედარებისთვის კაცობრიობა პატივით უნდა იხსენებდეს, უძველეს შუმერებს, ხეთებს, ქალდეველებს, ბერძნებს, უძველეს კოლხებს, ეგვიპტელებს, აცტეკებს, მაიას ხალხს, ინკებს, ჩინელებს და სპარსელებს. ინდოელებს, ძველ სომხებს, იბერიელებს, ჩაძირულ ატლანტიდელებს, სამყაროს ნისლში გახვეულ ზეციურ ტროას, საოცრება ბაბილონს, ისტორიულ ებრაელებს — დღევანდელთა ჩათვლით. რომაელებს, იტალიელებს, ესპანელებს, ფრანგებს, გერმანულ მრავალმხრივ ნიჭს, ჰოლანდიელ, დღევანდელ და შორეულ სკანდინავიელებს, აგრეთვე მრავალი დროის ისტორიის მიღმა მივიწყებულს თუ ვარსკვლავეთის მეხსიერებაში ჩაბინდულთ, რომლებმაც ჩვენს პლანეტაზე სხვადასხვა ათასწლეულებში ცივილიზაციისა და კულტურის ჩაუქრობელი, ურთიერთისაგან განსხვავებული ნიმუშები რომ დაბადეს...

როდესაც ვხატავ ქრისტიანულ ტაძრებს, მართლმადიდებლური იქნება თუ კათოლიკური (ბევრჯერ ადგილზე მაქვს დახატული პარიზის ღვთისმშობლის უნიკალური ტაძარი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქალაქში ინახება), იმ პერიოდში, თითქოსდა, უფლის სიახლოვესთან ერთად, ეკლესიის და, პირად, აღელვებულ სულსაც, ნიუანსებით ვაფერწერულებდი, მაგრამ, სინაგოგის ხატვისას, უკვე განცდა-ემოციურობით, დედამიწაზე არ ვიმყოფები, რაღაცნაირად დღეს უძლეველმა ძალამ ამიტაცა და ზემიწიერ სივრცეში გამაერთიანა, აქ ადამიანებზე ზოგადუცნობი, არარელიგიური გავლენაც მოქმედებს. თითქოსდა, ყოველივე, გალაქტიკებივით შორეულია და იქვე ჩემეულიც, ფსიქოლოგიურად გამოუცნობი, ანდამატური ნერვიული ქსელით. ამ ურთულეს განწყობილებას პლანეტარიუმის მთლიანობის მაგნიტ-სხივი ხომ არ ქმნის? ასევე გონებრივი, სულიერი, საღი აზროვნებით ვგრძნობ, გულძარღვ არტერია-კაპილარებიც სულ სხვანაირად მიმოიქცევიან და სრულიად განსხვავებული ფიქრებიც საგრძნობლად მიღრმავდება. ირგვლივობას კი უჩვეულოდ ვილებ და გამორჩევით ვყნოსავ დედამიწის და ზეცის წარმოუდგენელ სულიერ და იდუმალ შეგრძნებას. ამ საკვირველებას, რა თქმა უნდა, ზესამყაროსეული მიუწვდომლობა ქმნის.

სუნთქავს დედამიწა — სივრცე და სამყარო განმარტოებულ სინაგოგასთან ერთად, რითაც კოსმოსური მთლიანობაა სანუკველი...

უფალთან ებრაელთა მარადიული სიახლოვე კოსმოსური უმდიდრესი მცნებაა...

ყოველთა და, საერთოდ, დამთრგუნველი სიკვდილიც დაბნელეთობს აქ და ებრაული ერიც ვერ გაჰქცევია მას. მიახლოებითი, უკუნეთური, გასაიდუმლოებაა დედამიწაზე განსახლებული სასაფლაოების მიუწვდომელი, უიმედო დუმილ-ჩაძირვაში, უსივრცო მარადიულობა და რაღაც მთავარს იქითა სიშიშვლე-ბნელეთია, რომელსაც მხოლოდ უზენაესის უკიდეგანო გონება წვდება. როგორც მოგახსენეთ, ყველა რელიგია ზესამყაროდანაა ერთი მთლიანობიდან გზავნილი. აქედან გამომდინარე, ადამიანებმა გონებრივად არ უნდა დავამახინჯოთ ღვთიურ კოსმოსური უდიდესი ჰარმონია, რაც უპატიებელ დანაშაულად ჩაითვლება, საბოლოოდ სადავეებმფლობელნი უკანასკნელად ამოიღეთ, თქვენში გაჩენის დღიდან ჩარჩენილი უკეთურობა და შეეწყვეთ ზეციურ, ურღვევ, კეთილშობილურ, მართალ კანონებს...

პლანეტაზე ფიზიკურად ჩვენი გადარჩენა უფლისმიერი რელიგია-სარწმუნოებითაა, მაგრამ, სატანამ და ბოროტებამ საღვთო მოძღვრებებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს გადაჰკიდა. წმიდანნი, ბრძენნი და კეთილნი რომ არა, დაუსრულებელი ცეცხლი და ომი იქნებოდა მათ შორის და მთელს ქვეყანაზე...

კულაშის სინაგოგა მიწას და ცას შერჩენილი მარტოხელა, კეთილი, ჩაუქრობელი და სიმბოლური ვარსკვლავია...

ებრაელთა იდუმალი, ურთულესი ეროვნული სულიერი ფორმულის სრული ახსნაა უფალთან მარადიული სიახლოვე, მათი გამორჩეული სარწმუნოება, უთუოდ პლანეტის ყველა რელიგიაზე არანაკლებ მტკიცე და მზისმიერია.

დღევანდელ დამატყვევებელ მოტივზე როცა ვმუშაობდი, პალიტრის — ფერების და ფუნჯთა სულისმიერი სიცოცხლე-მონაცვლეობით ჩართული, ჩემთვის ვფუსფუსებდი. ზეციურ-მიწიერ სევდაში მოქცეული სინაგოგა ხომ ერთ-ერთთაგანი ქვეყნიური სალოცავ-საოცრებაა, შინაგანი, მარად მიუწვდომელი და განცალკევებული მრავალმხრივი ბუნებით.

ღვთის შვილნო! ყოველი შენეული აღმსარებლობა კოსმოსური სხვადასხვა დონის და ფერის უფლისმიერი საერთო ჭეშმარიტებაა: სამწუხაროდ, მათი მთავარი არსი, განუვითარებელი ადამიანის გონებრივმა ფანატიზმმა, ნისლმა და ზნეობრივმა სისუსტეებმა ალბათ, დროებით დაბინდა...

ზეცად ამაღლებული სინაგოგის ფერწერული სურათის შექმნისას მთელი დღე ჩემს უცნაურ გამომსახველობით მეხსიერებაში გენიალური მხატვრის, პაბლო პიკასოს ცისფერი პერიოდის ღარიბი ებრაელის ფიგურული პორტრეტი მელანდებოდა, რომლის მიწიერ-ზეციური, უძირო, რასიული, მკვეთრად განსხვავებული სევდა, ირგვლივ მრავალსახოვან ცისფერ ნისლად განევრცო. ამ დროს ჩემში სინაგოგის მიუკარება კოსმოგენური განწყობილება თანდათანობით უფრო იდუმალი და არა მიწიერი გახდა. მთელი არსებით და სინაგოგისეულ, ფილოსოფიურ სივრცეში ჩართული ზეაღფრთოვანებული ვხატავდი, განვიცდიდი, ვფიქრობდი, ვაზროვნებდი, ვოცნებობდი და ჩემს წინ დედამიწა გაურკვეველ ფორმებს ღებულობდა: ზოგჯერ ცისფერი ნაპრალები გაიელვებდა და რაღაც არამიწიერი სხივები ამონათებდა სინაგოგის სიახლოვიდან. რა იყო ეს?! ძნელია გამოცნობა, რომელიც სურათზე ფერებით ხაზით და ფორმით, შეძლებისდაგვარად, პირობითად მაინც გამოვხატე. უთუოდ სამყაროს საოცრებების უხილავი და შეუსწავლელი სულიერი ფორმებია ყოველივე, ხოლო პიკასოს პორტრეტულ შედევრში გონმიუწვდომელი, ზეადამიანური, მრავალშრიანი ფიქრია — მიწიერ-ზეციური, უხილავი და გაურკვეველი ჩრდილი ადგია. თითქოსდა კაცობრიული ბედითი წილხვედრილობითაა სავსე სივრცის მიერ ასახული და ამქვეყნიურობის, განსაკუთრებულად უცხო, ლურჯი, ფარდაგ-ძაფითაა ფერწერულად მოქარგული; იმქვეყნიურ, ურთულეს, მარადიულობასთან ერთად, რომელსაც ახლავს კაცთათვის მიუწვდომელი გასაიდუმლოება, ადამიანთა ღვთის მიმართ წმიდანური ხედვა და აუცილებელი შეწირულობაა მაღალმხატვრულად გაცხადებული. წუხილზე, გლოვაზე, მწარე ურვაზე, სევდასა და საერთო ტანჯვაზე ბევრად ღრმა და სიბნელის შინაგანი გადამალული უკუნეთის მხატვრულ-სიღრმისეული ფორმა და აზრია შეუდარებელი მხატვრის სურათზე გაშუქებული, რათა წარმოსახვები სრულყოფილი გამოცხადებაა უფლისმიერი წყალობისა და მისი სხვადასხვა ღირსების ქმნილებებიც არსებობს, რისგანაც იქმნება დიდი ან გენიალური რელიგიური, ხელოვნების თუ სხვადასხვა სახეობის ნაწარმოებები. თითქოსდა მოახლოებული სიკვდილის ფერით, სურათზე, რბილი არანაკლები საიდუმლოს ფორმა და უცნაური სიღრმეა უხილავ ნისლად დაფერილი.

მე, როგორც არაებრაელს, ალბათ, მაქვს უფლება, ნებისმიერ დიდ ჭეშმარიტებაზე თამამად და მადლიერებით განვაცხადო, დიდება ქვეყნიერების უფალს და ყველგან სიმართლეს.

რატომღაც, ზოგნი, შემთხვევით, აზრთა განუხილველად, მკვეთრად იტყვიან, ეს ქრისტიანი ავტორი რამხელა ხოტბას უძღვნისო ებრაულ სინაგოგებს. დიახ, მეგობრებო! ასეა, და, მჯერა... გულმართალი შედარებისთვის მინდა მოვიაზრო, ციური სხეულების სილამაზეზე უცვლელი შედარებითი მაგალითი. ჩემს სოფელში, ძველ სენაკში, კარგ ამინდში, ღამე, მარტოდ გავივლი ხოლმე ეზოში და სიყვარულით ვათვალიერებ ცის ვარსკვლავებით გადავსებულ სივრცეს. მიკვირს, ზეცაში თვითნებურად ვიძირები, ვტკბები მათით და უსასრულობაში ჯადოასხმული ვარსკვლავებიდან თანმიმდევრულად ხედვა-ოცნებით გადავდივარ და გაოცებული იმ მონაკვეთით, განსაკუთრებით ღა-

➔

სასკოლო ცხოვრება

# ახალი სკოლა — ახალი იმედები



მიმდინარე სასწავლო წელი განსაკუთრებული სიახლით დაიწყო ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლაში. სამწლიანი სამშენებლო სამუშაოების შემდეგ, 2018 წლის 9 ოქტომბერს, აქ ახალი სტანდარტებით აშენებული საჯარო სკოლა საზეიმოდ გაიხსნა.

მოწვეულ სტუმრთა შორის იყვნენ ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მიტროპოლიტი, მეუფე **თეოდორე,** სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი **ბესიკ ამირანაშვილი,** ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ინგა ბოჭორიშვილი,** ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი კოპაძე,** ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი **ზაქარია ენდელაძე** და სხვა ოფიციალური პირები.

საზეიმო ღონისძიების მონაწილეებს არლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მაღალ დონეზე შესრულებული სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები წარუდგინეს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოგონათა გუნდი.

სამშენებლო სამუშაოები და ძველი სკოლის დემონტაჟი განახორციელა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ. იგი აშენებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და აღჭურვილია საკმაო რაოდენობის ინვენტარით. სკოლა გათვლილია 192 მოსწავლეზე.

აღნიშნული სკოლა არა მარტო ინვენტარითა და გარე ფასადით არის მიმზიდველი, არამედ იქ დასაქმებული პედაგოგებითაც. ამჟამად სკოლას 20 სერტიფიცირებული პედაგოგი ჰყავს, სკოლის დირექტორი **მარო ჩხიტუნიძეც** ასევე სერტიფიცირებულია და წლებია უნარიანად და წარმატებით უძღვება მინდობილ საქმეს. ამის ნათელი დადასტურებაა ის დიდი წარმატებები, რომელიც მიღწეულია მისი დირექტორობის პერიოდში სკოლის აღსაზრდელების მიერ.

სოფელ არლის სკოლა ას წელზე მეტს ითვლის, რომლის გახსნა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის გარიჟრაჟზე (1901 წელს), **კოტე გვარამაძის** სახელს უკავშირდება, იგი დიდი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის **ივანე გვარამაძის** (ვინმე მესხის) შვილი გახლდათ და განსაკუთრებული როლი ითამაში რეგიონის როგორც კულტურულ, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში. მან, თავდაპირველად, გახსნა ორკლასიანი სკოლა, რომლის პირველი მასწავლებელი, ამავე სოფლის მკვიდრი, **პავლე თათეშვილი** იყო. იქიდან მოყოლებული, წლითიწლობით, იზრდებოდა მოსწავლეთა რაოდენობა და 1972-1973 სასწავლო წელს სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობამ 555-ს მიაღწია, სადაც 20 ფინანსური კლასი ფუნქციონირებდა. სამწუხაროდ, ამჟამად, აქ მხოლოდ 138 მოსწავლე სწავლობს, მაშინ როდესაც სოფელი არალი ერთ-ერთი დიდი სოფელია მთელ მხარეში.

სოფელ არლის საჯარო სკოლის მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ ნიჭიერებითა სწავლა-განათლებით, მათი კურსდამთავრებულები საქართველოს თითქმის ყველა მხარეში მოღვაწეობენ და წარმატებას წარმატებაზე აღწევენ. ცხადია, ყველას აქ ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმეს მაინც გამოვყოფდი: მედიცინის აკადემიურ დოქტორს **ზვიად მათოშვილს, –** გულის რიტმის ევროპის ასოციაციის მიერ სერტიფიცირებულ სპეციალისტს, რომელიც დაჯილდოებულია სამედიცინო პორტალის ნომინაციაში – „რჩეული ექიმი - 2018“; **სტეფანე აფრიამაშვილს,** – რომელმაც ასტრონომიული მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მის მიერ აღმოჩენილია სამი ახალი ვარსკვლავი, 20-მდე პლანეტარული ნისლეული და ვარსკვლავთა ორი ღია გროვა და გამოქვეყნებული აქვს ამდენივე სამეცნიერო ნაშრომი. აქ კიდევ ბევრი წარმატებული კურსდამთავრებულის ჩამოთვლა შეიძლება, თუმცა, იმას დავამატებ მხოლოდ, რომ არლის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები განსაკუთრებულ წარმატებებს ტექნიკური მიმართულებით აღწევენ. ამის ნათელი დასტურია 2014-2015 სასწავლო წელს გამართულ მათემატიკურ კონკურსში – „L'match“ – არლის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ ათეულში მოპოვებული მესამე ადგილი. ასევე ნიშანდობლივია, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ისინი 2-ჯერ გახდნენ სატელევიზიო შოუს – „ეტალონის“ გამარჯვებულები; 2016 წელს, პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში – „მე და საზოგადოება“ – რეგიონში გაიმარჯვეს და რესპუბლიკის საუკეთესო ათეულში მოხვდნენ. 2013 და 2015 წლებში გაიმარჯვეს კონკურსში – „ყველაზე ჭკვიანი.“ ასევე უნდა ითქვას, რომ 2009 წელს „ირმის ნახტომის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში – „ჩემი გარემო“ – სკოლა (საქართველოს მასშტაბით) პირველი ადგილის მფლობელი გახდა. მათ ყოველწლიურად 2-დან 5-მდე მედალოსანი ჰყავთ, 2-დან 7-მდე – წარჩინებული კურსდამთავრებული, მათი კურსდამთავრებულებიდან ყოველწლიურად ხუთზე მეტი საგრანტო პროგრამით სარგებლობს.

იმედია ახალი სკოლა ახალ-ახალი დიდი წარმატებების მომტანი იქნება.

ნინო ბერიძე,
ადიგენი

# ვარსკვლავეთური ხედვის სინათლე

←

მის პირველი საათისთვის, აღმოსავლეთიდან შუაგულ გუმბათისკენ საკვირველი მნათობთა სიმრავლეა გადანაწილებული, ულამაზესი დიდი და მცირე მრავალფერადი პლანეტებისა, ზოგ ადგილას წყვილ-წყვილად რომაა აციმციმებული, რამდენიმე მონაკვეთში კი ორეული, სამეული, ოთხეული და ხუთეულიცაა დაჯგუფებული. აღუწერელი, დაუტეველი, კოსმოსური საოცრებაა თავიანთი უცხო უცნაურობებით, მე შინაგანად მიყვარს ისინი და სულიერად ვეტრფი, როგორც თავად მცირედი ნაწილაკი თითოეულის სხივისა. საგანგებოდ მათში პიროვნულად არ ვეძებ და არც ვცდილობ აღმოვაჩინო ისინი ებრაული მგრძნობიარობისაა, ბუდისტური, მუსულმანური თუ სხვა ნებისმიერი რომელიმე მიწიერჯერ გამოუცხადებელი ზეციური აღმსარებლობისა. ყოველივე რამდენადაც შორეული და მხედველობითაც მიუწვდომელია, იმდენადვე ჩემეულია და თბილ, ახლობრივი, მწამს, პირადი შემოქმედებითი წარმოსახვები იმ ვარსკვლავთა სივრციდან მოედინება. ჩვენ არა გვაქვს უფლება, კოსმოსური, კეთილი გამონათება, მათი ფერ-ტონალური განსხვავებულობა და ზეციური მშვენიერება გულ-სულიდან ამოვიღოთ, განვაცალკევოთ, რისგანაც საცოდავი შეუგნებელ-დაცემულნი გავხდებით, რომელიც, უხსოვარი დროიდან, პირველყოფილი ველურობიდან მოედინება: ამდაგვარი ღვთისნიერ-კოსმიური, სიკეთე-სიყვარულის შემხვედრნი ვართ ჩვენ, მრავალნი, საქართველოში, ისრაელსა და ბევრგან მსოფლიოშიც, რომლებიც წარმოვადგენთ განწმენდილ, ვარსკვლავეთურ და მზისმიერ სიჯანსაღეს.

თარგმანები

## აბდურაჰმან ბაჰი

### *ქართველი მუსლიმის ლოცვა*

ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
სათნოების სახლის მცველო,
ვარდად გყნოსავ, სასურველო,
ყაყაჩოა შენი სახე,
გაზაფხულად მოსასვლელო,
შენზე კარგი ვერვინ ვნახე!

შენთვის მოვალ, შენთვის წავალ,
ზღვას გავალ და ქვესკნელს
ჩავალ,
წელმოწასყვეტ კლდეზე ავალ,
ალაჰია ჩემი მცველი –
მისი ძალით რკინის მთა ვარ,
ფერხთ მიყრია ტყე და ველი!

მაჰმადია ჩემი მწყემსი,
ვისაც ვენდე და ვეწესე,
ვისთვის ცხელი გული ვკვესე
და ვინც ცრემლი დამადინა –
ჩემი სახლი არის ესე,
ჩემი მაქა და მადინა!

ეს ცხოვრება მანამდისაც
ხომ მცდიდა და მარად მცდისა:
დღესაც მწვეთავს და დამდისა
სისხლის, ჩვენთვის გაცემული,
შვილიშვილის მაჰმადისა,
ქერბალაში დაცემულის!
ჩემი ხორცი ფასობს იმდენს,
რასაც გონით წარმოვიდგენ:
„სადი ბინდენ, მალო იდენ,
სალამათან ალოიდენ,
ელბიჯ ოლუმ სალოიდენ,
ელბიჯ ოლუმ სალოიდენ,
ჩოხ და იალ განოიდენ!“

ყოფის გამო ვერ ვიჩივლებ,
არ დავეძებ ძველ ტკბილ ვილებს:
სულს მინათებს და სურვილებს
მე ღვთის ხატის ათინათი,
და ვიყუჩებ ძველ ტკივილებს
მაქათი და მადინათი.

გადამტანი ამ ამბისა
უდაბნოში არაბისა:
ჭირის გზისა და ქვაბისა,
რასულ მადინათ ალ-ლაჰის,
მომლოცავი ქააბისა
აბდურაჰმანი ვარ, ბაჰი!

თარგმანი არაბულიდან
მურმან თავდიშვილის
მიერ

***მცირე კომენტარი:*** აბდურაჰმან ბაჰი კომუნისტების დროს სწავლობდა თსუ-ში. ერთი აქაური პროფესორის ხელმძღვანელობით დაიცვა სადიპლომო „ქართველ მუსლიმთა სოციალურ-კულტურული ყოფა“. შემდეგ ქაიროში ნაშრომი შეავსო და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. წერს ლექსებს. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე კრებული.

წეს-ჩვეულებები

# ქორწინების წესები სოფელ მურჯახეთში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობაში

სოფელში ქართულ და სომხურ მოსახლეობას ბევრი წესი აქვს საერთო. ეს ჩანს საქორწინო რიტუალებში. უფრო სწორად, სომეხი მოსახლეობის საქორწინო წესებში არის გატარებული თითქმის მთლიანად მცირედი განსხვავებით ქართული წეს-ჩვეულებები, კერძოდ:

ბეის გაცვლის რიტუალი ქართული და სომხური მოსახლეობისთვის მსგავსია. როგორც ერთ მხარეს, ისე მეორე მხარეს, ამ რიტუალში მონაწილეობენ ვაჟის მამა, ბიძა, მაჭანკალი, ნათლია (ძირითადად მამაკაცები).

ნიშნობის რიტუალში ქართული წესებია აქაც. განსხვავებაა იმაში, რომ ნიშნობაზე მისატან საჩუქრებში ლოგინის გადასაკრავები არ იყო (ქართული წესის მიხედვით კი ლოგინის გადასაკრავების მიტანა აუცილებელი იყო). განსხვავება სომხურ და ქართულ წესებში ის არის, რომ ნიშნობაზეც და ქორწილზეც თამადად ირჩევენ სომხები ნათლიას. ნიშნობის რიტუალი – პატარძლის შემოყვანა სიმღერით, ხელზე მოკითხვა, დამშვიდობებისას ფული, ისევე იყო, როგორც ქართულ მოსახლეობაში.

ცნობილი იყო ბოღჩის დაჭრის რიტუალიც, მსგავსად ქართული წესისა.

ქესუმის მიტანა, გადასაწყვეტიც, მსგავსი იყო ქორწილის რიტუალში:

სომხურ ქორწილში იყო ასევე ქართული წესები:

მახარობლის როლი; მაყრიონის და მაყარბაშის როლი (მაყრების თავი); ჯვრისწერის, პატარძლის გამოყვანის წესი. ვაჟის ოჯახში პატარძლის მიღების წესები (საარაყე ქვაბზე გადმოყვანა, საცერში გახედება, დედამთილის დახვედრა, ნეფე-პატარძლის მიღება).

მაყრიონის გზაზე სუფრების გამოგებება, შეჯიბრი ცხენოსნობაში, ჭიდაობაში.

ქართული წესის მიხედვითაა აჯლას დანიშნულება (ბავშვების დაწოლა აჯლაზე): ნეფე-პატარძლის დასმა აჯლაზე.

სანიჟარი და სუფრების დაძახება სომხურ ქორწილშიც იყო ცნობილი.

სომხურ ქორწილში ცეკვავდნენ შვიდ წყვილ ფერხულს, მღეროდნენ მრავალჟამიერს (ქართულად).

იცოდნენ ქორწილის მეორე და მესამე დღეს გართობა-თამაშობანი, ნეფის განადირება, მაყრების ფეხით ჩამოკიდება.

სომხური ქორწილის წესის მიხედვით, ნეფე-პატარძალს მესამე დღეს დააწვენდნენ. ლოგინს გაშლიდა დედამთილი ან უფროსი რძალი. დილით სიძე ლოგინში ფულს დატოვებდა, საღამოს დედამთილი მოიწვევდა ახლობლებს. ქალის მშობლებს და მიახარებდა – თქვენი ქალი პატიოსანიაო.

იცოდნენ აგრეთვე ვაჟის ქორწილში მზითვის დაძახება, მზითვის გამოსყიდვა.

ქართული ქორწილის წესებიდან სომხურ ქორწილში არ ჰქონდათ ნათლიის ჯვარი (ამ ჯვრის ფუნქციონირება სომხურ ქორწილში არ ჩანს).

თანამედროვე სომხური მოსახლეობის ქორწილში უკვე ქართული ელემენტები საკმაოდ მცირეა და, ისევე, როგორც მთელ ახალქალაქის რაიონის სომხურ მოსახლეობაში, აქაც წესები მნიშვნელოვნად შეცვლილია და უფრო განსხვავებული რიტუალიებით. მაგალითად: სომხური წესის მიხედვით, ნიშნობა ქალის სახლში თითქმის ნიშნავს ქალის სახლში გადახდილ ქორწილს, ვაჟი, გარკვეული დროის შემდეგ, ცალკე იხდის ქორწილს. განსხვავებულია სრულიად ნათლიის როლი და, საერთოდ, ეს წესი, ასევე მზითვის ინსტიტუტი, სრულიად განსხვავდება ქართული წესისაგან, სომხურ წესებში შეჭრილია ბევრი თანამედროვე რიტუალი, რომელიც დამახასიათებელია, საერთოდ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ სომხური წესებისათვის.

მთქმელი არუთინ ტაჯათის ძე
მარქარიანი, 63 წლის, სოფ. მურჯახეთი,
ჩაიწერა
ცირა მესხიშვილმა 1989 წელს

◀ დასაწყისი გვ. 9

დათ კონსტანტინეპოლში, მაგრამ აღარ სჩანს, იგინი ისევ დაბრუნდნენ იქიდგან საქართველოში თუ იქ დარჩნენ. ასეთი გარდმოცემაც გახლავსთ: ზუბალაშვილები ჯავის ხევიდან არიან და არა ჯავახეთიდგანაო. ჯავის ხეობაზედ იგინი მტერთა თავ-დასხმისაგან შეწუხებულნი ყოფილან, ერთი მათგანი გადმოსახლებულა გორში, იქ კათოლიკის პატრებს დაახლოვებია, კათოლიკობა მიუღია, პატრებისაგან ისე გაწურთვნილა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი საკმარისადაც დაწინაურებულა. ეს ხანა უნდა ყოფილიყო XVII საუკუნის ნახევარს და დღევანდელი ზუბალაშვილები სწორედ ამ ზუბალაშვილების შთამომავალნი არიანო. ცოდნით, საქმით და შეძლებით ისე ყოფილან დაწინაურებულნი, რომ მათ ჯეროვანი დახმარება მიუციათ პატრი დავითისთვის და იგი 1724 წ. წასულა რომს. 1733 წელს იქ მან ქართულს ენაზედ „საქრისტიანო მოძღვრებაც“ დასტამბა, რომელიც ზუბალაშვილების დახმარაბით მაშინვე მოიტანეს საქართველოში. XVIII საუკუნეში, ქართველთ კათოლიკეებში ყველაზე ამაღლებით და დაწინაურებით მარტო ზუბალაშვილები ითვლებოდნენ.

***ჟურნალი „მოგზაური“, ივნის-ივლისი, თბ. 1901 წ. გვ.682-691***

ხურსიძეების ნაამბობი

ხურსიძეების გვარში დარჩენილია შემდეგი გადმოცემა: ზუბალაშვილები ცხინვალელები არიან, შემდეგ დროებაში, ზედმიწევნით 1930 წლებში, გორში გადმოსახლებულან და ვაჭრობას შსჩცვევიან. გასულოა რამდენიმე ხანი და გორს ლეკნი და ოსმალნი დასცემიან. გორი აუღიათ, იქ ფეხი გაუმაგრებიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველები ამხედრებულან ოსმალთა და ლეკთ წინააღმდეგ, მტრის დევნა და ხოცვა დაუწყიათ, მტერი გაუდევნიათ, ამას დიდი ძალი ქართველობა შსწირვია, მაგრამ გორი მაინც გაუნთავისუფლებიათ. ოსმალთ ამ დროს რამდენიმე ქართველი მეომარი მაინც დაუჭერიათ და თან წაუყვანიათ. ახალციხეში რომ ჩასულან, ეს მეომარი ტყვეები კათოლიკის პატრებს და ხურსიძეებს უნახავთ, ამათ დაუხსნიათ ეს ტყვეები და გაუნთავისუფლებიათ. ამ განთავისუფლებულ ტყვეებში რამდენიმე ზუბალაშვილნიც რეულან. ესენი ზოგნი ახალციხეში დაშთენილან პატრებთან, შემდეგ კათოლიკობას დაკავშირებიან და ზოგნი ისევ ძველს სამშობლოშო – ქართლშივე დაბრუნებულან. იმასაც ამბობენ, რომ ახალციხის პატრებს მეტად დიდი ამაგი მიუძღვისთ ქართველებზეო. ახალციხეში ესენი ქართველთ ტყვეებს ყოველ წელს ასობით ისხნიდნენ და ქართლს, იმერეთს და კახეთს აბრუნებდნენო. ასეთნივე ყოფილან ძველად მცხოვრებნი ახალციხელი შოშიაშვილები, დღეს ნალბანდოვად წოდებულნი; ესენიც დიდძალ ტყვეებს აპარებდნენ ოსმალეთიდგან საქართველოშიო. მრავალი ცნობაა აგრეთვე დარჩენილი, რომ ახალციხიდამ ზუბალაშვილებიც ათავისუფლებდნენ ოსმალთაგან ტაციო წაყვანილ ქართველთ ტყვეებს და ამ საბრალოებს ქართლს, იმერეთს.

# მატიანე



არლელები. სურათი გადაღებულია 1941 წელს. გადმობეჭდილია ინტერნეტიდან

## მკითხველთა საყურადღებოდ!

ახლახან გამომცემლობა „საარ-მა“ გამოსცა წიგნი – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, რომლის შეძენა შეგიძლიათ ქალაქ თბილისში – წიგნის მაღაზია „პარნასში“ (ჭავჭავაძის პრ. 22), სამცხე-ჯავახეთის რეგიონში – წიგნის გამავრცელებლებთან.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ

ტელ.: 599 97 95 24.

*გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია*




## ფოლკლორი

***

თერევ, ყირმიზ-ყელანო,
ფიჩხისთვის წავიდეთ ტყეში,
თან ხის ძირას გაგაგორებ,
თანაც გათამაშებ ხელში.

***

„სოკოანს“ აველ, დამიხვდა
ხილ-ბოსტნეული ნასეტყვი,
ამაღამ შენთან მწადიან,
თერეჯან, უარს ნუ მეტყვი.

***

ფარეხელი არ გეგონოთ,
სოფლელი ვარ, თუთაჯვრელი,
ლამაზებო, ნუ გამირბით,
ხვევნა ვიცი საკვირველი.

***

თეძოებს რომ მიმოიქნევ,
ქარში ეკალ-ნარივითა,
თერევ, ცოლად არ მოგიყვან,
თუგინდ გახმე სარივითა.

***

შილმა ჰკითხა თავის შილსა:
– ქალო, ძაან მაკვირვებსა,
კაცი შარშანწინ მოგიკვდა,
ნეტავ, რაღა გატირებსა?

***

ხვანაში რომ წვიმა მოდის
ჭანჭახებში დარია,
ჩემი შტერი დედამთილი
ბუხარივით შავია.

***

თერევ, შენი ჩითის იუბკა,
დაგიმოკლდა მგონია,
ქვემოდან რო შემოგხედამ
გამაკვირვებ გგონია?

***

მაღლიდგან გიცქერთ ხვანელნო,
შაშვის მთის მრგვალი სერითა,
ნეტავი კიდო გამღერათ,
რა საამოა თქვენი ხმა.
ბუზმარეთს მიიჩქაროდით,
ჰარი-ჰარალეს მღერითა,
წინ ანტონაი გიძღოდათ
კომბალზე ბჯენა-ბჯენითა,
უკან ქალ-რძალნი მისდევდათ
პირჯვარის წერა-წერითა,
ლოცვას იტყვიან ღვთისმშობლის,
ძალ-მადლიანი ენითა.

***

ანტონას ცოლი გაჯავრდა,
ქმარმა დატოვა ალაგი,
ახალციხეში წაეთრა,
მოსწონებია ქალაქი.

მოუძებნია ბოზები
განა თუ ნებით, ძალათი,
უშნოსთვის ხურდა ეჩუქნა,
კოხტასთვის თითო მანათი.

– ჭირიც მომჭამოს ჩემ ქმარმა,
ირბინოს მთელი ქალაქი,
სახლში მაქვს სასმელ-საჭმელი,
პური, ყველი და კარაქი.

მეც იმ კაცს მივცემ, ვინაცა
გამხადოს პერანგ-ხალათი,
ახალციხეში ქმარმა კი
ბოზებს უხადოს მანათი.

მთქმელი **სიმონ კაჭკაჭიშვილი**, სოფელი არალი, 75 წლის. ჩაწერილია **სოსო გიქოშვილის** მიერ 2018 წელს

### ხინანული

სამსახურიდან რომ გაუშვეს
წნევამ აუწია, პულსმა დაუწია,
აკივლდა ვიღაცა და შველას ითხოვდა,
ჭირისუფლებმა ჩაიცვეს შავები,
მერე იტირეს ცოტა ხანს.
მოვიდა დრო და მთავარანგელოზმა
წინაპრების გზას გაუყენა,
მიაბარეს მიწას გვამი,
დაღლილი და დაქანცული,
სული კი მიბარდა უფალს
და მიემატა წინაპართა სულებს.
ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები
წამოვიდნენ ქელეხში,
გატეხეს პური, წაუქციეს ჭიქა,
მერე კი იძახეს –
ვაახ, ეს რა კაცი დავჰკარგეთო,
ეჰ, ვინ იცის, ეს მერამდენეთ
კარგი კაცი დავჰკარგეთო,
ასეა, ძმაო, ქართველობა ძნელია,
ჯერ გატირებენ და მერე გიტირებენ.

ავტორ-მთქმელი **რეზო ანდღულაძე**, 2015 წ.

### სიმღერა პურის მკის დროს

ჰარალო, ჰარი ჰარალო,
სამკალს უნდა მასათი და მანგალიო,
გამრჯე კაცი სამთიანი,
დატრიალდეს, ყანა მომკას,
დადგას ძნა და ზვინიაო,
მიიტანოს კალოზედა,
არალო, არი არალოო...
თეთრო ქალო, გენაცვალე,
შაო გამეცალეო,
ჰარალო, ჰარი ჰარალოო...

მთქმელი **თამარ აკოფაშვილი**, 82 წლის, ჩაწერილია 2015 წელს **რეზო ანდღულაძის** მიერ

***

სოფელ არალში სახელმწიფოს მიერ ორკლასიანი სკოლა გაიხსნა 1910 წელს, მანამდე სწავლის მსურველი ოჯახები ბავშვებს აგზავნიდნენ სოფელ ხიზაბავრას ან სოფელ უდეში. იყო შემთხვევები, როცა ბავშვები გულს ვერ უდებდნენ სწავლას და სახლში მიდიოდნენ უკან. მიზეზი ლექსათ აქვთ ნათქვამი:

ორთითი და ფიწალიო,
მე აქ ვერას ვისწავლიო,
შინ გამიშვი, ოსტატოჯან,
ოროველას მაინც ვისწავლიო.

მთქმელი **მარი სტეფანეს ასული აკოფაშვილი**, 93 წლის ჩაწერლია მის მიერვე 1988 წელს.

### აჭარა და გურიაო

ჩემი წინაპრები სოფელ არალში გურიიდან გადმოსულან მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. ნათესაობა რომ არ დაკარგულიყო, მათ ერთმანეთში მიმოსვლა ჰქონიათ, ძნელი და რთული რომ იყო მიმოსვლა, ამაზე ლექსიც გამოუთქვამთ, ტექსტი დიდი იყო, რომელიც სრულად აღარ მახსოვს, ის რაც შემომრჩა მეხსიერებას, შემდეგია:

აჭარა და გურიაო
ქალებს ახლო ჰგონიათო,
საგზალს ცოტას ჩაგიდებენ
შინ მალე მოსვლა ჰგონიათო.

ჩაწერილია მის მიერვე 1965 წელს, პაპამისისგან 83 წლის **სიმონ ანდღულაძისაგან**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

**რედაქტორი** ავთანდილ ბერიძე
**სარედაქციო საბჭო:** დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

**გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.** მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.shti@il.co
lit_meskheti@yahoo.com